პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % სახელმწიფო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- ბენეში საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ.
- 11.000 მემაღაროეს ლოკაუტი ავსტრალიაში.
- პოლონეთის ანტი-საბჭოთა ინტრიგების გამოძახილი.
- ვენიზელოსი ახალ კაბინეტს ადგენს.
- დამთავრდა სტ. რადიჩის მკვლელის გასამართლება.
- სტამბოლში ჩავიდა იტალიის საჰაერო ესკადრილია.
- ვრანგელის კუნძულის უფრო სად დაინიშნა ამხ. მინეევი.

კვირა, 9 ივნისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 130 (2476)

საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხები

პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების თანახმად, მიმდინარე 1929 წლის განმავლობაში უნდა ჩატარებულ იქნას საბჭოთა აპარატის წმენდა გაბიუროკრატებულ და გახრწნილ ელემენტებისაგან. ეს ღონისძიება იმდენად დიდმნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა, რომ მისი რაც შეიძლება სისწორით ჩატარებისათვის საჭიროა საფუძვლიანი წინასწარი სამზადისი. ადგილობრივ ორგანოებს და მშრომელ მასას ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ის ამოცანები, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ისახავს აპარატის წმენდის ჩატარებით.

აპარატის წმენდა ჯერ არც კი დაწყებულა, ბევრგან წინასწარი სამზადისსაც არ შესდგომიან. სწორედ ამიტომ აქედანვე უნდა იქნას მიღებული ზომები იმ შეცდომების თავიდან ასაცილებლად, რომელთაც შეიძლება ადგილი დაურჩეს ამ უაღრესი მნიშვნელობის საქმის შესრულების დროს. პირველ ყოვლისა, საჭიროა ყოველი ზომების მიღება იმისათვის, რომ საბჭოთა დაწესებულებების წმენდა არ იქნას გაგებული ისე, თითქოს ეს ღონისძიება მიმართულია აპარატის მუშაკთა მთელი მასის წინააღმდეგ. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ აპარატის შემოწმება მიზნად ისახავს მხოლოდ საქმისათვის შეუფერებელ, მავნე და გახრწნილ ელემენტების გაძევებას ჩვენი დაწესებულებების კედლებიდან. მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებმა უაქტიურესი მონაწილეობა უნდა მიიღონ წმენდის ჩატარებაში. ეს ერთ-ერთი მთავარი პირობაა იმისათვის, რომ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს.

პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებით წმენდა არ შეეხება ყველა საბჭოთა დაწესებულებას. 1903 წლის 1 იანვრამდე შემოწმებულ უნდა იქნას მიწადმოქმედების, სასამართლოს, საფინანსო ორგანოების, შრომის სახალხო კომისარიატისა და მილიციის შემადგენლობა. ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ, რომ საბჭოთა აპარატის წმენდა არ იქნას გაგებული ისე, თითქოს ეს მუშაობა უნდა ჩავატაროთ საყოველთაოდ. ამას შეუძლია მხოლოდ ზედმეტი არევ-დარევის გამოწვევა და საქმის გართულება.

ამავე დროს აუცილებელია ყველასათვის გარკვეული იყვეს ის მთავარი მოსაზრება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ამა თუ იმ მუშაკის შეფასებას. ყოვლად დაუშვებელია, რომ მოსახსნელ პირთა გამორკვევის დროს ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ იმით თუ რა სოციალურ წრეს ეკუთვნის გასაწმენდი კანდიდატი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ შესამოწმებელი მუშაკი ეკუთვნის ჩვენთვის სოციალურად უცხო კლასს, არ გამოდგება იმისათვის, რათა ასეთი მუშაკი მოხსნილ იქნას თანამდებობიდან. უმთავრესად ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ რამდენად გამოსადეგია საქმისათვის შესამოწმებელი პირი და როგორ აქტიობას იჩენს ის ამჟამად საბჭოთა აღმშენებლობაში. აპარატის წმენდის ეს ერთ-ერთი ძირითადი დებულება პირდაპირ გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომელსაც ჩვენ ვისახავთ საბჭოთა დაწესებულებების შემოწმების საქმეში. ჩვენი მიზანია გავაუმჯობესოთ საბჭოთა აპარატის მუშაობა. აქედან ცხადია, რომ თვითეული მუშაკი, რომელსაც სარგებლობა მოაქვს საქმისათვის, განსაკუთრებულად უნდა იქნას დაფასებული.

ამასთანვე დაუნდობლად უნდა გავაძევოთ ჩვენი დაწესებულებების კედლებიდან ყველა ისინი, რომელნიც წმენდის დროს გამოაშკარავებულ იქნებიან როგორც გახრწნილი და გადაგვარებული ელემენტები. დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვაშოროთ საქმეს ყველა ისეთი პირები, რომელნიც ხელს უწყობენ აპარატში ბიუროკრატიზმისა და სხვა უმსგავსოებათა განვითარებას, ისინი, ვინც თავისი მავნე მუშაობით სახელს უტეხავენ საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელი მასების თვალში. ასეთები კი ჩვენს აპარატში საკმაოზე მეტად მოიპოვებიან.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ ძირფესვიანად დაანგრია ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა და სრულიად ახალი, საკუთარი მართვა გამგეობის აპარატი შექმნა, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ეს აპარატი სავსებით და მთლიანად ჩვენია. ძველი სახელმწიფო მანქანის ცოცხალი შემადგენლობა, რომელსაც დღემდე ვერ დაუღწევია თავი ჩვენი საზოგადოებრივობისათვის უცხო ზნე-ჩვეულებებისაგან, ეხლაც საკმაოდ მოიპოვება საბჭოთა დაწესებულებებში. მათ ერთვის ახლად შეკრებილი თანამშრომელთა ის კადრები, რომელიც შემთხვევით მოხვდნენ საბჭოთა დაწესებულებათა კედლებში. არც ერთი ის თანამშრომელი, რომელიც მხოლოდ ჯამაგირის გულისათვის მსახურობს და რომელსაც არ აინტერესებს საქმის წარმატება, არ უნდა დარჩეს ჩვენი დაწესებულებათა მუშაკთა შორის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წმენდის დროს დაწესებულებებში მომუშავე კომუნისტებს. პარტიის წევრის მოვალეობა საბჭოთა აღმშენებლობაში მეტად დიდი და საპასუხისმგებლოა. კომუნისტი ყველგან და ყოველთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყვეს სხვებისათვის, როგორც სანიმუშო საბჭოთა მუშაკი. არც ერთი გაბიუროკრატებული, პასუხისმგებლობა დაკარგული და გულგრილად მომუშავე კომუნისტი არ უნდა იქნას დანდობილი აპარატის წმენდის დროს. საქმისათვის სარგებლობის პრინციპი ამ შემთხვევაშიაც მთლიანად და ურყევად უნდა გავატაროთ.

საბჭოთა აპარატის მუშაობის გაჯანსაღება არ შეიძლება მარტო გახრწნილ და მავნე ელემენტების გაძევებით. ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. ამასთან ერთად საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ განდევნილ ელემენტების ნაცვლად ჩვენს აპარატში წამოყენებულ იქნას მუშებისა და ღარიბ გლეხების საუკეთესო ნაწილი. ეს მომენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოაშკარავებულ ბიუროკრატებისა და სხვა პირების გაძევება დაწესებულებებიდან. ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ აპარატის შემადგენლობის შემოწმება არას შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს კამპანიის ხასიათს. საბჭოთა დაწესებულებების საქმიანობის სისტემატიური და საფუძვლიანი შემოწმება, აპარატის მუშაკთა შემადგენლობის შესწავლა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ნიშანდობლივ მომენტად უნდა გადაიქცეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ჩვენი სახელმწიფო მანქანის საბოლოოდ გაჯანსაღებას, მხოლოდ ამით გადავაქცევთ საბჭოთა აპარატს პროლეტარიატის ნებისყოფის მტკიცედ და უნაკლოთ გამტარებელ ძლიერ იარაღად.

დეფექტები პარტიის წმენდის საქმეში

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ საჭიროა გენერალური წმენდის დამთავრებამდე გამოვიყენოთ ყოველი გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია ამ ჟამად წარმოებულ წმენდასთან. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ეს მითითებები აქამდის ვერ პოულობს საკმაო გამოხმაურებას. აუცილებლად და საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ მოვაგონოთ ყველა ამხანაგს, რომ წმენდის საქმეში გამოყენებულ უნდა იქნას თვით უმნიშვნელო გამოცდილებაც.

რა მდგომარეობაა ამ ჟამად?

როგორც ვიცით, ჩვენ ჩავატარეთ უმაღლეს სასწავლებლების უკანასკნელ კურსების ვადამდე წმენდა, შემდეგ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრების და, დასასრულ, შემმოწმებელ კომისიების წევრების წმენდა.

რა გამოცდილება მივიღეთ?

უნდა გარკვევით ითქვას, რომ უაღრესად გაიზარდა არა მარტო პარტიული, არამედ აგრეთვე უპარტიო მუშურ - გლეხური მასების ინტერესი წმენდისადმი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი ორგანიზაციული დეფექტები, რომელნიც პარტიის ძირითადი დირექტივის დარღვევის ხასიათს იღებენ წმენდის საქმეში.

რაში გამოიხატება ეს დეფექტები?

პირველი, ინსტრუქციაში პარტიის წმენდის შესახებ გარკვევით ნათქვამია:

„განსაკუთრებით გულდასმით უნდა იქნას შემოწმებული იმ უპარტიოთა განცხადებები კომუნისტების შესახებ, რომელნიც არ არიან პროფკავშირის წევრები ან მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას. ეს საჭიროა იმისათვის, რომ წმენდა არ იქნას გამოყენებული ცილისწამებისა და კარიერიზმისათვის“.

ხდება თუ არა ეს?

არა, არ ხდება. მე თვით ვიყავი მოწმე, რომ ქალაქის აღმასკომის დარბაზში ერთ-ერთი ჯგუფის სხდომაზე წმენდას დაესწრო პარიტეტული კომიტეტის ყოფილი წევრი, რომელიც 1924 წელს გასამართლებულ იქნა მენშევიკურ ავანტიურისათვის. მე თვალყურს ვადევნებდი მას, როგორ გაუბრწყინდებოდა სიხარულით სახე, როცა პასუხისმგებელ ამხანაგს აძლევდნენ აშკარად ბინძურ (ანონიმურ) კითხვებს და როგორ დაღვრემილი იყურებოდა ის, როცა შემოწმებულ ამხანაგს მქუხარე ტაშით გააცილებდნენ.

დასაშვებია თუ არა ასეთი ტიპების დასწრება კრებებზე? ყველასათვის, ვინც არ არის საბჭოთა ხელისუფლების მტერი, აშკარაა, რომ ეს დაუშვებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა ფაქტია, რომ ასეთი ტიპები ესწრებიან კრებებს, რათა გამოიყენონ ის თავიანთ ბინძურ ზრახვებისათვის.

როგორ ესწრება წმენდას ეს ანტისაბჭოთა ელემენტები? ეს ხდება იმიტომ, რომ უჯრედის მდივანი და მთელი უჯრედი არავითარ წინასწარ ორგანიზაციულ ზომებს არ იღებენ ასეთი ელემენტების არდაშვებისათვის, რის გამო ხშირად კრებებს აშკარა არანორმალური ხასიათი აქვთ, შემმოწმებელ კომისიებში ანონიმური განცხადებების შემოტანის გზით პარტიულ ამხანაგებს სრულიად დაუმსახურებლად სახელს უტეხენ.

ამ დეფექტს ბოლო უნდა მოეღოს. ანონიმური განცხადებები, რომელნიც ჩირქს სცხებენ პასუხისმგებელ მუშაკებს, საჯაროდ არ უნდა იქნან გამოქვეყნებულნი, მით უმეტეს, როცა ფაქტები კი არ არის აღნიშნული, არამედ ლაპარაკია რაღაც „ცოდვებზე“, რომელთა შესახებ არავინ არაფერი იცის.

მეორე, გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ შემმოწმებელი კომისიები ყოველთვის არ ასრულებენ დირექტივას პარტიის წმენდის შესახებ, რომელშიაც გარკვევით ნათქვამია:

„შემმოწმებელი კომისიები და შესამოწმებელი უჯრედები ვალდებულნი არიან სასტიკი პასუხი გასცენ იმას, ვინც შეეცდება წმენდა და შემოწმება გამოიყენოს პირადი ანგარიშების გასასწორებლად, ჯგუფური ბრძოლის მიზნებისათვის... და აგრეთვე იმას, ვინც ცდილობს ჩირქი მოსცხოს კომუნისტს პარტიის ხაზის მტკიცედ გატარებისათვის“.

ჩვენში იყო ასეთი ფაქტები, როცა ანონიმური წერილებით სრულიად დაუმსახურებლად აშკარად ცილი დასწამეს შესამოწ. ამხანაგებს, მაგრამ შემმოწმებელი კომისიები ყოველთვის არ აქცევდნენ ამ საქმეს ყურადღებას, მათ ავიწყდებოდათ „სასტიკი პასუხის გაცემა“, როგორც ნათქვამია ინსტრუქციაში, „იმათთვის, ვინც ცდილობს პირადი ანგარიშების გასასწორებლად ჩირქი მოსცხოს საუკეთესო პარტიულ ამხანაგებს“.

ამ დეფექტებს ბოლო უნდა მოეღოს.

შემმოწმებელი კომისიები მოვალენი არიან ლაგამი ამოსდონ იმათ, რომლებიც ეცდებიან იერიში მიიტანონ პარტიულებზე, რათა სახელი გაუტეხონ მათ და ამით ჩრდილი მიაყენონ მთელს პარტიას მუშათა და გლეხთა უპარტიო მასის თვალში.

მესამე, გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ პარტიულების შემოწმებას ყოველთვის არა აქვს მიზნად გამოარკვიოს, თუ შესამოწმებელი პარტიული ამხანაგი რამდენად ერევა დაკისრებულ მუშაობას და რამდენად ახერხებს მის დაკავშირებას ზოგად სახელმწიფოებრივ ამოცანებთან. კონკრეტულად ეს გულისხმობს, თუ რამდენად ახერხებს შესამოწმებელი პარტიული ამხანაგი კარგი მუშაკების შერჩევას და მათზე ხელმძღვანელობის გაწევას, რამდენად არის დაკავშირებული ფართო პარტიულ და პროფესიონალურ მასასთან, მოახერხა თუ არა საღი საქმიანი და ამხანაგური ატმოსფერის შექმნა იმ დაწესებულებასა და საწარმოში, სადაც ის იმყოფება, ახერხებს თუ არა სპეცების გამოყენებას, თუ მხოლოდ „ბეჭდის დამკვრელ“ კომუნისტს წარმოადგენს იგი.

ეს არის საკითხების ერთი ჯგუფი.

მეორე ჯგუფი: რანაირია მისი მუშაობის მიღწევები იმ საწარმოებში ან დაწესებულებებში, სადაც ის იმყოფება? გაუმჯობესდა თუ არა მუშაობის ტეხნიკა? რანაირია პროდუქციის თვისებისა და რაოდენობის გაუმჯობესების რეალური შედეგები იმ საწარმოში, სადაც შესამოწმებელი ამხანაგი მუშაობს? რამდენად შემცირდა უნაყოფო ხარჯები და გაამაღლა თუ არა მან შრომის დისციპლინა და შრომის ნაყოფიერება? მოახერხა თუ არა მან თავისი აპარატის გამუშურება, შეამცირა თუ არა სამუშაო დრო და სხვ. ეს საკითხები უნდა გაირკვეს, რათა შესაძლებელი იყოს შესამოწმებელის როგორც პარტიის წევრის ღირსების გამორკვევა.

კეთდება თუ არა ეს ახლა ვადამდე წმენდის დროს? არა, საკმაოდ არ კეთდება.

ამ დეფექტს ბოლო უნდა მოეღოს.

მეოთხე: გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ უჯრედებს, პარტკომებს და მთელ პარტიულ მასას დღევანდლამდე არაფერი გაუკეთებიათ პარტიის დირექტივების შესასრულებლად. აქ ლაპარაკი შეეხება დაზგის მუშათა ახალი კადრების, გლეხობის საუკეთესო ნაწილის (მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა წრიდან) და პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებული საზოგადოებრივი მუშაკების მიზიდვას ჩვენი პარტიის რიგების შესავსებად და იმ პირთა შესაცვლელად, რომლებიც გაძევებული იქნებიან ჩვენი რიგებიდან როგორც უვარგისი ელემენტები.

აი, რას ამბობს ამ საკითხის გამო პარტიის დირექტივა:

„მუშების ფართოდ მიზიდვა უნდა დაუკავშირდეს პარტიის ახლანდელი შემადგენლობის სასტიკ შემოწმებას და მისი უაღრესად გაბედულ წმენდას სოციალურად უცხო, მიტმასნებული, გაბიუროკრატებული და გახრწნილი ელემენტებისაგან“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.—ის ნოემბრის პლენუმის რეზოლიუციიდან).

შესრულება საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის ამ დირექტივისა, რომელიც დაადასტურა მე-16 საკავშირო პარტკონფერენციამ, ჯერ-ჯერობით სათანადო გამოხატულებას ვერ ჰპოვებს ქვედა პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში.

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი პარტიის რიგების იდეურ და ორგანიზაციულ მონოლითობას უზრუნველყოფს მისი შემადგენლობის ერთგვაროვნობა, რასაც განახორციელებს არა მარტო პარტიის წმენდა არაკომუნისტური ელემენტებისაგან, არამედ ამავე დროს მისი შევსება საუკეთესო მუშებითა და გლეხებით.

კეთდება თუ არა ხელშესახები რამ ამ მიმართულებით? არა, არ კეთდება.

ამ დეფექტსაც ბოლო უნდა მოეღოს.

თუმცა რამდენადმე შეგვიანებულია, მაგრამ მაინც საჭიროდ ვთვლით ყოველივე ამის გახსენებას, რათა ხელიდან არ გაუშვათ ეხლანდელი ხელსაყრელი მდგომარეობა, სახელდობრ — მუშათა და გლეხთა მთელი პარტიული და უპარტიო მასის უდიდესი ინტერესი პარტიის წმენდისადმი.

დასკვნა —ვადამდე წმენდამ გამოარკვია ზოგიერთი, საკმაოდ არსებითი შეცდომები; ეს შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ, როდესაც შეუდგებით მასიურ გაშლილ-გაფართოებულ გენერალურ წმენდას. მთავარი დირექტივა, რომელიც შეეხება ახალი კადრის მიზიდვას პარტიის რიგების შევსების მიზნით, გვავიწყდება ხოლმე; საჭიროა ეს აღარ მოხდეს და შევასრულოთ იგი.

გ. სტურუა.

10 ივნისს გაიხსნება ერთა ლიგის საბჭოს სესია

ლიგის წრეებში დაბნეულობაა ინგლისის კონსერვატორების დამარცხების გამო

საკავშირო ს. მ. უ. ს. და ფორდის ხელშეკრულების გამოძახილი ამერიკაში

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ეროვნულ უმცირესობათა აბუჩად აგდება

კონსერვატორების დამარცხების გამოძახილი

მადრიდი, 7 ივნისი. 6 ივნისს დაიწყო ერთა ლიგის საბჭოს სხდომები. ეს სხდომები წინ უძღვიან საბჭოს სესიის ოფიციალურ გახსნას, რომელიც მოხდება 10 ივნისს. ეხლანდელი სხდომები განიხილავენ მოხსენებას ნაციონალურ უმცირესობათა საკითხის შესახებ. მოხსენება დაამუშავა საბჭოს წინა სესიის მიერ გამოყოფილმა სამეულმა, რომელშიაც შედიოდნენ ჩემბერლენი, ადაჩი (იაპონია) და კვინიონეს — ლიონე (ესპანეთი). სხდომებს ესწრებიან მხოლოდ საბჭოს წევრები.

ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში ინგლისელი კონსერვატორების დამარცხების გამო, ლიგის საბჭოს წრეებს აშკარა მოუსვენრობა ეტყობათ. ეს მოუსვენრობა უკვე თავს იჩენს იმ მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს შეეხება და რომელიც სამეულმა შეიმუშავა ჩემბერლენის ხელმძღვანელობით. **საფრანგეთის, პოლონეთის და მცირე ანტანტის წრეებში შიშობენ, რომ მას შემდეგ, რაც კონსერვატორები დამარცხდნენ და ხელისუფლებას მუშათა პარტია დაეპატრონა, ეს მოხსენება შეიძლება გადაიქცეს ქაღალდის უბრალო ნაგლეჯად.** ამ წრეებს ეჭვი აქვთ, დასთანხმდება თუ არა მუშათა პარტიის მთავრობა — იცნოს ის დოკუმენტი, რომელიც არსებითად აშკარა უარყოფით პასუხს იძლევა შემდეგ კითხვაზე: მზად არის თუ არა ლიგა უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი, თუნდაც მათი პეტიციების გარჩევის პროცედურის უბრალო გაუმჯობესებით. ამის გამო, უკვე 6 ივნისის სხდომის შემდეგ, რომელზედაც საბჭოს წევრებმა მხოლოდ მოისმინეს ხსენებული მოხსენება და, ბრიანის წინადადებით, მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ჩემბერლენს მისი გამოსათხოვარი წერილის საპასუხოდ, ლიგის წრეებში აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია საბჭოს მომავალმა სესიამ სხვა დროისათვის გადასდოს ამ საკითხის ოფიციალური განხილვა. იმასაც ამბობენ, რომ დისკუსიის შემდგომ მიმდინარეობაზე გავლენას მოახდენს ინსტრუქცია, რომელსაც მოელის მაკდონალდის მთავრობისაგან ინგლისის ელჩი მადრიდში გრეხემი (კონსერვატორი) ინგლისის წარმომადგენელი ეხლანდელ სესიაზე.

სამეულის მოხსენების შინაარსი

მადრიდი, 7 ივნისი. სამეულის მოხსენება ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ოფიციალურად გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ მის მთავარ მუხლებს ჟურნალისტები უკვე იცნობენ. ამ ცნობების თანახმად, **მოხსენება მართლაც აბუჩად იგდებს ეროვნულ უმცირესობებსაც და გერმანიასაც, რომელმაც ეს საკითხი აღძრა. მოხსენება არ ეთანხმება გერმანიის არც ერთ წინადადებას და ამის ნაცვლად მხოლოდ სხვადასხვა „დათმობას“ სჯერდება.**

ერთა ლიგის ფრანგულ წრეებში ჟურნალისტებს განუცხადეს: გადაჭარბებულად არ უნდა შევაფასოთ მაკდონალდის მთავრობის დაინტერესება ეროვნულ უმცირესობათა საკითხით; ინგლისის ხელისუფლების შეცვლა ვერ მოსპობს ინგლის - საფრანგეთის ანტანტის საფუძვლებს, თუმცა შეუძლია გააძნელოს მისი შემდგომი განვითარება.

გერმანიის დელეგატის სიტყვა

პარიზი, 7 ივნისი. ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება:

„ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა საკითხი. კანადის დელეგატმა **დანდიურამ** წინადადება შეიტანა — გადაიდოს სამთა კომიტეტის (სამთა კომიტეტში შედიოდნენ ჩემბერლენი, იაპონიის დელეგატი ადაჩი და ესპანეთის დელეგატი ლიონე) მოხსენების განხილვა.

გერმანიის დელეგატმა **შუბერტმა** ნამდვილი საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა, მოხსენების წინააღმდეგ. მისი აზრით, მოხსენება სასარგებლო დისკუსიის საფუძვლად ვერ გამოდგება და მის გარეშე საბჭოში საერთო შეთანხმება ვერ მოხერხდება. დასასრულ, შუბერტმა მოითხოვა ახალი მოხსენების შედგენა“. (ადს).

მადრიდი, 7 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს მეორე დახურულ სხდომაზე გერმანიის წარმომადგენელმა **შუბერტმა,** რომელსაც ნაწილობრივ მხარი დაუჭირეს **დანდიურანმა** (კანადა) და **პროკოპემ** (ფინეთი), მოითხოვა — გადადებულიყო კამათი სამეულის იმ მოხსენების გამო, რომელიც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა საკითხს. ეს სამეული გამოყოფილ იქნა საბჭოს სესიის წინა სხდომაზე ჩემბერლენის, ადაჩის (იაპონია) და კვინიონეს დე-ლიონის (ესპანეთი) შემადგენლობით.

შუბერტმა განაცხადა: მოხსენების მიღება არ შეიძლება, რადგან ნაცვლად გერმანიის მიერ აღძრული დიდი პრინციპიალური საკითხისა იმის შესახებ, რომ ერთა ლიგამ მუდმივად თვალყური ადევნოს ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობას აქ წამოყენებულია უმნიშვნელო საკითხი ეროვნულ უმცირესობათა პეტიციების განხილვის მეორე ხარისხოვანი ტეხნიკური დეტალების შესახებ.

ბრიანმა მოითხოვა ლონდონის მოხსენების მიღება; იგი წინააღმდეგი იყო გერმანიის მოთხოვნისა და სესიის დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნის შესახებ. ბრიანმა გაილაშქრა აგრეთვე გერმანიის წინადადების წინააღმდეგ, რომ ერთა ლიგასთან დაარსდეს მუდმივი ორგანო ეროვნულ უმცირესობათა საქმეების გამო, რადგან ასეთი ორგანო კონფლიქტებისა და უწესობების წყაროდ გადაიქცევა.

ინგლისის წარმომადგენელმა **გრეხემმა** (ინგლისის ელჩი მადრიდში, კონსერვატორი) განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის ინსტრუქცია წინადადებას აძლევს მას — დაემყაროს ლონდონის მოხსენებას (აშკარაა, მას მხედველობაში აქვს ჩემბერლენის ინსტრუქცია). შემდეგ გრეხემმა განაცხადა — თუ აღძრული იქნება ახალი პრობლემები, იგი იძულებული გახდება კვლავ შეეკითხოს ინგლისის მთავრობას.

კამათის დასასრულ **შუბერტი დაეთანხმა საბჭოს უმრავლესობის წინადადებას. კომპრომისული გადაწყვეტილების გამო, გერმანიამ ხელი აიღო თავის პირვანდელ გადაწყვეტილებაზე** — მოეთხოვა საკითხის განხილვა სექტემბრის სესიაზე, რომელსაც დაესწრებიან ინგლისის ახალი მთავრობის უფლებამოსილი დელეგატები, აგრეთვე საბჭოს დღევანდელ შემადგენლობაში არ შესული იმ სახელმწიფოების დელეგატები, რომელნიც ეროვნულ უმცირესობათა საკითხში მხარს უჭერენ გერმანიას. გარდა ამისა, ეს გადაწყვეტილება საშუალებას აძლევს ბრიანს შეიტანოს ლონდონის მოხსენებაში ისეთი ცვლილებები, რომლებიც უახლოვდებიან შტრეზემანის მარტის მემორანდუმში აღნიშნულ ზოგიერთ მეორე ხარისხოვან წინადადებას.

ამრიგად იგი წინასწარ ამზადებს ნიადაგს, რომ თავის ნებით წავიდეს ზოგიერთ დათმობაზე გერმანიასთან, თუ ამას მოითხოვს ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობა, რადგან საფრანგეთის მიერ გერმანიისათვის შეღავათების მიცემის შესაძლებლობის პერსპექტივა აღელვებს პოლონეთსა და მცირე ანტანტას, ამიტომ ბრიანი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ერთის მხრით ინგლისის მთავრობის მომავალ შესაძლებელ გამოსვლას გერმანიის სასარგებლოდ, ხოლო მეორეს მხრით, საფრანგეთის სურვილს — არ დაასუსტოს თავისი აღმოსავლეთ - ევროპიელ მოკავშირეთა პოზიციები. ძალთა განწყობილება წინასწარ განსაზღვრავს აგრეთვე მომავალ მოლაპარაკებას ისეთი „დიდი საკითხების“ გამო, როგორიც არის რეინის ოლქის ევაკუაცია.

საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები

ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის აღდგენის მოლოდინში. — ფორდთან შეთანხმების გამოძახილი

ნიუ - იორკი, 7 ივნისი. მთავრობის სათავეში მაკდონალდის ჩადგომამ, რაც მოსალოდნელად ხდის ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის აღდგენას, და ფორდთან სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს და „ამტორგის“ — მიერ დადებული ხელშეკრულების გამოქვეყნებამ ამერიკის პრესაში კომენტარიები გამოიწვიეს ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. **ვაშინგტონის ის პოლიტიკური წრეები, რომლებიც ემხრობიან საბჭოთა კავშირის ცნობას, ფიქრობენ, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღდგენა აიძულებს ჩრდ. ამ. შეერთ. შტატების გარეშე საქმეთა მინისტრს — გადასდგას სათანადო ნაბიჯი.** პირიქით, გარეშე საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირნი აცხადებენ, რომ ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების პოლიტიკა ამ მხრით არ შეიცვალა და ცვლილებანი ამ მიმართულებით არც არის მოსალოდნელი.

ფორდთან დადებული ხელშეკრულება გაზეთების უმრავლესობამ გამოაქვეყნა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ თანდათან დიდდება იმ უმნიშვნელოვანესი ფირმების რიცხვი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირისათვის ტეხნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ. (ადს).

ბენეში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

პრაღა, 7 ივნისი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბენეშმა საგარეო პოლიტიკის საკითხების გამო, ვრცელი მოხსენება გააკეთა სენატის კომისიაში, აგრეთვე დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში. ბენეში შეეხო მცირე ანტანტის სახელმწიფოების და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და განაცხადა, — ეს ურთიერთობა „ისეთივეა, როგორც იგი დასახული იყო რამდენიმე წინა კონფერენციის მიერ“-ო; (ე. ი. ყოველ სახელმწიფოს „რჩება მოქმედების თავისუფლება“).

ნაციონალ - დემოკრატმა ბრაბეცმა სენატის კომისიაში გაილაშქრა საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების წინააღმდეგ, „სანამ იქ მდგომარეობა არ შეიცვლება“.

ბრაბეცის წინააღმდეგ გამოვიდნენ ჩეხელი **სოციალ - დემოკრატი ვიტი და გერმანელი სოციალ - დემოკრატი გელერი,** რომლებიც ამტკიცებდნენ საბჭოთა კავშირთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის საჭიროებას და ხაზს უსვამდნენ, რომ ჩეხო - სლოვაკიის დიდ საწარმოებს „დიდი საქმეები აქვთ საბჭოთა კავშირთან და მათ ესაჭიროებათ უფლებრივი ბაზისი ექსპორტისათვის“. (ადს).

ტანაკას განცხადება

ხარბინი, 7 ივნისი. ხარბინში ჩამოვიდა და მოსკოვში მიემგზავრება იაპონიის ელჩი საბჭოთა კავშირში ტანაკა, რომელმაც განაცხადა: ჩავა თუ არა მოსკოვში, იგი მოლაპარაკებას დაიწყებს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, კერძოდ, სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ტანაკას ჩამოსვლის გამო, იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ტოხოს ხარბინის განყოფილება იუწყება, რომ იაპონია ამ ბოლო დროს ცდილობს დააჩქაროს საკითხების მეგობრულად გადაჭრა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის (ადს).

პოლონეთის ანტი-საბჭოთა ინტრიგების გამოძახილი

„ვოლონტე“-ს წერილი

პარიზი, 7 ივნისი. წვრილ - ბურჟუაზიული გაზეთი „ვოლონტე“ მკაცრად აკრიტიკებს ჰავასის ვარშაველი კორესპონდენტის მიერ გადმოცემულ პოლონეთის მთავრობის პასუხს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (ვარშავაში) ბოგომოლოვის პროტესტზე. როგორც აღნიშნული იყო, ამხ. ბოგომოლოვმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მენშევიკური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების ათი წლის თავის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულში, აგრეთვე იმის გამო, რომ პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პეტლიურას ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ პანაშვიდში. გაზეთი პოლონეთის პასუხს უწოდებს აშკარა პროვოკაციას და აცხადებს, რომ იგი პოლონეთის პასუხს სთვლის საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევად. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ თვით ის ფაქტი, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე დაშვებულ იქნა ქართველი ემიგრანტების კრება ეგრედწოდებული საქართველოს დამოუკიდებლობის ათი წლის თავის გამო,— თუნდაც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამ დღესასწაულს დაესწრნენ პოლონეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლნი, — წარმოადგენს უხეშ დარღვევას იმ ვალდებულებათა, რომლებიც პოლონეთმა არა ერთხელ იკისრა საბჭოთა კავშირის წინაშე.

„ვოლონტე“ მკაცრ პროტესტს აცხადებს პოლონეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ; ეს მთავრობა არა მარტო ნებას აძლევს, რომ ქართველმა და უკრაინელმა ემიგრანტებმა მის ტერიტორიაზე მოამზადონ საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, ხოლო კონტრ - რევოლიუციონერებმა მოაწყონ თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლებზე პოლონეთში, არა მარტო მონაწილეობას იღებს თავისი წარმომადგენლების სახით, ემიგრანტების მიერ გამართულ ანტი - საბჭოთა პოლიტიკურ მანიფესტაციებში, არამედ უარსაც აცხადებს მიიღოს საბჭოთა მთავრობის კანონიერი პროტესტი და ამით ახალ საფრთხეს უქმნის მშვიდობიანობას, რომელიც ისედაც არ არის მტკიცე ევროპის ამ ნაწილში. (ადს).

მაკდონალდის მთავრობის საბოლოო შემადგენლობა

ოფიციალური ცნობა

ლონდონი, 7 ივნისი. გამოქვეყნებულია მაკდონალდის მთავრობის საბოლოო შემადგენლობა: პრემიერ - მინისტრი — **მაკდონალდი,** ფინანსთა მინისტრი — **სნოუდენი,** გარეშე საქმეთა მინისტრი —**გენდერსონი,** სახელმწიფო ბეჭდის მცველი ლორდი და პროფესიონალური საქმიანობის მინისტრი **ტომასი** (პროფესიონალურ საქმიანობის სამინისტრო დაწესებულია პირველად, მის ამოცანას შეადგენს ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ; სახელმწიფო ბეჭდის მცველი ლორდი — არის მინისტრის პოსტი, რომელსაც ამჟამად არ აქვს ნამდვილი ფუნქციები. ამ თანამდებობის მიცემა ტომასისათვის აიხსნება იმით, რომ სახელმწიფო ბეჭდის მცველ ლორდს ეკუთვნის განსაზღვრული ჯამაგირი, ხოლო პროფესიონალური საქმიანობათა მინისტრისთვის როგორც ახალი თანამდებობისათვის, ჯამაგირი არ არის გათვალისწინებული), ლორდი—საბჭოს პრეზიდენტი (მინისტრის პოსტი, რომელსაც აგრეთვე არ აქვს რაიმე განსაზღვრული ფუნქციები), — **ლორდი პარმური,** კოლონიათა მინისტრი— **სიდნეი ვებბი,** ლორდი — კანცლერი (ლორდთა პალატის და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე)— მოსამართლე **სენკი,** შინაგან საქმეთა მინისტრი — **კლაინსი,** ინდოეთის საქმეთა მინისტრი — **ვეჯვუდ ბენ,** სამხედრო მინისტრი **ტომას შოუ,** საჰაერო მიმოსვლის მინისტრი — **ლორდი ტომსონი,** საზღვაო საქმეთა მინისტრი — **ალექსანდერი,** ჯანმრთელობის მინისტრი — **არტურ გრინვუდი,** შრომის მინისტრი — **მარგარიტა ბონფილდი,** მიწადმოქმედების მინისტრი — **ნოელ ბექსტონი,** განათლების მინისტრი — **ტრეველიანი,** ვაჭრობის მინისტრი — **ვილიამ გრეხემი,** შოტლანდიის საქმეთა მინისტრი— **ვილიამ ადამსონი,** საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი — **ლენსბერი.**

კაბინეტში შედის სულ 19 მინისტრი (ბოლდუინის უკანასკნელ კაბინეტში შედიოდა 20 მინისტრი). გარდა ამისა დანიშნულია შემდეგი მინისტრები, რომლებიც არ შედიან კაბინეტში: ლენკასტერის საჰერცოგოს საქმეთა მინისტრი — **ოსვალდ მოზლეი,** გენერალ - პროკურორი— **ჯოუიტი,** პენსიების მინისტრი — **რობერტსი,** ტრანსპორტის მინისტრი — **გერბერტ მორისონი,** ფოსტის მინისტრი —**ლისტ სმიტი,** მთავარი ხაზინადარი — **ლორდი არნოლდი,** შოტლანდიის საქმეთა მინისტრის ამხანაგი — **ტომ ჯონსტონი.** შოტლანდიის საქმეთა უმაღლეს თანამდებობების აღმსრულებლები დანიშნული იქნებიან მომავალი კვირის დამდეგს. ტომასს, ლენსბერის და მოზლეის დაევალათ „უმუშევრობასთან ბრძოლის განსაკუთრებულ საქმეთა“ ხელმძღვანელობა. ვინაიდან სიდნეი ვებბ (კოლონიების მინისტრი) არ არის თემთა პალატის წევრი, —იგი დანიშნული იქნება ლორდად (ადს).

ლიბერალების და კონსერვატორების დამოკიდებულება მაკდონალდის კაბინეტისადმი

ლონდონი, 7 ივნისი. ლიბერალები და კონსერვატორები იხილავენ თავის ტაქტიკას მაკდონალდის კაბინეტის მიმართ. 13 ივნისისათვის დანიშნულია ლიბერალების საპარლამენტო ფრაქციის სხდომა. არსებულ ცნობების მიხედვით, **ლოიდ ჯორჯი** შეიტანს წინადადებას, რათა სეფე სიტყვის საპასუხო მიმართვის განხილვის დროს ლიბერალებმა წარადგინონ შესწორება საარჩევნო უფლების რეფორმის საკითხის განხილვის მოთხოვნით. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალ ჯოუტის თანხმობამ დაიკავოს მაკდონალდის კაბინეტში გენერალ-პროკურორის თანამდებობა, ლიბერალებზე მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. თუ არჩევნების შემდეგ პირველ დღეებში ისინი ცდილობდნენ ხაზი გაესვათ იმისათვის, რომ უმრავლესობის შექმნის ბედი მათზეა დამოკიდებული და ამის გამო მათ შეუძლიათ მთავრობას წარუდგინონ მოთხოვნილება, ეხლა ლიბერალური პრესის ტონი არსებითად შეიცვალა. ლიბერალური გაზეთები (მაგალითად, „მანჩესტერ გარდიენი“) აცხადებენ, რომ ლიბერალები „არ დაემუქრებიან ახალ მთავრობას და არ ეცდებიან რაიმე ვაჭრობას მასთან“, თუმცა დაიტოვებენ მოქმედების თავისუფლებას. ბოლდუინმა მოაწყო თათბირი თავის მინისტრებთან, რომელზედაც გადაწყდა „არ იქნეს წინასწარ შედგენილი კამპანიის გეგმა და იმოქმედონ შექმნილი მდგომარეობის მიხედვით“.

2 ივლისს მოწვეული იქნება კონსერვატიული პარტიის ეროვნული საბჭო (ცეკა).

პოლიტიკური წრეების ცნობით, ბოლდუინს სურს, რომ ეროვნულმა საბჭომ კვლავ დაადასტუროს, რომ პარტიის ბელადად რჩება ბოლდუინი. ეს აიხსნება იმით, რომ კონსერვატიულ პარტიაში ისევ მრავალ საყვედურებს აქვს ადგილი ბოლდუინის მიმართ. კონსერვატორების მომავალი ტაქტიკის მაჩვენებელია „ტაიმს“-ის პოლიტიკური მიმომხილველის განცხადება: „თანდათან მტკიცდება ის აზრი, რომ მცირეა პარლამენტის დათხოვნის და ახლო მომავალში ახალი არჩევნების დანიშვნის იმედი“ (ადს).

პრესის კომენტარიები

ლონდონი, 8 ივნისი. კომენტარიებს უკეთებს რა ახალი მთავრობის შემადგენლობას, კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ მუშათა პარტიის ისეთი მთავრობა, რომელიც ნდობას იწვევდეს. მაგრამ, მთავრობის ეხლანდელმა შემადგენლობამ არ უნდა გამოიწვიოს შიში. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მაკდონალდმა თავისი მინისტრები შეარჩია მუშათა პარტიის მემარჯვენე და მემარჯვენე - ცენტრისტულ ელემენტებისაგან.

ლიბერალური „დეილი ქრონიკლ“-ი სწერს, რომ მაკდონალდის კაბინეტის საერთო ხასიათი შეეფერება „მუშათა პარტიის პოლიტიკის უფრო ზომიერ და პრაქტიკულ მხარეს“, ამიტომ გაზეთი აღნიშნავს მზადყოფნას მხარი დაუჭიროს მაკდონალდს იმ დრომდე, სანამ ის არ გადაუხვევს ამ პრაქტიკულ ხაზიდან.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“ აქებს მაკდონალდს და სწერს, რომ „მისი კაბინეტის შემადგენლობა მტკიცე პასუხია ყველა იმათთვის, ვინც კითხულობდა— შეუძლია თუ არა მუშათა პარტიას ქვეყნის გაძღოლა“. გაზეთი აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის მთავრობა კისრულობს ძნელ ამოცანას და ყველაფერის გაკეთება მას ერთბაშად არ შეუძლია. გაზეთი მოუწოდებს მუშებს მოთმინებისა და ლოიალობისაკენ და პირდება მათ, რომ ისინი არ დარჩებიან გულგატეხილი მაკდონალდის მთავრობით.

მღელვარება მემაღაროეთა შორის

ლონდონი, 8 ივნისი. სიდნეიდან (ავსტრალია) გადმოცემული ცნობით, **ახალი და სამხრეთ უელსის ქვანახშირის რაიონებში სერიოზული მღელვარება დაიწყო.** მემაღაროებმა მაღაროებთან საგუშაგო პიკეტები დააყენეს. ეს მღელვარება დაკავშირებულია იმ კონფლიქტთან, რომელიც მოხდა მრეწველებსა და მემაღაროებს შორის. ავსტრალიის მემაღაროეთა კავშირის კონფერენციამ უარჰყო მრეწველების წინადადება ხელფასის შემცირების შესახებ.

მრეწველებმა ლოკაუტი გამოუცხადა 11.000 მემაღაროეს (ადს).

რეხბერგის ანტი-საბჭოთა მახინაციები

„ველტ ამ აბენდ“-ის პარიზელი კორესპონდენტის მხილება

ბერლინი, 7 ივნისი. მემარცხენე გაზეთი „ველტ ამ აბენდ“-ი ბეჭდავს პირველი კორესპონდენტის მხილებას იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სარეპარაციო კონფერენციის კულისებს იქით სწარმოებდა. ანტი - საბჭოთა ბლოკის ცნობილი იდეოლოგი **რეხბერგი** კიულმანთან ერთად, რომელიც ვილჰელმის დროს საგარეო საქმეთა უკანასკნელი მინისტრის ამხანაგი იყო, სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან პარიზში, მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ ფინანსიურ, პოლიტიკურ და სამხედრო დარგში. გზა და გზა შეეხნენ საკითხს იმის შესახებ, რომ გერმანიას ანტი - საბჭოთა ბლოკში მონაწილეობის საფასურად კოლონიები მიეცეს. რეხბერგის და კიულმანის მოლაპარაკების გამო კომუნისტმა **შტეკერმა** 4 ივნისს მთავრობას შეკითხვა მისცა რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის დახურულ სხდომაზე. შტეკერი შეეკითხა: მიიღო თუ არა მონაწილეობა რეხბერგის მოლაპარაკებაში, რეიხს ბანკის დირექტორმა შახტმა, რომელიც გერმანიის წარმომადგენელი იყო სარეპარაციო კონფერენციაზე.

მემარცხენე გაზეთის „ბერლინ ამ მიტაგ“-ის ცნობით, რეიხს კანცლერმა მიულერმა უპასუხა, რომ მთავრობამ ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ მას „არ შეუძლია დაბეჯითებით განაცხადოს, რომ ამას ადგილი არა ჰქონია“. (ადს).

მადლობა საბჭოთა მთავრობას

ბერლინი, 7 ივნისი. ოფიციალურ პირთა თანდასწრებით უჩვენეს ფილმი, რომელიც გერმანია-საბჭოთა სამეცნიერო ექსპედიციის მიერ გადაღებულ იქნა პამირზე. ფილმს აღტაცებით შეხვდნენ. გერმანიის მეცნიერების ხელისშემწყობი საზოგადოების თავმჯდომარე **შმიდტმა შესავალ სიტყვაში მადლობა გამოუცხადა საბჭოთა მთავრობას, განსაკუთრებით კალინინს და საბჭოთა ექსპედიციის უფროსს გორბუნოვს იმ სამსახურისათვის, რომელიც მათ მეცნიერებას გაუწიეს.** (ადს).

სტეფანე რადიჩის მკვლელის საქმე

ვენა, 7 ივნისი. ბელგრადიდან იუწყებიან: დამთავრდა საქმე სკუპშჩინის ყოფილი დეპუტატის რაჩიჩისა, რომელმაც რადიჩი მოკლა. სასამართლომ რაჩიჩს 20 წლის იძულებითი სამუშაო მიუსაჯა. განაჩენში აღნიშნულია, რომ შეთქმულების ფაქტი გამორკვეული არ არისო. სხვა ბრალდებულნი, ყოფილი დეპუტატები პოპოვიჩი და იოვანოვიჩი, რომლებსაც ჰბრალდებოდათ მკვლელობაში მონაწილეობის მიღება, გაამართლეს, რადგან „საბუთი არ არსებობს, რომ ისინი ხელს უწყობდნენ მკვლელობას“. (ადს)

როსეს და რიკლენის არჩევნების გაუქმება

პარიზი, 7 ივნისი. მიღებული ცნობების თანახმად, სტრასბურგის ადმინისტრატიულმა **სასამართლომ გააუქმა ელზასელ ავტონომისტთა** ლიდერების როსეს და რიკლენის არჩევა კოლმარისა და დანიე-მარის მუნიციპალიტეტის მრჩევლებად. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

კარახანის ნოტის გარშემო

შანხაი, 8 ივნისი. ამერიკულ ჟურნალს მოყავს კარახანის ნოტის თარგმანი და სწერს: „მიუხედავად თავდასხმის მიზეზებისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძნელია გამოინახოს გონიერი ადამიანი, როგორც არ უნდა იყვეს იგი განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი, რომელიც მოიწონებდა ჩინეთის ასეთ მოქცევას საბჭოთა კავშირის მიმართ. ცნობილია, რომ თავდასხმის სულისჩამდგმელთა მთავარი ძარღვი მიმდინარეობს ინგლისურ ორგანოებიდან, რომლებიც მოქმედებდნენ კონსერვატორული მთავრობის სრული თანხმობით და ფინანსიური დახმარებით. მუშათა პარტიის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მოუღოს ბოლო მსგავს მოქმედებას“ (ადს).

ახალი კომუნისტური გაზეთი

ბერლინი, 8 ივნისი. გამოვიდა ახალი კომუნისტური გაზეთის პირველი ნომერი შემდეგი სახელწოდებით: „გერმანიის კომუნისტური პარტია—გ. კ. პ. ც. კ.—მეთორმეტე პარტიული ყრილობის (ბერლინში) ორგანო“. ეს გაზეთი გამოვა ყოველდღიურად გერმანიის კომუნისტური პარტიის ყრილობის განმავლობაში (ადს).

პოლონეთის საკონსულოს თანამშრომლის თვითმკვლელობის განზრახვა

კიევი, 8 ივნისი. 30 მაისს პოლონეთის კიევის საკონსულოს თანამშრომელი მეჯზეისკი გაემგზავრა ირპენსკის ტყეში და თავის მოკვლის მიზნით მარჯვენა საფეთქელში დაირტყა რევოლვერის ტყვია. შემთხვევის ადგილზე გაემგზავრნენ გამომძიებელი, პროკურატურის და პოლონეთის საკონსულოს წარმომადგენლები. დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში. იგი მძიმე მდგომარეობაშია. თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზები ირკვევა. (ადს).

უნიტარული პროფკავშირები არ იქნება დაშლილი

ვენა, 7 ივნისი. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობით, მიუხედავად ბუქარესტის, იასის, კლაუზენბურგის და სხვა ქალაქების სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებისა, ტემეშვარში, სასამართლოს განცხადებით, „არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ უნიტარული პროფკავშირები დაშლილი იქნან“.

სასამართლოს დადგენილება, პრესის აზრით, დაკავშირებულია ინგლისის მუშათა პარტიის გამარჯვებასთან (ადს).

ტისენს კრიზისი სურს

ბერლინი, 7 ივნისი. რეიხსტაგის სხდომაზე დემოკრატიული პარტიის დეპუტატმა ბერნგარდმა მოიყვანა ახალი ცნობები იმ თათბირის შესახებ, რომელიც ესენში გაიმართა სარეპარაციო კომისიის გერმანელ დელეგატებსა და მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის. შახტმა განაცხადა, რომ რეპარაციებით შექმნილი კრიზისი 2—3 წლის შემდეგ გამოიწვევს გერმანიის მეურნეობის დანგრევასო. ტისენმა (სამრეწველო კონცერნის მეთაური) ამის საპასუხოდ განაცხადა:

„ეს კრიზისი ეხლა ჩემთვის საჭიროა, რათა ერთსა და იმავე დროს თავიდან ავიცილო როგორც სარეპარაციო პრობლემა, ისე სამუშაო ხელფასის პრობლემა“ (ადს).

გერმანიის კომპარტიის მე-12 ყრილობა

ბერლინი, 7 ივნისი. ხვალ ბერლინის მუშათა რაიონში, ნეტინგში იხსნება გერმანიის კომპარტიის მე-12 ყრილობა. გერმანიის კომპარტიის მომავალ ყრილობისკენ არის მიმართული მთელი გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის ყურადღება. ამას მოწმობენ მრავალი მისასალმებელი დეპეშები, წერილები და თანაგრძნობის მიტინგები, რომლებსაც აწყობენ ასეული საწარმოების მუშები და უპარტიო მასიური ორგანიზაციები. (ადს).

უკრაინელი მუშების დევნა

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. კუბის კუნძულიდან (ჰავანიდან) კომუნისტურ „დეილი უორკერ“-ს ატყობინებენ, რომ დამცველმა პოლიციამ დაარბია უკრაინელი მუშების ადგილობრივი ორგანიზაცია, წაიღო საქმეები და დააპატიმრა თანამდებობის პირნი და ორგანიზაციის ყველა აქტივისტი. დაპატიმრებულებს ევროპაში გზავნიან.

„რეშედას“-ის ამერიკის სექციამ დაპატიმრებულები თავის მფარველობის ქვეშ მიიღო. (ადს).

იტალიის საჰაერო ესკადრილია ოდესაში

ოდესა, 8 ივნისი. დღეს იტალიიდან მოფრინდა საჰაერო ესკადრილია 35 ჰიდროპლანის შემადგენლობით. ესკადრილიას გზაში შეეგება 3 საბჭოთა თვითმფრინავი. ესკადრილიით ჩამოვიდა 180-ზე მეტი კაცი. დღესვე ოდესის ნავთსადგურში მოვიდა იტალიის ორი გამანადგურებელი, რომლებიც საჰაერო ესკადრილიასთან პარალელურად მიდიოდნენ ზღვით (ადს).

პოლონეთის სოც. პარტიის ასამაღლებლად

ვარშავა, 7 ივნისი. ივნისის დამლევს ვარშავაში ჩამოვლენ მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლები ვანდერველდე (ბელგია), ლემე (გერმანია) და ლატვიის სეიმის თავმჯდომარე. დარბაზობის მიზანს შეადგენს პოლონეთის სოციალისტური პარტიის პრესტიჟის ამაღლება და მისი მეორე ინტერნაციონალთან კონტაქტის დემონსტრაცია (ადს).

ვიკონტი-საიტო — იაპონია - საბჭოთა საზოგადოების თავმჯდომარე

ტოკიო, 7 ივნისი. იაპონია-საბჭოთა საზოგადოებამ თავის თავმჯდომარედ, ვიკონტ გოტოს გარდაცვალების შემდეგ, აირჩია ადმირალი ვიკონტი საიტო, კორეის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი. სხდომას დაესწრნენ პრემიერი ტანაკა და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ტროიანოვსკი. (ადს).

ვენიზელოსი ახალ კაბინეტს ადგენს

ათინა, 7 ივნისი. ვენიზელოსმა ახლად ამორჩეულ პრეზიდენტს კონტურიოტისს განცხადება წარუდგინა მთავრობის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა ახალი კაბინეტის შედგენა ვენიზელოსსვე დაავალა. ვენიზელოსმა წინადადება მიიღო. (ადს).

ვრანგელის კუნძულის უფროსი

ხაბაროვსკი, 8 ივნისი. საოლქო აღმასკომის დადგენილებით, ვრანგელის კუნძულის უფროსად დანიშნა ამხ. მინეევი, პარტიის წევრი—მუშა. სამოქალაქო ომის დროს ამხ. მინეევი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თურქესტანში თეთრგვარდიელთა ბანდების მოსპობაში. 1919 წლიდან ამხ. მინეევს ეჭირა ხელმძღვანელი თანამდებობანი პარტიული ხაზით (ადს).

აკადემიკოს იპატიევის ლაბორატორიის მუშაობა

მოსკოვი, 8 ივნისი. საკავშირო სახკომსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა აკადემიკოსის იპატიევის საინტერესო ცნობა გამოყენებითი ქიმიის ლენინგრადის ინსტიტუტთან არსებული მაღალი წნევის ლაბორატორიის მუშაობის შესახებ. ლაბორატორიამ დიდ წარმატებებს მიაღწია აკადემიკოს იპატიევის მეთოდით ჟანგვის სფეროში. აკადემიკოსმა ჩიჩიბაბინმა და პროფესორებმა კრაველმა, ჩეკინმა, ფოკინმა და გალპერინმა აზრთა გაცვლა - გამოცვლის დროს აღნიშნეს აკადემიკოსის იპატიევის მუშაობის დიდი მნიშვნელობა. ჩეკინმა აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს აკადემიკოსის იპატიევის მუშაობის შედეგებს, რადგან ფოსფორის პრობლემას ამჟამად მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

პრეზიდიუმი აკად. იპატიევის მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში სცნობს, რომ აკად. იპატიევის მაღალი წნევის ლაბორატორიის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, კერძოდ — სოფლის მეურნეობისათვის. განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ეძლევა ლაბორატორიის მუშაობას ჩვენი მრეწველობის საპერსპექტივო გეგმის განხორციელებისათვის. სამეცნიერო - ტეხნიკურ სამმართველოს დაევალა — სასწრაფოდ დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ აკად. იპატიევის ლაბორატორია გადაკეთდეს მაღალი წნევის ინსტიტუტად და იგი უზრუნველყოფილ იქნას თანხებით, სამეცნიერო კადრებით და სხვ. ყველა სამეურნეო ორგანიზაციას წინადადება ეძლევა — დაუბრკოლებლად და პირველ რიგში დააკმაყოფილონ ლაბორატორიის შეკვეთები მოწყობილებაზე და მასალაზე. გადაწყდა — 1929 — 30 წლის საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებულ იქნას თანხების გადიდება ლაბორატორიის (ინსტიტუტის) მუშაობის განსავითარებლად. მთავრობის წინაშე აღძრული იქნება შუამდგომლობა, რომ იპატიევს მიეცეს სავალიუტო თანხები ლაბორატორიისათვის საჭირო აპარატურის შესაძენად. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბურჟუაზიული პრესა ესალმება საგარეო საქმეთა მინისტრს ჰენდერსონს

მოსკოვი, 9 ივნისი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, ბურჟუაზიული პრესის დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით შეხვდა პორტფელების განაწილებას მაკდონალდის კაბინეტში. განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოსთქვამს პრესა არტურ ჰენდერსონის დანიშვნის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ“-ი ჰენდერსონის დანიშვნასთან დაკავშირებით კმაყოფილებით აცხადებს, რომ **არტურ ჰენდერსონი მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარეა.**

მაკდონალდის კაბინეტში შევიდა ორი ლიბერალი

მოსკოვი, 9 ივნისი. მაკდონალდის კაბინეტში შევიდა ორი კანდიდატი ლიბერალური პარტიიდან. პირველი მათგანი არის ლორდი ჯონ-სანკი, რომელმაც დაიჭირა ლორდ-კანცლერის პოსტი, ხოლო მეორე — ჯოუიტი, რომელსაც დაეკისრა გენერალური პროკურორის მოვალეობა. უკანასკნელი ცნობილი იურისტია, რომელმაც, საპარლამენტო არჩევნების დამთავრებისთანავე, დასტოვა ლიბერალური პარტია და მუშათა პარტიაში გადაბარგდა.

მაკდონალდის პირველ მთავრობაში გენერალური პროკურორის პოსტი ეჭირა მუშათა პარტიის წარმომადგენელს სლესსერს. მთავრობის ეხლანდელ შემადგენლობაში სლესსერი არ იქნა შეყვანილი მხოლოდ იმიტომ, რომ **მან გენერალურ პროკურორად ყოფნის დროს სათანადო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა ყოფ. კომუნისტის კემპბელის დევნის საქმეში.**

ტომასის დანიშვნა მეგობრული ნაბიჯია კაპიტალის მიმართ

მოსკოვი, 9 ივნისი. მაკდონალდის კაბინეტში შექმნილია ახალი სამინისტრო, რომლის მიზანსაც შეადგენს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა. სამინისტროს ხელმძღვანელად დანიშნულია ტომასი. უმუშევრობის შენელება ტომასს განზრახული აქვს რკინის გზის ტრანსპორტის რაციონალიზაციის ჩატარებით.

გაზეთი „დეილი ექსპრეს“-ი, რომელთანაც დაახლოებულია ტომასი, მეტად დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს უმუშევრობის წინააღმდეგ მებრძოლ სამინისტროს სათავეში ღირსეული პირის წამოყენებით. **ტომასის დანიშვნა უნდა ჩაითვალოს აშკარა მეგობრულ ნაბიჯად კაპიტალის მიმართ.**

„პრავდა“ მაკდონალდის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

მოსკოვი, 9 ივნისი. „პრავდა“ თავის დღევანდელ ნომერში ეხება მაკდონალდის მთავრობის სამოქმედო პროგრამას და კერძოდ ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პერსპექტივებს. გაზეთი სწერს:

ჩვენ სავსებით ნათლად ვუწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ მაკდონალდის მთავრობა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების განახლების დროს ისევე თავგამოდებით დაიცავს ინგლისის კაპიტალის ინტერესებს, როგორც ყოველი ბურჟუაზიული, არამუშური, ინგლისის მთავრობა.

მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია იმ განწყობილებამ, რომელიც გამოაშკარავდა არჩევნების შემდეგ, აიძულოს მაკდონალდი გადასდგას ნაბიჯი თავის დაპირების განსახორციელებლად ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დარგში. ამ შემთხვევაში ინგლისს შეეძლება თავი დააღწიოს ჩიხს, რომელშიაც მოაქცია ის შუბლმაგართა ბეცი პოლიტიკის წყალობით.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შტატების ეკონომიური ურთიერთობა

(საუბარი ჩვენს კორესპონდენტთან)

მოსკოვი, 9 ივნისი. ამ დღეებში ნიუ-იორკიდან ჩამოვიდა ამტორგის თავმჯდომარის მოადგილე გურევიჩი, რომელმაც თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ შემდეგი განაცხადა:

საბჭოთა კავშირის და ჩრდილოეთ ამერიკის შტატების ეკონომიური ურთიერთობა შეუჩერებლივ ვითარდება. ამერიკის ფირმების მონაწილეობა ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში ყოველწლიურად თვალსაჩინოდ მატულობს. იზრდება აგრეთვე ჩვენი კრედიტებიც ამერიკის ბანკებში.

მეტად ნორმალურად მიმდინარეობს ტეხნიკური თანამშრომლობაც. ამას მოწმობს მთელი რიგი ხელშეკრულებები საბჭოთა კავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო ორგანიზაციათა შორის. ფორდთან დადებული ხელშეკრულება ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს.

დადებულია ახალი ხელშეკრულებანი საინჟინერო - კონსულტაციურ ფირმებთან, რომელნიც დახმარებას გაგვიწევენ ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიისა და მეურნეობის სხვა დარგში. ბოროტებას ჩავიდენთ ჩვენი სახალხო მეურნეობის წინაშე, თუ სავსებით ვერ გამოვიყენეთ ყველა ის უპირატესობანი, რომლებსაც გვაძლევს ზემოხსენებული ხელშეკრულებანი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. საშა გეგეჭკორის ხსოვნას

გავიდა ერთი წელიწადი დაუვიწყარი საშა (ალექსი) გეგეჭკორის უდროოდ დაკარგვის შემდეგ. ეს დაკარგვა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლებისათვის მეტად საგრძნობი იყო და არის დღესაც. ამხ. საშა გეგეჭკორი ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, რომელთა სახელი დიდ ხანს დარჩება საზოგადოების მეხსიერებაში. მისი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუშების და გლეხების რევოლიუციონურ მოძრაობასთან ჩვენში დაწყებული 1905 წლის რევოლიუციიდან. მაგრამ მისმა ასეთმა მოღვაწეობამ სავსებით გაშალა ფრთები განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ჯერ საქართველოში მენშევიკების ხელისუფლებასთან ბრძოლაში და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. ამ სარბიელზე მან ჩქარა მოიპოვა უშიშარი და მამაცი მებრძოლის სახელწოდება და მასთან დაიმსახურა დიდი ნდობა და პატივისცემა იმ რაზმების მხრივ, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობას უწევდა.

საშა გეგეჭკორი დაბადებული იყო ბრძოლისათვის, და შეიძლება ითქვას, რომ მან ეს ნიჭი გამოიყენა სავსებით მუშათა კლასის სასარგებლოდ. მას არა ერთხელ უთქვამს ამხანაგებთან საუბრის დროს: გარემოება ხელს არ მიწყობდა თავის დროზე საფუძვლიანად შემესწავლა მარქსის მოძღვრება, მე არ ვარ მჭერმეტყველი, რომ სიტყვით და წერით პროპაგანდა ან აგიტაცია მეკისრა ფართო მასაში, მაგრამ სამაგიეროდ მე ბუნებამ დამაჯილდოვა მხედრის, მებრძოლის ნიჭით და მხოლოდ ამ ნიჭის გამოყენებით მე შემეძლო სარგებლობის მოტანა მუშათა კლასის გასამარჯვებლადო. და სწორედ ასე მოიქცა ამხ. საშა. მან ირჩია სამხედრო დარგი, ე. ი. მუშაობა სამხედრო ორგანიზაციებში, რაც პირადად მისთვის უფრო სახიფათო იყო. ბუნებისაგან თანდაყოლილი ნიჭი მან გამოიყენა მუშათა კლასის მტრებზე შურის საძიებლად ჯერ პარტიზანული და ტერორისტულ თავდასხმების მოწყობით იმათ აგენტებზე და შემდეგში, ოქტომბრის რევოლიუციის ხანაში, განსაკუთრებული მებრძოლი რაზმების შედგენით კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობათა დასამარცხებლად. დღესაც ყველას ახსოვს, რომ იქ, სადაც გამოჩნდებოდა „გეგეჭკორის რაზმი", ეს უკანასკნელი შიშის ზარს გვრიდა კონტრ-რევოლიუციონერებს და იმათ დამქაშებს. განსაკუთრებით საშიში შეიქნა ამხ. საშა მენშევიკების მთავრობისათვის. იმათი შიში ამ მხრით იქნამდის მივიდა, რომ ეს ვაჟბატონები დაფრთხენ მაშინაც კი, როცა გაიგეს, რომ ს. გეგეჭკორი დაბრუნდა ჩრდილოეთ კავკასიიდან და იმყოფებოდა თბილისში, თუმცა ფეხმოჭრილი და ავადმყოფი, და რამდენიმედ დამშვიდდნენ მხოლოდ მაშინ, როცა იგი ხელთ იგდეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს.

ასეთი იყო ს. გეგეჭკორი, როგორც ერთგული მებრძოლი მუშათა კლასისა და საუკეთესო დარაჯი პროლეტარული რევოლიუციისა. რა თქმა უნდა, ბევრ დადებით მხარეებთან მას ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი, ზოგიერთი უარყოფითი მხარეებიც. ეს იყო თანდაყოლილი, მემკვიდრეობით მიღებული. მასში იყო განვითარებული უკიდურესი თავმოყვარეობა, და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ფეხის დაკარგვა აბრკოლებდა მის სამხედრო ნიჭის ისე რიგად გამოყენებას, როგორც წინედ, და ამასთანავე მის ქრონიკულ ავამყოფობას ამ ნიადაგზე, რაც ხშირად იწვევდა ხანგრძლივ აუტანელ ფიზიკურ ტკივილებს, ჩვენ ადვილად გავიგებთ იმ ნერვების აშლას, რაც ამხ. საშას დაეტყო უკანასკნელ ხანებში და აგრეთვე იმ საბედისწერო ნაბიჯს, რომელიც მან გადადგა ამ ერთი წლის წინედ. ეს იყო მისი უდიდესი დანაშაული პარტიის წინაშე. მაგრამ პარტიამ მიიღო რა მისი რევოლიუციონური დამსახურება, მას ეს დანაშაული აპატია.

რა თქმა უნდა, მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საშა გეგეჭკორი ჯერ კიდევ საჭირო იყო პარტიისა და ხელისუფლებისათვის, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ამიტომ მისი დაკარგვა ორნაირად საგრძნობი და სამწუხარო იყო. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენში.

ფ. მახარაძე.

შეუდრეკელი მებრძოლი

ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს ორგანიზაციამ დაჰკარგა შეუდრეკელი მებრძოლი და საუკეთესო ორგანიზატორი-ბოლშევიკი ამხ. საშა გეგეჭკორი.

ამხ. საშას დიდი ღვაწლი მიუძღვის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში. ის ორნახევარი ათეულ წლების განმავლობაში ბოლშევიკური სიმტკიცით, თავგანწირულად და გმირულად იბრძოდა მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ამხ. საშამ დანაშაული ჩაიდინა, მან ვერ გაუძლო ჯანმრთელობის დაკარგვას, ის ნებისყოფის სიმტკიცე, რომელიც მას ამოქმედებდა სამუდამოდ დაემსხვრა და თვითმკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ შეცდომა მან გამოისყიდა თავისი დიადი რევოლიუციონური წარსულით.

მისი დაღუპვის ერთი წლის თავზე ვიგონებთ ამხ. ს. გეგეჭკორის ძვირფას სახელს, მისი სპეტაკი ხსოვნა. მისი მუდამ გამარჯვებისათვის მოწოდებული ხმა და მისი რევოლიუციონური ენტუზიაზმი არასოდეს არ მოისპობა.

ვანო ბოლქვაძე.

მზადება საერთაშორისო ანტი-იმპერიალისტური დღისათვის

მოსკოვი, 8 ივნისი კომინტერნის მეექვსე კონგრესმა, რომელიც შესდგა გასული წლის ზაფხულში, დაადგინა — ჩატარებულ იქნას ახლო მომავალში საერთაშორისო ანტი იმპერიალისტური დღე შემდეგი ლოზუნგებით: ბრძოლა იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ და იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად. საერთაშორისო იმპერიალისტური დღე დანიშნულია 1929 წლის 1 აგვისტოსათვის. ამ დადგენილებას მხარი დაუჭირეს სხვადასხვა ქვეყნის კომპარტიების კონფერენციებმა.

საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური დღისათვის მზადება ამჟამად ყველა ქვეყანაშია. 1-ლ აგვისტოსათვის ენერგიულად ემზადება პროფინტერნი. გლეხთა ინტერნაციონალი 1 აგვისტოს გამოიყენებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პროპაგანდისათვის. გლეხთა ინტერნაციონალი საჭიროდ სთვლის აგრეთვე, რომ ივლისში კვირა დღეები გამოყენებულ იქნას გლეხობისათვის 1 აგვისტოს ლოზუნგების მნიშვნელობის განსამტკიცებლად. სათანადო დირექტივები მისცა თავის სექციებს აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. ახალგაზრდობის კომინტერნი დიდ ყურადღებას აქცევს 1 აგვისტოს დღის მომზადებას აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სპორტინტერნმა მოუწოდა თავის სექციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ 1 აგვისტოს დღის ჩატარებაში. (ადს).

საქართველოს მშრომელთა პროტესტი

პოლონელ ფაშისტების წინააღმდეგ

დემონსტრაცია პოლონეთის საკონსულოს წინ

პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლების გამო გუშინ თბილისში გაიმართა მუშათა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. მშრომელთა უამრავმა კოლონებმა თავი მოიყარეს ჯერ თავისუფლების მოედანზე და აქედან დაახლოვებით პირველ საათზე წითელი დროშებით და პლაკატებით გაემართნენ პოლონეთის გენერალურ საკონსულოსკენ; დემონსტრაციის მისვლამდე საკონსულოს შენობასთან უკვე გამწკრივებული იყვნენ მილიციელები და იცავდნენ საკონსულოს, ყირიმოვის ქუჩა, რომელზედაც მოთავსებულია პოლონეთის საკონსულო მალე გაივსო თბილისის აღშფოთებული მშრომელებით, ერთ-ერთმა დემონსტრანტმა საკონსულოს შენობის პირდაპირ, კედელზე ააკრა პლაკატი. პლაკატი გამოხატავდა „პან პილსუდსკის", რომელიც რადიოთი უსმენს პარიზისა და ლონდონის ბრძანებებს. პლაკატს შემდეგი წარწერა „ამშვენებდა": „ორი ბატონის მსახური".

მრავალი სხვა პლაკატებიც, რომლებიც მიქონდათ დემონსტრანტებს, აგრეთვე გამოხატავდნენ მშრომელთა აღშფოთებას. „ძირს პოლონეთის ფაშისტური მთავრობა", „კმარა თამაში პროვოკაციით", „ჩვენ არავის დაუთმობთ ოქტომბრის მონაპოვართ", „პანების პროვოკაციის საპასუხოდ ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას" და სხვ.

გაიმართა მიტინგი.

„საბჭოთა მთავრობას არ სურს ომი, მაგრამ ჩვენ არავის მივცემთ უფლებას ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეებში. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს მრავალჯერ დაუმტკიცებია თავისი სიძლიერე და თუ საჭირო შეიქნა, კიდევაც დაამტკიცებს",—აღნიშნავდნენ ორატორები.

„ძირს პოლონეთის პანები, ძირს პროვოკატორები! გაუმარჯოს საბჭოთა პოლონეთს", — გუგუნებდნენ დემონსტრანტები.

— „მოქალაქენო, ფილაქნისაკენ ნუ მიიწევთ, განა იქით ადგილი არ არის?" — ჩახრინწიანებული ხმით მოუწოდებდა ზღვა ხალხს მილიციელი.

— „ეს მილიციელები ვისას სდარაჯობენ საკონსულოში?" შეეკითხა ჩემს გვერდში მდგომი ხანში შესული მუშა-ქალი ახალგაზრდა მუშას, რომელსაც კომკავშირის ნიშანი უმშვენებდა მკერდს.

— საკონსულოს თანამშრომლებს, — იყო პასუხი.

ოთხის ნახევარ საათზე დემონსტრაციამ დაშლა დაიწყო. მუშები უხალისოთ იშლებიან.

— რას გაჩერებულხართ, წადით მოქალაქევ სახლში! — ეუბნებიან მილიციელები აქა-იქ ჯგუფურად გაჩერებულ მუშებს.

ა. შ.

კაპიტალის ფინიას არ დაუთმობთ

(საქ. უნივერსიტ. სტუდენტთა პროტესტი)

გუშინ დილით სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში გაიმართა საპროტესტო მიტინგი პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლების გამო. მიტინგი, რომელსაც დაესწრო 800-მდე სტუდენტი და პედაგოგიურ - ტეხნიკური პერსონალი, გახსნა რექტორმა ტოროშელიძემ, რომელმაც დამსწრეთ აცნობა პოლონეთის ფაშისტების და მათი დამქაშების — ქართველ ემიგრანტების პროვოკაციული გამოლაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: პროფ. შ. ნუცუბიძე, დოც. ი. სურგულაძე, ამხ. ერქომაიშვილი და სტუდენტობიდან — ლოგუარია.

ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„პოლონეთის ფაშისტური მთავრობის მორიგი პროვოკაციული გამოსვლა არის მჭერმეტყველური საბუთი იმისა, რომ ხსენებული მთავრობა შინაური მძიმე კრიზისიდან ეძებს გამოსავალს საგარეო ავანტიურაში და მზად არის პირნათლად შეასრულოს მსოფლიო ბურჟუაზიის ფინიის როლი საბჭოთა კავშირის მიმართ. პოლონეთი გათამამდა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკით. ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ ომისათვის მზად ვართ და საჭიროების დროს წიგნებს თოფებით შევცვლით".

მოვითხოვთ ზომების მიღებას პროვოკაციული გამოსვლების აღსაკვეთად

(საქ. სამეცნიერო მუშაკთა პროტესტი)

გუშინ, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგა მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ბიუროს წევრების გარდა დაესწრენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერების მუშაკნი. სხდომა გახსნა ბიუროს თავმჯდომარემ პროფ. ახვლედიანმა. უნივერსიტეტის სახელით ილაპარაკეს კეკელიძემ, ერქომაიშვილმა, იუზბაშევმა, ნათაძემ, პოლიევქტოვმა, ცენტრარქივიდან ჩაჩანიძემ, რევოლიუციის მუზეუმიდან ბელჟეიშვილმა, ექიმების სახელით დოცენტმა აბაკელიამ. დასასრულ სხდომამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება პოლონეთის ფაშისტური მთავრობის მორიგი გამოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს გაფართოებული სხდომა გამოსთქვამს თავის აღშფოთებას პილსუდსკის მთავრობის თავხედური საქციელის გამო იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც მისცა ქვეყნიერებას ჯერ არნახული მაგალითი ეროვნებათა თანამშრომლობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისა. საქართველოს მეცნიერების მუშაკნი, რომელთაც პირველად მიეცათ ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა მეცნიერების ასპარეზზე, მოითხოვენ ენერგიული ზომების მიღებას ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ და თავის მხრივ ფიცს სდებენ, რომ მუშათა კლასთან ერთად იბრძოლებენ ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკის დასაცავად".

დამცველთა კოლეგიის წევრთა პროტესტი

გუშინ, საღამოს 8 საათზე იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში შესდგა თბ. დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრის პ. ქავთარაძის მოხსენება პოლონეთის მორიგ ანტისაბჭოთა გამოსვლის შესახებ.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი საპროტესტო რეზოლიუცია:

„თბილისის დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლონეთის ფაშისტური მთავრობის პროვოკაციულ გამოსვლის გამო.

პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობა ქართველ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრანტთა საღამოზე, თეთრგვარდიელ პეტლიურას პანაშვიდზე და ჩოკაევის მოხსენებაზე ნიშნავს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის აღმაშფოთებელ ფაქტს.

ფაშისტური პოლონეთი განაგრძობს ავანტიურისტულ პოლიტიკას. მსოფლიო იმპერიალიზმის კარნახით ის ამზადებს ომსა და ინტერვენციას საბჭოთა კავშირის მიმართ. პოლონეთის ფაშიზმის ბნელ განზრახვებს საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი უპასუხებს შეუპოვარი რევოლიუციონური თავდაცვით.

ჩვენ, საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთი რაზმი, მჭიდროთ შევკავშირდებით კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ. ჩვენ ისევე როგორც საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელი, მზად ვართ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. ჩვენ მშვიდობიანობისა და საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონური თავდაცვის მომხრენი ვართ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თავდაცვას! ძირს ფაშისტური პოლონეთი! ზიზღი ქართველ მენშევიკთა კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას. გაუმარჯოს მომავალ საბჭოთა პოლონეთს!".

ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან

(კოლოფების ფაბრიკა)

გუშინ, 8 ივნისს, დილით კოლოფების ფაბრიკაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელზედაც პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. დარახველიძემ.

მუშების მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პოლონეთის მთავრობის პროვოკაციის საპასუხოდ მუშები კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას და ღირსეულ პასუხს გასცემენ იმპერიალისტების ყველა ბნელ ზრახვებს.

თელავის მუშა-მოსამსახურეთა პროტესტი

(ტელეგრაფით თელავიდან)

8 ივნისს შესდგა თელავის რაიონის მშრომელი მოსახლეობის, ცხენოსან ლეგიონის და მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული საპროტესტო მიტინგი პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლის გამო. მიღებულმა საპროტესტო რეზოლიუციამ, ჩვენ მთავრობას გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

ჩვენ მზად ვართ თავდაცვისათვის

(პირველი ქართული დივიზია)

პირველი ქართული დივიზიის საბანაკო მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „პირველი ქართული დივიზიის საბანაკო მიტინგი ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის ოფიციალური წრეების პროვოკაციული გამოსვლების გამო. მიგვაჩნია რა ეს პროლეტარული სახელმწიფოს გამოწვევად, წითელარმიელები და უფროსი შემადგენლობა დარწმუნებულნი არიან, რომ პოლონეთის გათავხედებული შლიახტა სათანადო პასუხს მიიღებს საბჭოთა კავშირის მშრომელებისაგან, ჩვენ კი მზად ვართ ჩვენი მკერდით დავიცვათ საბჭოთა კავშირი მსოფლიო ბურჟუაზიისა და შინაურ კონტრ-რევოლიუციისაგან".

არავის დაუთმობთ ჩვენს მონაპოვარს

(ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

გუშინ, მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, გაიმართა თბილისის პირველი ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშათა მიტინგი; ამხ. ცაგურიამ დამსწრეებს გააცნო ის პროვოკაციული ხრიკები, რომელსაც მიმართა პოლონეთის ფაშისტურმა მთავრობამ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ.

ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „პოლონეთის ფაშისტური მთავრობა სცდილობს პროვოკაციული ხრიკებით მოაწყოს ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ საქმეში მას ბანს აძლევენ საქართველოდან განდევნილი მენშევიკები. საბჭოთა კავშირის მშრომელებს არ სურთ ომი, მაგრამ თუ იგი თავზე მოგვახვიეს, ქართველი მუშები, საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, ერთხელ კიდევ დაუმტკიცებენ ბურჟუაზიის ლაქიებს — მენშევიკებს, რომ ისინი არავის დაუთმობენ თავის მონაპოვარს".

დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს

(ტელეფონით ბორჯომიდან)

8 ივნისს ბორჯომის წარმოება - დაწესებულებების მუშა-მოსამსახ. საერთო კრებაზე, რომელსაც 4 ათასამდე კაცი დაესწრო, მოსმენილ იქნა მოხსენება პოლონეთის ფაშისტური მთავრობის პროვოკაციული ნაბიჯების შესახებ.

მიღებულ რეზოლიუციებში ბორჯომის მუშები აღშფოთებას გამოსთქვამენ პოლონეთის მთავრობის მტრული მოქმედების გამო და აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ბურჟუაზიის, კერძოდ პოლონელ პანებს, აგრეთვე ემიგრაციაში მყოფ ქართველ სოციალ-გამცემლების შავი ზრახვები მიზანს ვერ მიაღწევს; საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ძმურ კავშირს ვერ შესწყვეტს იმპერიალისტური ქვეყნების პროვოკაცია.

მუშები მოუწოდებენ ყველა მშრომელებს განამტკიცონ ს.ს.რ.კ თავდაცვის უნარიანობა და გააძლიერონ სოც. მშენებლობის ტემპი.

„ჩვენ, ბორჯომის მუშები — ნათქვამია რეზოლიუციებში, სავსებით ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თავს დაგვესხმიან, იარაღით დავიცავთ ოქტომბრის დიად მონაპოვარს".

კიდევ უფრო გავაღრმავებთ ოქტომბრის მონაპოვარს

(ტელეგრაფით ქუთაისიდან)

ქუთაისში დიდი აღშფოთება გამოიწვია პოლონეთის ფაშისტების მორიგმა უპასუხისმგებლო პროვოკაციულმა გამოსვლამ. 8 ივნისს თორმეტ საათზე ყველა კავშირებში მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებებზე გამოჰქონდათ საპროტესტო რეზოლიუციები. ორ საათზე მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა ათიათასი კაცი. დემონსტრანტები აცხადებდნენ, რომ თუ ვინმე განიზრახავს წითელი საზღვრების გადმოლახვას, მშრომელნი მთელი თავიანთი ძალღონით შეუტევენ მტერს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ საბჭოთა ქვეყანას და კიდევ უფრო გაშლიან და გააღრმავებენ ოქტომბრის მონაპოვარს.

მესხი.

პროვოკაციით ვერაფერს დაგვაკლებენ

(საპროტესტო მიტინგები ტყიბულში)

ტყიბული, 7 ივნისი. გაიმართა მაღაროებისა და ტრანსპორტის მუშათა საპროტესტო მიტინგები პოლონეთში ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ. მიღებულ რეზოლიუციაში მუშები და მოსამსახურეები ზიზღით გმობენ იმ ბნელ ძალებს, რომელნიც მუშათა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებენ. მუშები ფიცს სდებენ — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ კონტრევოლიუციონერების წინააღმდეგ და გაორკეცებული ენერგიით იმუშავებენ სოციალისტური მშენებლობისათვის. (ადს).

პ ა რ ტ ი ა შ ი

მემარჯვენე ოპორტუნისტებს ნებას არ მივსცემთ დაარღვიონ ბოლშევიკური დისციპლინა

აჭარისტანის ორგანიზაცია მტკიცედ დაიცავს პარტიის ხაზს

საოლქო კონფერენციის რეზოლიუცია ამხ. მ. კახიანის მოხსენების გამო

ბათომი, 7 ივნისი. აჭარისტანის მე-10 პარტიულ კონფერენციაზე ბათომში მოსმენილ იქნა ამხ. კახიანის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის აპრილის პლენუმის და მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. მოხსენების გამო ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც კონფერენცია სავსებით და მთლიანად იწონებს პლენუმის და კონფერენციის გადაწყვეტილებებს და უერთდება მათ.

„პლენუმისა და კონფერენციის გადაწყვეტილებანი, — ნათქვამია რეზოლიუციაში, — ემყარებიან მე-15 ყრილობის მიერ მოცემულ გენერალურ ლენინურ ხაზს და სისწორით სახავენ გზებს პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცებისათვის. კონფერენციის მიერ მიღებული სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გაშლილი სოციალისტური შეტევის პროგრამას და უზრუნველჰყოფს ძირითადი ამოცანის შესრულებას სახალხო მეურნეობის დარგში, სახელდობრ იმას, რომ დავეწიოთ და გაუსწროთ ეკონომიურის მხრით კაპიტალისტურ ქვეყნებს. კონფერენციის გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის შესახებ სახავს გარკვეულ სწორ ლენინურ გზას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის.

საოლქო კონფერენცია კმაყოფილებით უერთდება ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის და საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს შინაპარტიულ საკითხებში, რომლებიც გადაჭრით გმობენ ანტილენინურ გადახრებს და მათდამი შემრიგებელ დამოკიდებულებას, რაიც ამჟამად მთავარ საფრთხეს წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის.

საოლქო პარტკონფერენცია, გადაჭრით გმობს რა მემარჯვენე ელემენტების ფრაქციულ მუშაობას პარტიის შიგნით, აღნიშნავს პარტიული დისციპლინის სავსებით შეუწყნარებელ დარღვევას მემარჯვენეთა მიერ და ზიზღით გმობს უპრინციპო ბლოკის შექმნის ცდას ლენინურ ცეკასთან საბრძოლველად.

პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად საოლქო კონფერენცია სთვლის მემარჯვენეობის თანმიმდევრობით მხილებას და მასთან ბრძოლას, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის გამოაშკარავებას და დაძლევას ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

კონფერენცია აჭარისტანის ორგანიზაციის სახელით აცხადებს, რომ ორგანიზაცია ყოველთვის ემხრობოდა და მომავალშიაც მიემხრობა საკავშირო კომპარტიის (ბ) მონოლითობას, საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ ცეკას პლენუმის და მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა გადაჭრით გადაუხრელად შესრულებას და იბრძოლებს ბოლშევიკური მთლიანობის დამრღვეველთა წინააღმდეგ, წვრილ - ბურჟუაზიული მერყეობის წინააღმდეგ"

კონფერენციის 6 ივნისის საღამოს სხდომაზე მოხდა საოლქო კომიტეტის არჩევნები. საოლქო კომიტეტი არჩეულ იქნა 69 წევრისა და 25 კანდიდატის შემადგენლობით, რის შემდეგაც კონფერენცია დაიხურა. (ადს).

საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი

ბათომი, 7 ივნისი. შესდგა ახალი შემადგენლობის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმზე გამოყოფილ იქნა პრეზიდიუმი 19 წევრის და 5 კანდიდატის შემადგენლობით. აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მამულია, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ — ამხ. გობეჩია, სააგ.-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ — ამხ. ანასტასიადი, სოფლად მუშაობის განყოფილების გამგედ — ამხ. ზოიძე. (ადს).

მემარჯვენე გადახრის მიფუჩეჩების წინააღმდეგ

(ტრამვაის მე-2 უჯრედის საანგარიშო კრებაზე)

უჯრედში ირიცხება 116 კომუნისტი, მათ შორის 103 მუშაა. კრება გაიხსნა, უჯრედის მდივანი ამხ. კარნეევი უამბობს უჯრედს ბიუროს მუშაობის შესახებ. უჯრედი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (6 თვე) გაზრდილა 36 ამხანაგით—ყველანი დაზგის მუშებია.

პარტიიდან გამოირიცხა 2 კაცი ლოთობისა და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. უჯრედის სხდომებს არ ესწრება და აგვიანდება უჯრედის წევრთა საგრძნობი რიცხვი. პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია 58 ამხ., მხოლოდ როგორც აღნიშნავდნენ კამათში გამოსული ამხანაგები, ზოგიერთი მათგანი არ ასრულებს დავალებებს. კერძოთ მოისუსტებდა აგიტპროპკომისიის მუშაობა. პარტორგები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე, ისინი პოლიტიკურ საკითხებში კარგად ვერ ერკვევიან და უპარტიო მუშის ამ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ იძლევიან. არის შემთხვევა, როდესაც პარტორგი კვერს უკრავს უპარტიო მუშის არა სწორ შეხედულებას.

თვითკრიტიკა, სანამ ცეკას მომართვა გამოვიდოდა, არ ტარდებოდა, რადგან მუშები ვერ ბედავდენ თავის აზრის საჯაროდ გამოთქმას. ცეკას მომართვის დამუშავების შემდეგ ამხანაგები კამათში უფრო გაბედულად გამოდიან. ამ მხრივ უჯრედს მიღწევები აქვს.

რაც შეეხება პარტიის ხაზიდან გადახრებს (ტროცკიზმი, მემარჯვენე გადახრა), ასეთებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ უჯრედმა აწარმოვა სათანადო მუშაობა. გაუსწორებელი ტროცკისტები პარტიიდან გამოირიცხა. საკითხი მემარჯვენე გადახრის შესახებ უჯრედმა დაამუშავა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხებში ყველა ამხანაგები კარგად ვერ ერკვევიან. უჯრედში არის ერთი ამხანაგი, რომელიც კერძო საუბარში გამოსთქვამს მემარჯვენე შეხედულებებს. ამ ამხანაგის აზრით გლეხი, რომელსაც ჰყავს 4 უღელი ხარი, არ არის კულაკი. „რა საჭიროა ასეთ გლეხთან ბრძოლა, ის ხომ მუშაობს, იგი ჩვენთვის გამოსადეგარია"-ო.

საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი ეს გამოირკვა კამათში გამოსულთა სიტყვებიდან. უჯრედის მდივანმა კი ანგარიშის დროს განაცხადა, რომ გადახრას უჯრედში ადგილი არა აქვსო.

საკითხი სოციალისტური შეჯიბრის შესახებ დამუშავებულ იქნა, მაგრამ პრაქტიკული შედეგები ჯერ არა სჩანს. წარმოებაში არის კომკავშირელთა მხოლოდ ორი ბრიგადა, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შეჯიბრების ჩატარებაში.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საწარმოო თათბირების მუშაობის შესუსტება, რაც შესამჩნევია განსაკუთრებით ბოლო ხანებში. არამც თუ უპარტიო მუშები, არამედ პარტიული ამხანაგებიც ვულგარულად ეკიდებიან თათბირებს. ამის უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მუშების მიერ შემოტანილი წინადადებანი უყურადღებოთ რჩება, რის გამოც მათ ხალისი დაეკარგათ. ამხანაგებმა მოიყვანეს მაგალითი, როდესაც საწარმოო თათბირზე შეტანილი წინადადებანი კოლექტივის ბიუროს სხდომაზე სასაცილოდაც არ ეყოთ: „ასეთი წვრილმანი, როგორიც არის ცოცხების გაუმჯობესება, აბა რა ყურადღების ღირსია".

ხელმძღვანელობა კომკავშირზე იყო, მაგრამ, როგორც მდივანმა აღნიშნა, „ახალგაზრდობა იზრდება და მეტ მოთხოვნილებას აყენებს". ამ მოთხოვნილებას კი უჯრედი ვერ აკმაყოფილებს მთლიანად.

უჯრედმა ბოლო დროს მოაწესრიგა კავშირი წითელ არმიის ერთ-ერთ ნაწილთან, რაც მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

პარტიული დატვირთვა არ არის განაწილებული თანაბრად. არის ამხანაგები, რომელთაც აქვთ 6—8 დავალებამდე.

ბიუროს მუშაობა, ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

ი.—ძე.

გადამჭრელი ზომები

კლასობრივი მტრების წინააღმდეგ

მახაჩ-კალა, 8 ივნისი. დაღესტნის საკონტროლო კომისიამ აღმოაჩინა ხასავიურტის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელთა გახრწნა. კლასობრივი მტრები შემძვრალან ხელმძღვანელი ფენების შემადგენლობაში. საკონტროლო კომიტეტის ბიუროს წევრი ტურტუბალიევი, ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი, პროპაგანდისტი ფატულაევი და საქმეთა მმართველი სადიკოვი ყოფილი სპეკულიანტები არიან. გახრწნილებამ ყველგან გაიდგა ფესვი. კონტრ - რევოლიუციონერებმა მოკლე დროს განმავლობაში მოჰკლეს კომკავშირის გაზეთის რედაქტორი და განიზრახეს მიწის მზომელის მოკვლა. აულებში ადგილი აქვს კულაკებისა და სამღვდელოების ძალადობას. დაღესტნის კომიტეტის ბიურომ და საკონტროლო კომისიამ დაადგინეს — დაითხოვონ ხასავიურტის კომიტეტი და მიიღონ გადამჭრელი ზომები გახრწნის აღმოსაფხვრელად. (ადს).

მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ პრაქტიკაში

პარტიამ, მიაღწია რა გადამჭრელ წარმატებას ტროცკიზმის გამომჟღავნებაში როგორც თავის რიგებში, ისე მუშათა კლასის მასებში, ფართო ფრონტით გაშალა ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან—მთავარ საფრთხესთან ეხლანდელ ეტაპზე. ეს შემთხვევითი არ არის. მემარჯვენე ოპოზიცია და უთანხმოება პარტიაში წარმოიშვა კლასობრივი ბრძოლის იმ გამწვავების ნიადაგზე, რასაც ამ უკანასკნელ დროს ადგილი აქვს ჩვენს მიერ სოციალისტური შეტევის ფრონტზე მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით.

მემარჯვენე ოპორტუნისტების შეცდომა—და მათი საშიშროება რევოლიუციისათვის — იმაშია, რომ ისინი ვერ ხედავენ კლასობრივ გარდატეხებს და მათ არ ესმით ის ახალი პროცესები, რაც ჩვენში ხდება. ამიტომ ისინი მზად არიან გაექცენ სიძნელეებს და კლასობრივ მტერს დაუთმონ პროლეტარული პოზიციები.

ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ჩვენი პარტია, გამობრძმედილი ყოველგვარ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, ერთსულოვნად და გადაჭრით დაირაზმა მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული გადახრის წინააღმდეგ. მაგრამ ბუნებრივია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მემარჯვენე გადახრის მხოლოდ დაგმობით და რეზოლიუციების მიღებით; ეს სრულებითაც არ არის საკმაო. რეზოლიუციის მიღება მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ორგანიზაცია მზად არის იბრძოლოს პარტიის რევოლიუციონურ ხაზისათვის მემარჯვენე ოპოზიციის ოპორტუნისტული ხაზის წინააღმდეგ. საჭიროა ნამდვილად სერიოზულად გავშალოთ ფართო და გაღრმავებული ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან ორი მიმართულებით: ერთის მხრივ მემარჯვენე იდეოლოგიის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ მემარჯვენე ხაზის წინააღმდეგ პრაქტიკაში.

რა მდგომარეობაა მემარჯვენე იდეოლოგიის გამომჟღავნების მხრივ? საკმაოდ ფართოდ გაშლილია თუ არა იდეოლოგიური ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან? ჯერ კიდევ არა საკმაოდ. დიდი შეცდომა იქნება იმის ფიქრი, ვითომ მთელმა პარტიულმა მასამ უკვე საკმაოდ შეიგნო მემარჯვენე გადახრის საშიშროება. პირიქით—მრავალი ათეული ფაქტი იმას მოწმობს, რომ პარტიის ბევრ უბრალო წევრს ქარხნებში და განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ ბუნდოვანად ესმის ჩვენი უთანხმოებათა რაობა და საკმაოდ ნათლად არა აქვს შეგნებული მემარჯვენე გადახრის სოციალურ-ეკონომიური ფესვები.

შეიძლება თუ არა მემარჯვენე გადახრასთან აქტიური მებრძოლი იყოს ის, ვისაც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შეუგნია ეს საფრთხე? რა თქმა უნდა, არა. ასეთი ამხანაგი, რომელიც იდეურად შეიარაღებული არ არის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, პრაქტიკაშიაც ბრმად, უთავბოლოდ იმუშავებს, მკაფიოდ ვერ დაინახავს კლასობრივ მტერს და რევოლიუციონური განვითარების პერსპექტივებს. ჩვენი ამოცანაა—ღრმად შთავნერგოთ მასებში პარტიის გადაწყვეტილებანი და ენერგიულად გამოვხილოთ მემარჯვენე ოპოზიციის ანტი-ლენინური თეორია და პოლიტიკა. მემარჯვენე გადახრის წვრილ-ბურჟუაზიული რაობის გამომჟღავნებით ჩვენ იდეოლოგიურად ვაიარაღებთ მასას ლენინური ხაზისათვის და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო მასების შეიარაღებით მემარჯვენე გადახრასთან საბრძოლველად უზრუნველვყოფთ კლასობრივად გამართული ხაზის გატარებას ყველა ორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობაში.

მაგრამ საკმაო არ არის მხოლოდ ის, რომ გამოვამჟღავნოთ მემარჯვენეთა იდეოლოგია. გაშლილი ფრონტით უნდა ვიბრძოლოთ მემარჯვენე ხაზის წინააღმდეგ პრაქტიკულ მუშაობაში და კონკრეტულ ფაქტების მიხედვით, უნდა გამოვაშკარავოთ მემარჯვენეთა წვრილ-ბურჟუაზიული და კულაკური რაობა. ახლა მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომლებიც მკაცრად უკუაგდეს მასებმა, გამოდიან (ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით) დაფარული მოთხოვნებით სოციალისტური შეტევის შეჩერების შესახებ. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით საშიშია მემარჯვენე გადახრის დაფარული ფორმა, როდესაც ოპორტუნისტული ელემენტები ფორმალურად ეთანხმებიან პარტიის გადაწყვეტილებებს, ხოლო პრაქტიკულ მუშაობაში ამახინჯებენ კლასობრივ ხაზს. ამიტომაც მთელი პარტია, ყოველი მისი ორგანიზაცია და ყოველი კომუნისტი ვალდებულია პრაქტიკულ მუშაობაში იბრძოლოს პარტიის ხაზისათვის და მემარჯვენე ხაზის წინააღმდეგ. ულმობელად უნდა გამოვაშკარაოთ ოპორტუნისტული დამახინჯებანი საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, დროა სერიოზულად მივაქციოთ იმას, რომ ორგანიზაციები მხოლოდ რეზოლიუციებს კი არ ღებულობდნენ, არამედ პრაქტიკაშიაც იბრძოდნენ ოპორტუნიზმის თუნდაც ოდნავი გამოხატულების წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი.

სამწუხაროდ, სწორედ აქ, პრაქტიკულ მუშაობაში, არა ყველა ამხანაგი (რომელიც ხმას აძლევს პარტიის გადაწყვეტილებებს) იბრძვის ბოლშევიკურად ამ გადაწყვეტილებათა გასატარებლად ცხოვრებაში. ჩვენ ვხედავთ მრავალ ისეთ ფაქტებს, რომ უხეშად მახინჯდება კლასობრივი ხაზი აპარატის ქვედა და ზედა საფეხურების მუშაობაში ქალაქად და, განსაკუთრებით, სოფლად, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და სხვ. ამ ცოტა ხნის წინად გამოქვეყნდა ცეკას დადგენილება ასტრახანის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ ხელმძღვანელობის არასწორი ხაზის გამო შეიძლებოდა მომხდარიყო ეკონომიკაში კლასობრივ ძალთა განწყობილების ისეთი შეცვლა, რომ გაძლიერებულიყო კერძო - კაპიტალისტური სექტორი, კაპიტალისტური ელემენტები შეპარულიყვნენ საბჭოთა აპარატის ყველა უჯრედებში, ხელმძღვანელ მუშაკთა (მათ შორის კომუნისტთა) ნაწილი დაკავშირებოდა კერძო ვაჭარ-მრეწველთ და სხვ. ასტრახანის ორგანიზაციის ხელმძღვანელნი ფორმალურად მხარს უჭერდნენ პარტიის გადაწყვეტილებებს, სინამდვილეში კი შეგნებულად თუ შეუგნებლად აწარმოებდნენ ოპორტუნისტულ პოლიტიკას და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს კაპიტალისტური ელემენტების ზრდას. ასტრახანი—ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო „ნიმუშია" იმისა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მემარჯვენე კაპიტულიანტების პოლიტიკას.

მართალია, ასტრახანის ამბები მასიურ მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ მრავალ ათეულ და ასეულ ცალკე მემარჯვენე ოპორტუნისტულ დამახინჯებას სხვადასხვა ორგანიზაციებში და პრაქტიკული მუშაობის სხვადასხვა დარგებში. ეს დამახინჯებანი აფერხებენ სოციალისტურ შეტევას და ობიექტურად ხელს უწყობენ კლასობრივ მტერს.

ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, თუ ამჟამად პრაქტიკული მუშაობის რომელ დარგებში აქვს ადგილი ჩვენი ხაზის ცალკე დამახინჯებას.

1. პურის დამზადება. ეს არის კომუნისტების კლასობრივად გამართული ხაზის შემოწმების სკოლა. ჩვენ ვიცით, რომ კულაკს აქვს ზედმეტი პური, რომელიც ახლანდელ პირობებში წარმოადგენს კულაკის სამეურნეო და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებას. როდესაც კულაკს ვართმევთ ზედმეტ პურს, ჩვენ არა მარტო ვაუმჯობესებთ პროლეტარული ცენტრებისათვის პურის მიწოდებას, არამედ სამეურნეო და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებასაც ვუსპობთ კულაკს.

პურის დამზადების მიმდინარე კამპანიაში ციმბირისა და ურალის გამოცდილება ჩვენ გვიჩვენებს ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების ორგანიზაციულ ზეგავლენას კულაკის მიმართ—პურის დამზადების გაძლიერების მიზნით. საერთოდ პარტიულ მასას შეგნებული აქვს ამოცანა: გავტეხოთ კულაკის წინააღმდეგობა და ვაიძულოთ იგი, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მაგალითის მიხედვით ზედმეტი პური მიჰყიდოს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს. მაგრამ მოიპოვებიან ისეთი კომუნისტები, რომელნიც ილაშქრებენ კულაკზე ამ ორგანიზაციული შეტევის წინააღმდეგ და სინამდვილეში აფერხებენ მასების ინიციატივას პურის დამზადების კამპანიაში. პრესა აღნიშნავს მთელ რიგ ისეთ შემთხვევებს, როდესაც საბჭოთა აპარატის და ხელმძღვანელი კომუნისტების მიზეზით იშლებოდა პურის დამზადების საქმე. მაგალითად, როდესაც არმავირის ოლქში უჯრედის ერთ-ერთმა მდივანმა მიიღო დირექტივა პურის დამზადების გაძლიერების შესახებ, სინამდვილეში მან გლეხობას შორის ჩაატარა აგიტაცია პურის დამზადების პოლიტიკის წინააღმდეგ და გლეხთა კრებას გამოატანია ასეთი დადგენილება: „ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმ განსაკუთრებული ზომების, რომლებიც პურის დამზადებაში ტარდება". უჯრედის მდივნის ასეთი „ხაზი" დაჰგმო რაიონულმა კომიტეტმა. კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა რაიონული კომიტეტის მდივანმა, რომელიც სიტყვით ცხარედ ილაშქრებდა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, პრაქტიკაში კი კულაკის მაჩანჩალა გახდა. შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ათეული ასეთი ფაქტი, რაც აღნიშნავს პარტიული ხაზის უხეშ ოპორტუნისტულ დამახინჯებებს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფრონტზე—პურის დამზადების ფრონტზე. საჭიროა ულმობელი ბრძოლა გავუმართოთ კულაკურ პოლიტიკას და მაქსიმალურად გამოვიყენოთ პურის დამზადების კამპანია ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დასარაზმავად კულაკის წინააღმდეგ, გამოვბრძმედოთ ამ კამპანიაში ჩვენი სოფლის კადრები, გავწმინდოთ ისინი უცხო ელემენტებისაგან, აღვზარდოთ ეს კადრები კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პრინციპების მიხედვით.

2. მემარჯვენე გადახრის კონკრეტული გამოხატულების მრავალ ფაქტს ვხედავთ საადგილ-მამულო, საკრედიტო და კოოპერატიულ დარგში. აი ერთ-ერთი მაგალითი: ბელორუსიაში თავის დროზე მიწსახკომის ხაზით დაიგზავნა ცირკულიარი, რომელიც ურჩევდა ორგანიზაციებს ხელი არ შეეშალათ განკერძოებულ მეურნეობებზე („ხუტორებზე") გადასვლისათვის.

როგორია პრაქტიკული შედეგი? განკერძოებულმა მეურნეობებმა, რომელთაც მინსკის ოლქში 1926 წელს მიწის სივრცის 1,9 პროცენტი ეჭირათ, 1928 წელს 14,6 პროცენტი დაიჭირეს; კოლექტიურ მეურნეობებს ეჭირა 1926 წელს 2,8 პროცენტი, 1927 წელს 0,2 პროცენტი; მხოლოდ ერთ ვიტებსკის ოლქში მიწის სივრცის უმეტესი ნაწილი განკერძოებულ მეურნეობებს უჭირავთ, მოხდა ლიკვიდაცია საბჭოთა მეურნეობებისა და სხვ.

ჩვენი კორესპონდენტები ადგილებიდან გვატყობინებენ ბევრ შემთხვევას, როდესაც კრედიტებს აწვდიან კულაკს, ხოლო იმავე დროს არ არის გამოყენებული ღარიბი გლეხებისათვის გადადებული კრედიტები და სხვ. მთელ რიგ კოოპერატიულ ორგანიზაციებში სჭარბობს ვიწრო კომერციული გადახრა, მოგების სურვილი, და ამავე დროს სრულიად დავიწყებულია ღარიბი გლეხების ინტერესები (ღარიბი გლეხების ფონდების გამოუყენებლობა, ღარიბ გლეხობის სუსტად ჩაბმა კოოპერაციაში და სხვ.).

3. კოლმეურნეობათა მოძრაობის გარშემო ამ ჟამად სოფელში ფართო კლასობრივი ბრძოლა ვითარდება. კოლექტივიზაციის შესახებ პარტიის გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენ გვაქვს მასიური კოლმეურნეობრივი მოძრაობა. კულაკური ელემენტები გაშმაგებით ებრძვიან კოლმეურნეობის მუშაკებს. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანეს სოციალისტურ ფრონტზე კომუნისტების საგრძნობი ნაწილი არ ხელმძღვანელობს ღარიბსა და საშუალო შეძლების გლეხთა მასებს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც კომუნისტი კულაკის მხარეზე გადადის კოლექტიურ მეურნეობათა წინააღმდეგ. კომუნისტები სიტყვიერად მხარს უჭერენ პარტიის გადაწყვეტილებებსა და კოლმეურნეობებს, მაგრამ ხშირად არა თუ არ მიდიან კოლმეურნეობებში (იხ. „პრავდა", 128, „კომუნისტები კოლმეურნეობებში"), არამედ ეწინააღმდეგებიან მათ მოწყობას, გამოდიან კოლმეურნეობებიდან და არ იჩენენ სათანადო ბოლშევიკურ სიმტკიცესა და ინიციატივას გლეხთა მასების ორგანიზაციასა და კოლექტიურ საფუძვლებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში. დროა უფრო გადაჭრით დაისვას საკითხი კოლმეურნეობებში კომუნისტების აქტიური მონაწილეობის და მათი ნამდვილი ხელმძღვანელი როლის შესახებ ამ მოძრაობაში.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი:

აპარატის ზოგიერთ რგოლში მოიპოვებიან კლასობრივად უცხო პირები, არა საკმარისად იბგრებიან „კაპიტალისტური ელემენტები, ზოგიერთი კომუნისტს კავშირი აქვს გაბმული კულაკებთან, ღარიბი გლეხობის ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. საკმარისია ყოველი ეს აღინიშნოს, რომ რეალურად დავინახოთ მომქმედი მემარჯვენე გადახრა. ჩვენ მიერ ჩამოთვლილ საკითხებში ამხანაგები ფორმალურად მემარჯვენეთა ხაზის წინააღმდეგ გამოდიან, ნამდვილად კი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მემარჯვენე პოლიტიკას აწარმოებენ და საქმით მემარჯვენე ოპოზიციის ანტილენინურ თეორიას ანხორციელებენ.

4. მემარჯვენე გადახრის ცალკე კონკრეტულ გამოხატულებებს ადგილი აქვს ხელმძღვანელობაში მუშათა კლასისა და სოციალისტურ მრეწველობის მიმართ. პარტია აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას წარმოების რაციონალიზაციისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, იგი ანვითარებს სოციალისტურ შეჯიბრებას, ებრძვის წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილებებს და სხვ. ამავე დროს ზოგიერთი კომუნისტები და პროფკავშირთა ზოგიერთი მუშაკები, პირიქით, მასების ჩამორჩენილ განწყობილებებს ექვემდებარებიან, ზოგჯერ ჰკარგავენ კლასობრივ სახეს და ივიწყებენ მუშათა კლასის ინტერესებს. ზოგიერთ ადგილას ცალკე პროფმუშაკები, მათ შორის კომუნისტებიც, ახალ მუშებთან ანტირელიგიურ პროპაგანდისტებს არ აგზავნიდნენ, ამიტომ ისინი კულაკურ განწყობილებებს ემორჩილებოდნენ და ივიწყებდნენ მასების კლასობრივი აღზრდის ამოცანებს. როდესაც პარტიის ზოგიერთი წევრი ჰკარგავს კლასობრივ ალღოს, აგდებულად ეპყრობა მასების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, გაურბის თვითკრიტიკას და ზოგჯერ კიდეც ავიწროებს მას, ეს იმას მოწმობს, რომ ასეთი წევრი ამჟამად ამახინჯებს ჩვენს პოლიტიკას, თუმცა ფორმალურად ეთანხმება პარტიის ხაზს.

ამიტომაც გაშლილი სოციალისტური შეტევის ახლანდელ პერიოდში ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ყოველი ორგანიზაციისა და ყოველი კომუნისტისაგან არა მარტო ფორმალურ თანხმობას პარტიის ხაზთან, არამედ ნამდვილ ბრძოლასაც მემარჯვენე გადახრის კონკრეტულ გამოხატულებებთან, უნდა აღვზარდოთ მასები პარტიის ხაზისათვის კონკრეტულ ბრძოლაში და მემარჯვენე დამახინჯებათა ფაქტების გამომჟღავნების საფუძველზე და უნდა ავუხსნათ მასებს, თუ საით მიყვართ მემარჯვენე გადახრას.

უნდა მოვახდინოთ მასების მობილიზაცია ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანების განსახორციელებლად, ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა, აპარატი გავწმინდოთ კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან, პარტია გავწმინდოთ გადაგვარებული ელემენტებისაგან, იმ ელემენტებისაგან, რომელთაც არ ესმით ახალი ამოცანები და ხელს უშლიან მათ გადაჭრას. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელება იმიტომ არის საჭირო, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების წინაშე უკეთესად შევაიარაღოთ პროლეტარიატი ახალი ბრძოლებისათვის ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის ფრონტზე.

ის, ვისაც ესმის რეკონსტრუქციის ახალი ამოცანები და ენერგიულად ანხორციელებს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის დაძლევის გზით, საქმით ებრძვის მემარჯვენე ფრონტს პარტიის სასარგებლოდ.

„პრავდა", 8 ივნისი.

საქართველოს და აზერბეიჯანის მწერლები სომხეთში

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ერევანი, 8 ივნისი. კულტურული შეკავშირების საღამო, რომელიც გაიმართა 7 ივნისს კულტურის სახლის დარბაზში, გახსნა განათლების სახალხო კომისარმა ამხ. **მრავიანმა,** რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„ამიერ-კავკასიის ეროვნებათა შეკავშირების საქმეს შეეწირა მრავალი ასი მებრძოლის სიცოცხლე. ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კავშირი დღეს ფაქტია. ამ კავშირის განმტკიცებას ხელს უწყობენ ისეთი ციხე-სიმაგრეები, როგორიც არის ზაჰესი, ძორაჰესი და მრავალი სხვა საწარმოო. ამიერ-კავკასია გადაიქცა მთლიან სამეურნეო და პოლიტიკურ ერთეულად. ათი წელიწადი, რაც ამიერ-კავკასიის მშრომელნი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ეწევიან სოციალისტურ მშენებლობას. სწორედ ამ ძმური თანამშრომლობის შედეგია, რომ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მწერლები ალაპარაკდნენ იმავე ენით, რომელზედაც მრავალი წლის განმავლობაში საუბრობდნენ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონერები და მშრომელი მასები. კულტურული რევოლიუციის პერიოდში დიდი გამარჯვებაა, რომ ამიერ-კავკასიის მწერლები ერთად შეკრებილნი, ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ ოჯახში, ისინი კულტურულ ფრონტზე მზად არიან აკეთონ იგივე საქმე, რომელსაც აკეთებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია. ეს კი თავდებია იმისა, რომ ამიერ-კავკასიის მწერლობა, ხელოვნების სხვა მუშაკებთან ერთად, შექმნის ახალ კულტურას, ფორმით ნაციონალურს, ხოლო შინაარსით ინტერნაციონალურს".

შემდეგ გამოვიდა ცნობილი დრამატურგი დემირჩიანი.

„აზერბეიჯანის და საქართველოს მწერალთა დელეგაციების ჩამოსვლა,— განაცხადა მან,— განხორციელებაა მშრომელი მასების ნებისყოფის, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. ეს პოლიტიკური და სამეურნეო მთლიანობა უნდა დაგვირგვინდეს კულტურული გაერთიანებით და დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საკითხი ამიერ-კავკასიის მწერალთა ფედერაციის დაარსების შესახებ".

შემდეგ ილაპარაკა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის მდივანმა ვშტუნიმ.

საქართველოს დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ, აზერბეიჯანის დელეგაციის სახელით —ახვერდოვმა. მათ მადლობა გადაუხადეს სომხეთის საზოგადოებრივობას გულთბილი შეხვედრისათვის და აღუთქვეს ენერგიული მუშაობა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კულტურული კავშირის განსამტკიცებლად.

კულტურული დაახლოვების საღამო დამთავრდა სიმფონიური კონცერტით და ეთნოგრაფიული ცეკვით, რამაც დელეგაციებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა.

დღეს დილიდან დელეგატები ათვალიერებდნენ ქარხნებს და უნივერსიტეტის ქალაქის საამშენებლო სამუშაოებს.

ხვალ დელეგაციები გაემგზავრებიან ეჩმიაძინში, სადაც დაათვალიერებენ ბიბლიოთეკას, მუზეუმს, მონასტერს და კოლმეურნეობებს.

ორშაბათს დილით გავემგზავრებით ქამარლიუში, საღამოს კი ლენინაკანში, სადაც დავათვალიერებთ საფეიქრო ფაბრიკას და ჰიდრო-ელსადგურს.

ვ. ფულუკიძე.

აფერისტი თურქიაშვილი

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება)

მოქ. თურქიაშვილი ითვლებოდა აქტიურ მუშკორად. იგი 1924 წლიდან თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთებში და სარგებლობდა გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქციის ნდობით. რედაქცია მას აძლევდა ხშირად ძალიან სერიოზულ და საიდუმლო დავალებებს. უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, რომ თურქიაშვილი ჩირქს სცხებდა მუშკორის სახელს თავისი არა კეთილსინდისიერი კორესპონდენციებით, რომლებშიაც იგი დაუზოგავად ბერავდა უმნიშვნელო ფაქტებს. ამასთანავე იგი არ ერიდებოდა აშკარა ყალბ კორესპონდენციების შედგენასაც. ერთ-ერთ თავის წერილში იგი სწერს, რომ გატყდა „ზაკავტოპრომტორგ"-ის ავტომობილი, რომლითაც ზიდავენ ხორცს და ამის გამო ქალაქი ერთი დღე დარჩა უხორცოთ. ფაქტიურად კი, ხორცის მზიდავ 4 მანქანიდან, ერთი მანქანა, შინას გაბეთქვის გამო, გაჩერდა მხოლოდ ერთი საათით. იყო შემთხვევები, როცა „ავტოპრომტორგ"-ის რაიმე ახალ ღონისძიებას იგი ასაღებდა თავის წინადადებად. თურქიაშვილის ასეთმა კორესპონდენციებმა აიძულა მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამოერკვია მისი ვინაობა. მაგრამ ეს საქმე არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მოქალაქე თურქიაშვილი თავის ჩვენებებს ცვლის ყოველ ახალ შემთხვევაში. გაურკვეველი რჩება როდის დაიბადა იგი 1893, თუ სხვა რომელიმე წელს 1897 წლამდე; ვინ არის იგი — გლეხი თუ აზნაური, სად დაამთავრა და რა სასწავლებელი — ზაქათალის სახელოსნო სასწავლებელი, კიევის რეალური სასწავლებელი, თუ ვლადიმირსკის კადეტთა კორპუსი. ერთ-ერთ ანკეტაში იგი იმასაც კი სწერს, რომ 1914 წელს დაამთავრა ელისავეტგრადის ცხენოსანთა სამხედრო სასწავლებელი, მაგრამ აქაც სტყუის, ვინაიდან არ იცის სად იმყოფებოდა ეს სკოლა — მოსკოვთან თუ ოდესასთან. თურქიაშვილი გაწვეულ იყო გადამზადებაზე, სადაც გამოირკვა, რომ იგი სრულიად არ იცნობს სამხედრო საქმეს.

აშკარაა, რომ თურქიაშვილს უმსახურნია „დიკაია დივიზია"-ში. სხვა და სხვა დროს ანკეტაში მას თავის შესახებ ჩაწერილი აქვს სრულიად სხვადასხვა ცნობები. ხან ამბობს, რომ ერთ დროს ომის შემდეგ კახეთში ეწეოდა მიწის მუშაობას, ხან ამბობს, რომ მსახურობდა სისხლის სამართლის მილიციაში, განსაკუთრებულ რაზმში, მილიციის უფროსად და სხ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ისევ აპირებს მოეწყოს სხვადასხვა სამსახურში: სამხედრო კომისარიატში, საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილებაში, სისხლის სამართლის მილიციაში, ალმასკომში და სხ. თავის თავს ასაღებს მუშად და პარტიის კანდიდატადაც. ეწყობა სამსახურში, მაგრამ როგორც საეჭვო პირს, მალე ისტუმრებენ იქიდან. იგი არ ცხრება. იწყებს საჩივრებს და აცხადებს, რომ მას სდევნიან, როგორც მუშკორს. ზოგჯერ მას უჯერიან კიდეც და ხელახლად აწყობენ სამსახურში, მაგრამ მცირე ხნით. ასეთი მცირე ხნობით სამსახურის დროს იგი ახერხებს ფულის გაფლანგვას (აჭარისტანის საბჭოთა-პარტიულ სკოლის სამეურნეო ნაწილში მუშაობის დროს), რისთვისაც მას უსჯიან 10 თვის ციხეს. ასეთი ხეტიალის შემდეგ იგი საჩივრებით მიმართავს მუშათა და გლეხთა ინსპექციას. უჩივის თითქმის ყველა დაწესებულებას და განაგრძობს აბნეული ჩვენებების მიცემას თავის შესახებ.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებით მას ჩამოერთვა საბჭოს წევრის მანდატი (იგი უმუშევრების მიერ არჩეული იქნა საბჭოში) და როგორც აფერისტი მისი საქმე გადაეცა პროკურატურას.

სახალხო განათლების მუშაკის იუბილე

ამხ. მ. ცხაკაიას მისალმება დამსახურებულ პედაგოგ მელიტონ ბჟანიას

მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე წავიკითხე მოწვევა — მონაწილეობა მივიღო ჩემი ძველი და პატიოსანი მეგობრის მელიტონის მშრომელთა შორის მასწავლებლობის 43 წლის თავის იუბილეში. ვნანობ, რომ დრო და მანძილი ამის ნებას არ მაძლევს. ვულოცავ განათლების ფრონტზე შრომის თავმდაბალ გმირს და ყველა მის მეგობარს და მასწავლებლებსა და მოწაფეებს მრავალმნიშვნელოვან იუბილეს სახალხო მასწავლებლისა, რომელიც გლეხების წრიდან გამოვიდა და რომელიც არ მოსწყდა მათ ცარიზმისა და მენშევიზმის ბატონობის საზიზღარ დროს. ჩემი მხურვალე სალამი წითელ საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებს. ჩემს ძველ მეგობარს იუბილიარს მელიტონს, რაც შეიძლება ბევრი ჰყავდეთ კულტურული რევოლიუციის ფრონტზე ასეთი თავდადებული მუშაკი, რათა შესძლონ, მათ მშობლიურ აფხაზურ ენაზე, სხვა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და სახელმწიფო ქართულსა და რუსულ ენებზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, წითელი და მშვენიერი აფხაზეთის ყველა მუშეს, მოჯამაგირეებს, ღარიბ გლეხებს და ყველა მშრომელ გლეხებს შორის, რათა ისინი არ ჩამორჩენ საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა ამიერ-კავკასიის და მთელი ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სოციალიზმის მთელი მშენებლობის ტემპში, სოციალიზმისა, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს მომავალი უკლასო და უსახელმწიფო ბრწყინვალე, ჭეშმარიტად ძმური კომუნიზმის განსახორციელებლად.

გაუმარჯოს ამ რევოლიუციონურ გზაზე ჩემს ძველს მეგობარს იუბილარს მელიტონ ბჟანიას, ყველა მის თანამებრძოლს და მოსწავლეს ოჩემჩირის მაზრისა და მთელი წითელი აფხაზეთის მშრომელებთან ერთად!.

მიხა ცხაკაია.

---

10 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში (რუს თაველის პრ. № 24, ოთახი № 19) შესდგება საინსტრუქციო თათბირი, თბილისში მყოფ ყველა იმ ამხანაგებისა, რომელნიც წამოყენებულნი არიან საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგების შემოწმებისა და წმენდის ჩამტარებელი კომისიების წევრებად, და კომისიების იმ მდივნებისა, რომელნიც დანიშნულნი არიან რეზერვში.

დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) ცენტ. საკ. კომისია.

ამიერ - კავკასიის ხელმძღვანელ პარტმუშაკთა შემმოწმებელი კომისია სთხოვს იმ ამხანაგებს, რომლებმაც გაიარეს შემოწმება, მაგრამ აღნიშვნის გასაკეთებლად კი არ გამოცხადებულან, შემოიარონ ა.-კ. საოლქო საკ. კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24, ოთახი № 10) ორშაბათს, 10 ივნისს და თან იქონიონ პარტბილეთები.

წიგნი მასებს

კამპანია, რომელიც დაიწყო სახელგამმა ქართული წიგნის მასიური გავრცელებისა და გაიაფების მიზნით, უკვე თანდათან იძლევა რეალურ შედეგებს: ეს კამპანია დაიწყო ამა წლის აპრილში—სახელგამმა გააიაფა 20-დან 80 პროცენტამდე ყოველი წიგნი, რომელიც კი მოიპოვებოდა მის მაღაზიებსა და საწყობებში, გახსნა ამ გაიაფებული წიგნის ცენტრალური ბაზა—„საბჭოთა ბუკინისტი", ჩაატარა მთელი რიგი წინასწარი ღონისძიებებისა და მიავლინა პროვინციაში ორი პასუხისმგებელი წარმომადგენელი წიგნის გავრცელებისათვის პრაქტიკული გზების გასაკვლევად.

უჭირა მხარი და გამოეხმაურა სახალხო კომისართა საბჭო, პარტიული ორგანოები, პროფკავშირები, განსახკომი და სხვა., რომელთაც განუმარტეს პროვინციას სახელგამის მიერ წამოწყებული საქმის მნიშვნელობა.

ჩვენმა წარმომადგენლებმა ჩამოიარეს ჯერჯერობით დასავლეთი საქართველო. აქ, ადგილობრივ კულტურულ მუშაკთა მონაწილეობითა და შემწეობით ჩვენმა წარმომადგენლებმა ჩაატარეს წიგნის დღეები თითქმის ყველა მნიშვნელოვან პუნქტში.

განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან აღნიშნულ კამპანიას მუშათა რაიონები. მაგ. ბათომში, ფოთში, ოზურგეთში, ქუთაისში, ხონში, სამეგრელოში, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვ.

მუშა-მოსამსახურეებიდან შეიძინეს 70 პროცენტმა.

კამპანია დამთავრდება მოკლე ხანში და ჩვენ საშუალება მოგვეცემა ყოველმხრივად შევაფასოთ მისი მნიშვნელობა და შედეგები.

მაგრამ ჯერ-ჯერობით სახელმწიფო გამომცემლობას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ერთ დიდსა და საგულისხმო ფაქტს, რომელსაც ადგილი აქვს წიგნის კამპანიის ჩატარების პროცესში.

ჩვენ სახეში გვყავს აჭარისტანის მონაწილეობა ამ საქმეში.

აჭარისტანის რესპუბლიკანური, ცენტრალური ორგანოს—"საბჭოთა აჭარისტანი"-ს უკანასკნელი ნომრები შლიან ჩვენს წინაშე იშვიათ სურათს აჭარისტანის საზოგადოებრივ კულტურულ ორგანიზაციების განსაკუთრებულ ინტერესისა და ინიციატივისას—ჩვენი წიგნის ფართო მასებისათვის მიწოდების საქმეში.

არ დარჩენილა არც ერთი, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი, დაწესებულება, სადაც არ შემდგარიყოს ჩვენი წიგნის მეგობართა საზოგადოება. ყველა ეს საზოგადოებანი კისრულობენ ხელის შეწყობას აჭარისტანის ყოველ კუთხეში წიგნის შეტანისა და გავრცელების საქმისათვის. თითქმის ყოველ დაწესებულებამ იკისრა შეფობა ამა თუ იმ სოფელზე და ამ სოფლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წიგნით უზრუნველყოფა.

კამპანია აჭარისტანში ღებულობს ფართო, ორგანიზაციულ ხასიათს და უკვე იძლევა საუკეთესო პრაქტიკულ შედეგებს.

სახელმწიფო გამომცემლობას არ შეუძლია განსაკუთრებულ კმაყოფილებით არ აღნიშნოს ეს ფაქტი და ამავე დროს ხაზი არ გაუსვას აჭარისტანის განათლების კომისარიატის ამხ. შევკეთ ლორთქიფანიძის ნაყოფიერ მონაწილეობას ამ საქმეში.

ამხ. ლორთქიფანიძე, როგორც განსახკომი და მოქალაქე მხურვალედ გამოეხმაურა სახელგამის კამპანიას. აჭარისტანის და მისი მონაწილეობითა და დახმარებით ამ კამპანიამ მიიღო საზოგადოებრივი ხასიათი. აღვნიშნავთ რა როგორც ამხ. ლორთქიფანიძის მისაბაძ ინიციატივას, სახელმწიფო გამომცემლობა მოუწოდებს ქართული წიგნის ყველა მეგობრებს აჭარისტანში და სხვაგან განაგრძონ ეს დიდი საქმე, მიმართული მშრომელი ხალხის კულტურული განვითარებისა და კულტურული რევოლიუციის უახლოეს ამოცანათა განხორციელებისაკენ.

თავის მხრივ სახელმწიფო გამომცემლობა ყოველმხრივად ხელს შეუწყობს აჭარისტანის ამ ინიციატივას. სახელგამმა გასცა განკარგულება, რათა უფასოდ გაეგზავნოს აჭარისტანის განსახკომის განკარგულებაში:

1) სოფლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გასაძლიერებლად სამასი მანეთის გაიაფებული წიგნები და 2) ღარიბეს მოწაფეთა უფასოდ დასარიგებლად 200 მანეთის სახელმძღვანელოები და 100 მანეთის საკანცელარიო ნივთები.

ზ. ბიბინეიშვილი.

დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაცია

დამცველთა კოლეგიის მუშაობის ფორმების და მეთოდების საფუძვლიანი რეორგანიზაცია გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. დამცველთა ინსტიტუტი პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში უსათუოდ ისეთივე საზოგადოებრივ პოლიტიკურ ფუნქციის მატარებელი უნდა შეიქნეს, როგორიცაა კლასობრივ საფუძველზე მომქმედი მთელი ჩვენი საბჭოთა იუსტიცია.

ამ საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია სასამართლოს მუშაკთა მე-6 ყრილობამ და, მის დადგენილებათა მიხედვით, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში დამცველთა კოლეგიების რეორგანიზაციისათვის ენერგიული მუშაობა სწარმოებს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგია თავის საჯარო სხდომაზე განიხილავს ამ საკითხს და გამოიტანს შესაფერ გადაწყვეტილებას. საჭიროა მხედველობაში მივიღოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებანი:

საბჭოთა ადვოკატურა უნდა განთავისუფლდეს ბურჟუაზიულ ეკონომიკის ნიადაგზე აღმოცენებულ იდეებისაგან. მთელი ჩვენი შესაძლებლობით უნდა შევებრძოლოთ კორპორატიულ დახშულობას და დაცვის საქმეს ისეთი სახე უნდა მივცეთ, რომელიც საბჭოთა ორგანოებს ახასიათებს.

საბჭოთა სახელმწიფო დაცვას არანაკლებ მნიშვნელობას აკუთვნებს, ვიდრე ბრალდებას. სავსებით მართალია ამხ. კრილენკო, როდესაც დამცველთა კოლეგიას უყურებს, როგორც „პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში დამახასიათებელ კლასობრივ ურთიერთობასთან დაშორებულ ინსტიტუტს". ამ მხრივ დამცველთა კოლეგიისათვის ხელის შემშლელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დაქირავებული დამცველი კლიენტის იძულებით მოქმედებს და ხშირად ამის გამო საჭირო ობიექტობას კარგავს. მთელი მისი მოქმედება სასამართლოს თვალში ზოგჯერ სამართლიან ეჭვს იწვევს.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ რეკონსტრუქციის დროს, ავადმყოფურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, როდესაც დამცველთა კოლეგია სხვა სფეროებიდან განდევნილ კერძო ვაჭრობას თავის რიგებში დაუთმობს ადგილს. კონკურენცია კლიენტების აყვანაში, ვაჭრობისათვის ყველა დამახასიათებელ თვისებებით სცემს დამცველის ზნეობას და ავტორიტეტს.

დისციპლინარული ზომებით დაშინება არავითარ რეალურ შედეგს არ მოგვცემს მანამ, სანამ თვით ორგანიზაციის სტრუქტურა არ შეიცვლება. დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაცია ბურჟუაზიული სულისკვეთებით გამსჭვალულ ელემენტების გაწმენდის გარეშე განუხორციელებელი ოცნება იქნება.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება ბურჟუაზიულ ადვოკატურას არ შეუძლია.

მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების პირობებში შესაძლებელია დამცველთა ინსტიტუტის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ ნაკლოვანებათა მოსპობა. ამ მხრივ ყველაზე მეტად სასურველი გამოსავალი სახელმწიფო დაცვის შემოღებაა, მაგრამ ვინაიდან ამ მიმართულებით წასვლა ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება, ჩვენ ისეთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ, რომელიც საბჭოთა დამცველისაგან პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართა ღირსეულ დარაჯს გამოიმუშავებს.

დამცველის თვითეული იურიდიული ხასიათის საქმიანობა როგორც კონსულტაციაში, ისე სასამართლოში, მხოლოდ კოლექტივის მეშვეობით უნდა ხდებოდეს. კოლექტივის წევრებს არავითარი უფლება არა აქვს უშუალო ურთიერთობა იქონიონ კლიენტთან. დამცველის გასამრჯელო შედის პირდაპირ კოლექტივში და გამომუშავებულ წესების მიხედვით უნაწილდებათ წევრებს.

ან. გ—ნი.

ა.-კ. საგზაო კომიტეტის პლენუმი

გუშინ, საღამოს გაიხსნა ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: ა.-კ. რკ. გზის გამგეობის მოხსენება მიმდინარე წლის პირველ ნახევრის სამუშაო გეგმის შესრულების შესახებ, მოხსენება ა.-კ. რკ. გზის სახელოსნოების დარაიონების შესახებ, სოციალისტური შეჯიბრების საკითხი, მოხსენება საწარმოო კომისიების და თათბირების შემოწმების შედეგების შესახებ, რკინისგზელთა პურით მომარაგების საკითხი და სხვა. სულ დღის წესრიგი შეიცავს 10 საკითხს.

გუშინ პლენუმმა მოისმინა მოხსენება გზის გამგეობის სამუშაო გეგმის შესრულების შესახებ.

მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა გამგეობის წევრი ინჟ. გ. გვერდწითელი, რომელმაც განაცხადა, რომ ნახევარი წლის განმავლობაში ა.-კ. რკინის გზაზე გადაყვანილ იქნა 4.900.000 მგზავრი. ტვირთები და ბარგები გადაზიდულ იქნა 3.600.000 ტონის რაოდენობით.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გზის მუშაობა საერთოდ გაცხოველდა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

შემდეგი სხდომა გაიხსნება დღეს, დილის 9 საათზე. პლენუმის სხდომები სწარმოებს მოზარდ მაყურებელთა თეატრში (სასტუმრო „ევროპა"-ს შენობა).

რა ხდება ადგილებზე

რიონჰესის მშენებლობა

ქუთაისი, 7 ივნისი. რიონჰესის მშენებლობა გაცხოველებით მიმდინარეობს. ჯებირი ნახევრად დამთავრებულია. მალე დამთავრდება გეოლოგიური გამოკვლევა იმ ადგილისა, სადაც მომავალი საგენერატორო სადგური აიგება. მუშავდება საგენერატორო სადგურის ძირითად მოწყობილებათა და ნაგებობათა პროექტები. ლენინგრადის მანქანათმშენებელ ქარხნებს რიონჰესმა შეუკვეთა ორი 30.000 ცხენისძალიანი ტურბინა. სულ დაიდგმება 4 ტურბინა. რიონჰესი მუშაობას დაიწყებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე — 1931 წელს. (ადს)

ტყიბულელებმა გაიწვიეს ჭიათურელები

ტყიბული, 7 ივნისი. სოციალისტური შეჯიბრება მაღაროებში გაცხოველებით მიმდინარეობს. ერთმანეთს ეჯიბრებიან რაიონები. შეჯიბრების მუშაობას ხელმძღვანელობს სპეციალური კომისია, რომელმაც დაადგინა — პრემიები მისცეს შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.

ტყიბულის მუშებმა ჭიათურის მუშები გაიწვიეს შეჯიბრებაში შრომის დისციპლინის ასაწევად და თვითღირებულების შესამცირებლად. (ადს)

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქი, 7 ივნისი. მიმდინარე წელს მაზრაში სამაზრო პოლიტგანმა გახსნა 103 ლიკპუნქტი, რომელშიაც ირიცხება 2.701 მსმენელი. წლის დამლევს ლიკპუნქტი დაამთავრა 1.843 კაცმა, მათ შორის 274 ქალია. აქედან მოჯამაგირე იყო — 275, ღარიბი გლეხი — 904. სულ მაზრაში არის სომხური ლიკპუნქტი 67, ქართული — 17 თურქული — 10 და რუსულ — 9. (ადს).

ნათესი დაილუპა

ბათომი, 7 ივნისი. აჭარისტანში მოწმენდილი ამინდია. ტემპერატურა 21 გრადუსს უდრის. წყნარი სამხრეთ - დასავლეთის ქარი ჰქრის. ხანგრძლივი გვალვის შემდეგ სიმინდის ნათესის მდგომარეობა ცუდია. ზოგიერთ რაიონში სიმინდი ჯერ კიდევ არ ამოსულა. ზოგან თესლი დაილუპა. თესვის კომისიამ აღძრა საკითხი — სასწრაფოდ დაიხნას და ხელმეორედ დაითესოს ის მიწები, სადაც თესლი დაილუპა. (ადს)

ათარბეკოვის სახელობის კოლმეურნეობა

სოხუმი, 7 ივნისი. ათარის რაიონში მოეწყო ათარბეკოვის სახელობის კოლექტიური მეურნეობა. კოლექტივი აერთიანებს 12 მეურნეობას, რომელთაც დათესილი აქვთ 10 ჰექტარი თამბაქო და 8 ჰექტარი სიმინდი. (ადს).

თანამდებობიდან გადაყენება

სოხუმი, 7 ივნისი. გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთ"-ში ამ დღეებში დაიბეჭდა წერილი, რომელშიაც აღნიშნული იყო სოხუმის ქალაქის მილიციის თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებანი. ამის გამო დანიშნულ გამოკვლევის დამთავრებამდე, რომელსაც სპეციალურად გამოყოფილი კომისია აწარმოებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით, დროებით თანამდებობიდან გადაყენებულ იქნენ მილიციის უფროსი ჯიკირბა, მილიციის უფროსის თანაშემწე ფილია და სოხუმის პირველი უბნის მილიციის უფროსი ბღაჟბა. (ადს)

ზღვის აბაზანები ათონზე

სოხუმი, 7 ივნისი. ათონზე დამთავრდა ზღვის აბაზანების შენობის აგება. მოეწყო ექვსი კაბინეტი. აბაზანების მუშაობა დაიწყება 2—3 კვირის შემდეგ. (ადს).

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

გუშინ შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა საკითხი ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა შრომის კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ჯილაურმა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება პირველად ჩატარებული იქნა 1927-28 წელში; მაშინ ხელფასის მოწესრიგება შეეხო სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებებს, გარდა ს. მ. უ. საბჭოსი და განსახკომის ზოგიერთ დაწესებულებებისა. მეორეთ ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება ჩატარებული იქნა წელს, მაგრამ მისი განხორციელება დაგვიანდა, რაც გამოიწვია სათანადო დადგენილების გვიან გამოტანამ და დაწესებულების მიერ საჭირო მასალების დაგვიანებით წარმოდგენამ.

შარშან ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დარჩა სულ 4.380 საშტატო ადგილი, წელს კი ეს რიცხვი გაიზარდა 4.636-მდე, რაც აიხსნება მთელ რიგ ახალი დაწესებულებების გახსნით. ხელფასის ფონდი 1927-28 წელში შეადგენდა 3.489.960 მანეთს, 28-29 წელში კი — 3.924.960 მანეთს.

4.636 საშტატო ერთეულებიდან ხელფასი მოემატა 1.343 ერთეულს, ხელფასი შეუმცირდა 120 ერთეულს, დანარჩენი კი უცვლელი დარჩა. წელს გაიზარდა აგრეთვე ისეთი ერთეულების რიცხვი, რომელთა სამუშაო დრო მოწესრიგებულია. ზრდა მოხდა, უმთავრესად, განათლების მუშაკების, იუსტიციის კომისარიატის და სოცუზრუნველყოფის კომისარიატის მუშაკების ხარჯზე.

რაც შეეხება საშუალო ხელფასს, 1927-28 წელში იგი უდრიდა 67 მან. 42 კაპ., წელს კი 71 მან. 56 მანეთს. (ზრდა გამოიხატება 6.1 პროც.).

ასეთივე მუშაობა იქნა ჩატარებული ავტონომიურ რესპუბლიკებშიაც. ასე, მაგალითად, საშუალო ხელფასი აჭარისტანში 27-28 წელში შეადგენდა 71 მან. 18 კაპ., ეხლა კი უდრის 78 მანეთს. ხელფასის შემცირებას ადგილი აქვს მხოლოდ აფხაზეთში, სადაც იგი 76 მანეთიდან შემცირდა 74 მანეთამდე.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება წელს ჩატარებული იქნა მთლიანად, რასაც შედეგად მოჰყვა ხელფასის მიცემის მოწესრიგება, მტკიცე ჯამაგირების დაწესება და სამუშაო დროის განსაზღვრა.

წელს განზრახულია ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება ჩატარებული იქნეს არა სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებშიაც. ეს მუშაობა დამთავრებული იქნება 1-ლ ოქტომბრამდე.

ფლორიდინის მაგიერ გუმბრინი

სპეციალისტები გუმბრინის შესახებ

„სტანდარტ ოილის" რწმუნებული ვ. რ. ნორისი

ატაპულგუსის და გუმბრის თიხების შესადარებელი ცდების შესახებ ვადასტურებ შემდეგს:

ცდები ჩატარებული იქნა საქარხნო მასშტაბით. პირველი საცდელი ფილტრი დატვირთული იყო ატაპულგუსის თიხით 33,750 ინგლისური გირვანქის რაოდენობით, ამავე რაოდენობის გუმბრის თიხა მოთავსებული იქნა მეორე ფილტრში. ორივე ფილტრებში საწმენდი ნავთის გატარება დაიწყო ერთ და იმავე დროს. გაწმენდილი ნავთის გამოსვლა ფილტრიდან ხელოვნური საშუალებებით თანასწორდებოდა. ერთ და იმავე პირობებში ნავთის წმენდის დროს გამოირკვა, რომ იმ ფილტრმა, რომელიც სავსე იყო ატაპულგუსის თიხით, მუშაობა შესწყვიტა 128 საათის მუშაობის შემდეგ. აღნიშნულ დროს გავლისას ფილტრიდან გამოსული ნავთის ფერი უდრიდა სეიბოლტის ხრონომეტრის 10 ნახევ. დიუიმის სიღრმეს, ხოლო გუმბრის თიხით დატვირთულმა ფილტრმა მუშაობა განაგრძო 224 საათის განმავლობაში და როდესაც ფილტრის მუშაობა შეჩერებულ იქნა, დაწმენდილი ნავთის ფერი აღმოჩნდა სეიბოლტის აპარატის დისკოს გასწვრივ, 11 დიუიმის სიღრმეზე.

აღნიშნული ცდა ადასტურებს, რომ გუმბრის თიხა შეიძლება იქნეს გამოყენებული ნავთის საწმენდათ და ამ მხრივ ამ თიხას აღმოაჩნდა უკეთესი თვისებები და უფრო ხანგრძლივი მუშაობის უნარი, ვიდრე ატაპულგუსის თიხას.

ვ. რ. ნორისი.
„სტანდარტ-ოილ"-ის რწმუნებული.
ქ. ბათომი.

ინჟ. ა. ისააკოვიჩი

ნავთის სინდიკატის ბათომის განყოფილების ლაბორატორია ადასტურებს, რომ ლაბორატორიაში საქარხნო მასშტაბით ჩატარებული ცდების შედეგათ, რაც მოხდა ქ. ბათომში „სტანდარტ-ოილ კ-ოოფ ნიუ-იორკ"-ის ქარხანაში, გამოირკვა: სრულიად და აბსოლიუტურად ერთდაიმავე პირობებში სოფ. გუმბრიდან ჩამოტანილმა თიხამ (გუმბრინი) გამოამჟღავნა საუკეთესო თვისებები ნავთის წმენდის საქმეში. ცდის დროს აღმოჩნდა, რომ გუმბრინს შეუძლია ნავთის წმენდის პროცესის ჩატარება გაცილებით მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე ამერიკულ თიხას—ატაპულგუსს.

ამერიკულმა თიხამ ფილტრ № 4-ში იმუშავა 128 საათის განმავლობაში, ხოლო გუმბრინით დატვირთულმა ფილტრმა № 1 მუშაობა განაგრძო 224 საათის განმავლობაში, რაც დიდ უპირატესობას აძლევს გუმბრინს, რომლის ღირსებაც ამერიკული თიხის ღირსებას აჭარბებს 75 პროცენტით.

„ნავთსინდიკატის" ბათომის განყ. ლაბორატორიის გამგე: **ინჟ. ა. ისააკოვიჩი.**
5 ივნისი 1929 წ.
ქ. ბათომი.

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-17 კრება

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-17 კრება. პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისმინა მუშკოოპის თავმჯდომარის ამხ. ერისთავის და გამგეობის წევრის ამხ. ძაგანიას მოხსენება წარსული მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ მუშკოოპი საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშკოოპში ირიცხებოდა 43.662 წევრი, ხოლო ა.-წ. 1 აპრილისათვის 54.689 წევრი. წევრთა შორის ქალები შეადგენენ 27,6 პროცენტს (15.133 ქალი). მუშკოოპის წევრთა შორის პროფკავშირის წევრები შეადგენენ 82,6 პროცენტს. საპაიო თანხა 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის უდრიდა—137.800 მანეთს, 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის—407.300 მანეთს, ხოლო 1929 წლის 1 აპრილისათვის—583.900 მანეთს.

ამჟამად მუშკოოპს მოწყობილი აქვს 495 სავაჭრო პუნქტი.

მომხსენებლები ფართოდ აშუქებენ მუშკოოპის ოპერაციულ საქმიანობას და იმ დაბრკოლებებს, რომლებიც მათ ეღობებოდათ საანგარიშო პერიოდში.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს მომხმარებელნი უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ პურის ცხობის გაუმჯობესების საკითხს. მართალია პირველ ხანებში ადგილი ქონდა პურის ხარისხის გაუარესებას, მაგრამ მასიური კონტროლის შემოღებისა და ზოგიერთ ღონისძიებების გატარების შემდეგ პურის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

შემოდგომიდან ამუშავდება პურის საცხობი მექანიკური ქარხანა, რომელიც საგრძნობლად შეამცირებს პურის ცხობის თვითღირებულებას.

საკლავი საქონლის დამზადება თითქმის მთლიანად ჩაბარებული ქონდა „მიასოპროდუქტს", რომელმაც ვერ გამოიჩინა საჭირო უნარი და თავისი მონოპოლიური უფლებებით დაიმედებულმა არ მიიღო სათანადო ზომები კრიზისის თავიდან ასაცილებლად. ამჟამად მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია. ბოსტნეულის ბაზარზე შემჩნეული გართულება გამოწვეული იყო მოსავლის სიმცირით და დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებების დარღვევით. ამჟამად მუშკოოპს უფლება მიეცა საჭიროების დროს უშუალოდ აწარმოოს დამზადება.

შემდეგ მომხსენებლები ახასიათებენ სამრეწველო საგნების ბაზარს და აღნიშნავენ, რომ დეფიციტიანი საქონლის განაწილება იწარმოებს კოოპერატიული კომისიების საშუალებით.

შემდეგ მომხსენებლები ახასიათებენ მუშკოოპის ფინანსიურ მდგომარეობას და აღნიშნავენ, რომ გასული საოპერაციო წელი მუშკოოპმა დაასრულა 300.000 მანეთის მოგებით.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 9 საათზე.

ლენრაიონის საშეფო ორგანიზაციების მე-5 კონფერენცია

8 ივნისს საღამოს მელითონეთა კლუბის შენობაში გაიხსნა ლენინის რაიონის საშეფო ორგანიზაციების მე-5 კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საშეფო საზოგადოების ლენინის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მეიფარიანმა, რომლის წინადადებითაც კონფერენციამ აირჩია საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი. საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, რიკოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, ბაუმანი, კახიანი, ცხაკაია, მახარაძე, რუბენი, ღოღობერიძე და ასრიბეკოვი. საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს 21 კაცი.

საშეფო საზოგადოების ლენინის რაისაბჭოს ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. მეიფარიანმა. მან აღნიშნა, რომ რაისაბჭომ მთელი თავისი საქმიანობა წარმართა შემდეგი ხაზით: კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარება, ღარიბესი გლეხობის კოოპერატიულად დარაზმვა, გლეხობის კულტურული დონის აწევა, ღარიბესი გლეხობისა, მოჯამაგირეებისა და საშუალო გლეხობის შეკავშირება კულაკობასთან საბრძოლველათ და ქალაქისა და სოფლის მუშების კავშირის განმტკიცება.

შემდეგ მომხსენებელმა მოიყვანა ცნობები
საშეფო ორგანიზაციების ზრდის შესახებ
ლენინის რაიონში. ცნობებიდან გამოირკვა,
რომ ერთი წლის განმავლობაში საშეფო სა- ...ჯამდე. შესრ-
ზოგადოების წევრთა რიცხვი 6.3
ზრდილია 7.540-მდე. ...ტანს საერთაშო-
რაისაბჭომ ენერგიული მონაწ... რომელიც შემდეგ
...ებს, აგრეთვე გა-
იღო საბჭოთა არჩევნებისა და ...იც დაიფარება გა-
თესვის კამპანიის ჩატარებაში. ლიდან, მოაწესრი-
ნიის ჩასატარებლათ საბჭომ ...ურალურ გადასახა-
მანქანების შემკეთებელი ბრი
გორის მაზრაში. ბრიგადის წ... კევებში ბანკი შეა-
ს. ბანკი უდიდეს
ფხულის თესვის კამპანია ...ტალის საერთაშორი-
ში დიდის წარმატებით ჩატა...ში. ბანკის ძირითადი
მოხსენების დამთავრების ...ია 100 მილ. დოლა-
რენციას მიესალმენ საშეფო ...გება შვიდი სახელმ-
ჩამოსული გლეხების წარმო... ...ანგეთის, ბელგიის,
სასალმებელი სიტყვები წარმ... ...მანიის და ჩრდ.-ამე-
სკრის გლეხებისაგან — ...ატების) საემისიო ბან-
სოფ. ხვედურეთის გლეხები ...რდა ამისა, საბჭოში
მადინმა, ს. ვაყადან — გო ...ელმწიფოს წარმომად-
გეგმა ძალაში შევა
მა და საშეფო საზ-ბის ქამბრიდან. ახალი გეგმა
სახელით — ამხ. ჩილაჩავაკუპაციო ჯარის შესა-
ვას. (ადს).

მუშაობა ახალგაზრდათა შ/ლი ფედერა-

(თათბირი ა.-კ. პროფსაბჭოში

თათბირის მესამე სხდომაზე, 7 ივნისს საღამოს, მოსმენილი იქნა ამხ. ხარაბაძის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგაც არჩეული იქნა კომისია რეზოლიუციისა და პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლად. შემდეგ მოსმენილი იქნა კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ეგოროვის მოხსენება მასიურ პროფტექნიკური განათლების ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მუშათა პროფესიონალური ცოდნის გაფართოებას დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის გამოც პროფტექნიკური განათლების ქსელი სუსტად ვითარდება. ამასთანავე არავითარი კავშირი არ არსებობს პროფტექნიკურ განათლების და საერთო პირველდაწყებითი განათლების ქსელებს შორის. ახალგაზრდა მუშათა განათლების საქმეში მეტად მცირე მონაწილეობას ღებულობენ წარმოებებში ჩაბმული ტექნიკური ძალები და ხელოსნები (ოსტატები). პროფკავშირები კომკავშირთან ერთად ვალდებული არიან გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ ნაკლის გამოსასწორებლად და ახალგაზრდა მუ-

შათა შორის წერა - კით
ალმოსაფხვრელად. ამ მ
რად უნდა მოეწყოს ახალ იქნა ბერლინის პრო-
კურსიები სხვადასხვა წგასაგზავნი (პირველი მაი-
ლიერებული უნდა იქნეს მონათესავე სწავლო-
მოები, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან საწარმოო პროცესებით და სისტემატიურად უნდა მოეწყოს ლექციები წარმოების რაციონალიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, შრომის დისციპლინის განმტკიცების და სხვ. საკითხებზე. უნდა მოეწყოს საწარმოო კურსები, ტექნიკური კონსულტაცია, საწარმოო მუზეუმები, ტექნიკური გამოფენები ტექნიკის კუთხეები, ტექნიკის საღამოები, პოპულიარული ტექნიკური ბიბლიოთეკები და სხვ.

ამხ. ეგოროვის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

8 ივნისს დილით მუშაობდა კომისია.

გუშინ საღამოს შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და თათბირი დაიხურა.

ახალი ჰიდროსადგურის მშენებლობა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სააღმშენებლო სამუშაოთა მდგომარეობისა და თოფარავანის ტბაზე ახალი ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ საჭირო სამზადისის შესახებ.

აჭარის-წყალის ჰიდროელსადგურის მშენებლობის დასამთავრებლად პრეზიდიუმის სხდომაზე ახალი პროექტის ვარიანტი წარმოადგინა ინჟ. ტიმოფეევმა. წარმოდგენილი პროექტის ვარიანტი სხდომამ მოიწონა და მისი განხორციელება შესაძლებლად და მიზანშეწონილად სცნო. აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის სააღმშენებლო სამუშაოთა სამმართველოს წინადადება მიეცა აღნიშნული ვარიანტის საფუძველზე დაამუშავოს საესკიზო პროექტი.

თოფარავანის ჰიდრო ელსადგურის ასაგებათ საჭირო პროექტის შესახებ პრეზიდიუმმა დაადგინა მოაწყოს სპეციალური ბიურო, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს თოფარავანის ჰიდროელსადგურის სააღმშენებლო სამუშაოთა პროექტის დამუშავებას. ბიუროში სამუშაოდ მოწვეული იქნებიან წყალთა მეურნეობის და ელექტრო-ტექნიკის მცოდნე სპეციალისტები.

ქრონიკა

ამხ. მ. ცხაკაიას და ს. თოდრიას დაბრუნება

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია და ცაკის მდივანი ამხ. ს. თოდრია დაბრუნდნენ სრულიად საკავშირო საბჭოთა მეხუთე ყრილობიდან და 8 ივნისიდან შეუდგენ თავიანთ მოვალეობის აღსრულებას.

ახალი განყოფილება ს. მ. უ. საბჭოსთან

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით გადაწყვეტილია საქ. მ. უ. საბჭოსთან მოეწყოს რაციონალიზაციის განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს სხვადასხვა რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებას ცხოვრებაში ს. მ. უ. საწარმოებში.

ახალი განყოფილების მოწყობამდე რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებას ხელმძღვანელობას გაუწევს სპეციალურათ გამოყოფილი რაციონალიზაციის ბიურო. ახალი განყოფილების მოსაწყობათ გადადებულია 36.000 მანეთი.

ავანსების დარიგება გლეხებისათვის

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ნება დართო მარგანეცის ტრესტს დაურიგოს ავანსად მაღაროებიდან ქარხნებამდე მარგანეცის გადამზიდავ მეურმე გლეხებს 100.000 მანეთი. მიღებული ავანსებით მეურმე გლეხებმა უნდა შეიძინონ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები.

შეღავათიანი ტარიფი

საქართველოს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, ამიერ-კავკ. რკ. გზის გამგეობასთან არსებულ საუწყებო-სატარიფო თათბირმა ამიერ-კავკ. და შავი ზღვის რკინის გზებზე დააწესა შეღავათიანი ტარიფი საქართველოდან აფხაზეთში დასასახლებლად მიმავალ გლეხობის გადასაყვანად და მათი ქონების გადასაზიდათ.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ საექიმო იარაღების მიღება. ჯანმრთელობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო 2.000 მანეთის საექიმო ხელსაწყოები.

◆ ექიმების გაგზავნა მომთაბარეობის რა- ...მომთაბარეთათვის სამკურნალო და-

...თა ურთიერთობის შესახებ შემდეგი განაც-
და: „მუშათა პარტიის პოლიტიკას ამ საკითხში ყველა კარგად იცნობს. ეს პოლიტიკა განხორციელდება სასწრაფო წესით, თუმცა, რასაკვირველია, საჭირო იქნება მოლაპარაკება, რომ ინგლის-საბჭ. დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა დამაკმაყოფილებელ ნიადაგზე დადგეს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც საყოველთაო მშვიდობიანობის თვალსაზრისით, ისე ეკონომიური თვალსაზრისით. ჯერ კიდევ 1917 წლიდან, როცა პირველად გავემგზავრე რუსეთში, მე პირადად ვცდილობ უაღრესად მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას ინგლის და რუს ხალხს შორის. რაიმე უკმაყოფილებამ, რუსეთში არსებული პოლიტიკური წყობილების გამო, გავლენა არ უნდა მოახდინოს ჩვენს სურვილზე, რომლის მიზანია უაღრესად მეგობრული ურთიერთობის უზრუნველყოფა. (ადს)

ზევერინგის განცხადება

ბერლინი, 10 ივნისი. ზევერინგმა კასელში მოხსენება გააკეთა და ვრცლად შეეხო სახელმწიფოს ბრძოლას კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. „ის, —განაცხადა ზევერინგმა, — ვისაც იარაღით და „უცხოეთის სახელმწიფოს დახმარებით" სურს დაღუპოს გერმანელი ხალხი, შინაური მტერია და მის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა ყოველგვარი საშუალებით, რაც კი სახელმწიფოს განკარგულებაში იმყოფება". (ადს)

სხვადასხვა

◆ სამკალო მანქანების განაწილება. [illegible] მანქანა.

◆ აგურის ქარხნის აგება. გლეხკომების ცენტრალურ კომიტეტში მიღებული ცნობით, სოფ. გორდში (ქუთაისის მაზრა) გლეხკომების ინიციატივით შენდება აგურის ახალი ქარხანა.

◆ თათბირი პროფსაბჭოში. 10 ივნისს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება იწვევს თათბირს მუშათა კლუბებში საუკეთესო დადგმების ჩატარებისა და ჟიურის გამოყოფის შესახებ.

მუშა-მწერლებს ასლამაზაშვილს, ხეჩუაშვილს, ახალკაცს, შინატეხელს, ხიდისთაველს და ნავთლუღელს გამომცემლობა „შრომა" სთხოვს შეიარონ გამომცემლობის კანტორაში სამშაბათს, 11 ივნისს, დღის 4 საათზე.

ხელოვნების ქრონიკა

მოსკოვის „რევოლიუციის თეატრის" გასტროლები

დღეს, 9 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში იწყება მოსკოვის „რევოლიუციის თეატრის" გასტროლები. თეატრის რეპერტუარში შედის ხუთი პიესა: „კაცი პორტფელით", „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", „ინგა", „როდესაც ყივიან მამლები", და „მთა". თეატრს თან მოაქვს საკუთარი დეკორაციები და მოწყობილობა.

თბილისში გასტროლები იწყება ფაიკოს პიესით „კაცი პორტფელით". გასტროლები გასტანს 27 ივნისამდე. თბილისიდან თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრება ერევანში, იქიდან კი ბათომში და შემდეგ ნოვოროსისკში, ოდესაში და სხვა ქალაქებში.

◆ „წითელი ალიუმი" ოპერის თეატრში. 10 ივნისს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას 4 მოქმედებიანი კომედია
...ალიუმი". პიესის შესრულებაში მო-
ყოფ. ...ლებენ—ე. ჩერქეზიშვილი, ტ.
უარი სთქვ ...ია, ვ. გამყრელიძე, ალ. იმე-
ზე. გაზ. „ ...ძე.
რჩება პი ...ციის თეატრის გასტროლები.
მცემლად, ...ფო ოპერის თეატრში იწყება
სწყვეტს ე ...ლიუციის თეატრის გასტრო-
შვეციი
სტოკჰო ...უშათა კლუბებში. საბჭ. და
ტო იუწყე ...აკების კლუბში—დიდი კონ-
ტრის ვოლ ... ახალ კლუბში—პიესა „მესა-
რად დაინ ...ამრეწველთა კლუბში—საბავ-
იაპონი

ვენა,
იაპონიის
მისია ათ
დაწესებ

ლო

ყოფება ერს ალაჯანოვი გამოცხადდა
მისია გე ...ის სამმართველოში და განაც-
„ნიჩირ ...ერთვისიდან თბილისში საქმეებ-
...კლა მას ძალიან ძვირი დაუჯდა.
ტოკ ...დიდი რიხით ითხოვს „სამივლი-
რო გი ...ბის ანაზღაურებას.
შეუდგ ...გლეხობა დღეებს ითვლიდა —
ზის დ ...ირსება აფთიაქი.
ზის ჰ ...ებდა ალაჯანოვი რკინის გზის
„ნი ...ს ადმინისტრაციას, რკინის გზის
აცნობ ...ალაროს და სახმედვაჭრობას.
...ი დაპატიმრებულია. საქმეს გაარ-
...ისის მაზრა - ქალაქის სასამარ-

პოლიციის თავდასხმ

მუყოფ...
ლებას. ამ ორი დღის გა...
ნოვი სდებს შრომით ხელშეკრულებას საზრდო- ...რის
მედვაჭრობის სამმართველოს გამგესთან. ხელშეკრულების ძალით ალაჯანოვი უნდა გამგზავრებულიყო ხურთვისში (ახ. მ.), სადაც უნდა მოეწყო აფთიაქი, რომელსაც თვითონ უნდა ჩასდგომოდა სათავეში. ალაჯანოვს თვიური ჯამაგირი დაენიშნა 120 მანეთი. მუშაობა უნდა დაეწყო 1 აგვისტოდან.

ალაჯანოვმა სახმედვაჭრობას დასცინცლა 120 მანეთი ცოლ-შვილის ხურთვისში გადასაყვანათ. 100 მანეთი — აფთიაქის მორთულობის შესაძენად და ავანსად ნახევარი თვის ჯამაგირი. მაგრამ ალაჯანოვს არც უფიქრია ხელშეკრულების შესრულება.

რკინის გზის დამზღვევ სალაროდან ალაჯანოვმა „ავადმყოფობის გამო" კვლავ მიიღო ორი კვირის შვებულება. 13 აგვისტოს შვებულება გათავდა. „ავადმყოფობამ" არ მოიშალა ალაჯანოვმა და ორი კვირით კიდევ გაიგრძელა შვებულება. მიიღო დამზღვევ სალაროდან ხელფასი. ფულის მოყვარულმა ალაჯანოვმა არ დაუცადა შვებულების გათავებას. 21 აგვისტოს კიდევ აიღო ორი კვირის შვებულება „ავადმყოფობის გამო", ხოლო 13-დან 20 აგვისტომდე „ავადმყოფობის" დღეები ჩაითვალა მორიგ შვებულებაში.

4 სექტემბერს ეს შვებულებაც გათავდა, როგორც ხედავთ, სახმედვაჭრობასთან დადებული შრომითი ხელშეკრულება რჩება ქაღალდზე. ალაჯანოვი ისევ რკინის გზის საავადმყოფოს აფთიაქის მოსამსახურედ ითვლება და 5 სექტემბერს რკინის გზის საავადმყოფოდან იღებს მორიგ შვებულებას. ს. ხურთვისის გლეხობა დღე-დღეზე მოელის აფთიაქის გახსნას. იციან, რომ სახმედვაჭრობამ ფული გადასდო და გამგეც დანიშნა.

მხეცი მილიციელი

...რის წლის სექტემბერში სოფელ ანანაურის ...მინისტრაციის წარმომადგენლები წააწყდნენ უპატრონო, უთავშესაფარო ახალგაზრდა (16 წლის) ქალს მარო მელიქოვს.

მილიციის თანამშრომელმა სტეფანე იაგორის ძე ბალიაშვილმა იკისრა უპატრონო ქალის თავის სახლში წაყვანა „ღამის გასათევად".

— შემეცოდა... ერთი-ორი ღამე გავათევინოთ და შემდეგ ალბად აღმოუჩნდება პატრონი, — ეუბნება სტეფანე თავის ცოლს ელისაბედს.

ელისაბედმაც თანხმობა განაცხადა, ცალკე გაუშალა ქალს ლოგინი.

როცა ელისაბედს მაგრად ჩაეძინა, ქმარი გამოძვრა ლოგინიდან და ჩაუწვა უპატრონო ქალს. ქალმა გაუწია წინააღმდეგობა, მაგრამ ვერას გახდა გამხეცებულ მამაკაცთან.

ყველაფერი ისე მოხდა, რომ ელისაბედს არ გაუღვიძია. მეორე ღამითაც სტეფანემ იერიში მიიტანა უპატრონო ქალზე და როცა უკანასკნელთან ბრძოლა ჰქონდა, ელისაბედს გამოეღვიძა.

აღელვებულმა ცოლმა წამოავლო ხელი სტეფანეს რევოლვერს, რომელიც სასთუმალთან იდო და ესროლა ქმარს. ტყვია მოხვდა ორივეს სტეფანესაც და უპატრონო ქალსაც. ორივე მსუბუქად დაიჭრა.

საქმე გაარჩია თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლოს სესიამ ქ. დუშეთში ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

საბრალმდებლო სკამზე ელისაბედთან ერთად იჯდა მისი ქმარიც სტეფანე ბალიაშვილი, რომელმაც ისარგებლა უპატრონო ქალის უმწეო მდგომარეობით.

ორთავეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თითო წლით.

გერ.

საქართველოს მწერლები ბაქოში

III *)

ბაქო არ არის მარტო ნავთის საბადოების და ნავთის ქარხნების ქალაქი. მას აქვს კიდევ მრეწველობის სხვა დარგებიც, რომლებსაც ჩრდილავენ თავისი ბუმბერაზობით ნავთის გიგანტი საწარმოები.

სამწუხაროდ ჩვენ ვერ მოვასწარით ყველა იმ საწარმოების დათვალიერება, რომლებიც ნავთის დამხმარე სამრეწველო ერთეულებს წარმოადგენენ. ასეთია „აზნეფტის ელსადგური" „ელექტრო - ტოკი" და, კრასინის სახელობის ელსადგური, რომლებიც ყოველწლიურათ ამუშავებენ 400 მილიონ კილოუატ საათს და წარმოადგენენ უძლიერეს ელსადგურებს მთელს საბჭოთა კავშირში. ერთი მათგანი ჩვენ დავინახეთ შორიდან, როცა თეთრ ქალაქში ვიყავით. უნახავი დაგვრჩა ძერჟინსკის და შმიდტის სახელობის სამეტალურგიო ქარხნები.

ჩვენ დავათვალიერეთ საფეიქრო ფაბრიკა, რომელმაც ნავთის ქარხნებზე არა ნაკლები აღტაცება გაგვაცდევინა.

ჩვენ მოვისმინეთ მოტორების, მქნევარების, საგრეხი და სართავი დაზგების, თითის ტარების შეხმატკბილებული სიმფონია. ყოველი საამქრო თავის ჰანგზე გუგუნებს და მათ ჰარმონიულ სიმღერაზე ტყვიისებური სისწრაფით ტრიალებს 50.000 თითისტარი. დაზგების დამაყრუებელ ხმაურში აღარ ისმის ადამიანის ხმა.

დიდხანს შესცქეროდნენ ჩვენი პოეტები ამ მოცეკვავე თითისტარებს.

— ხშირათ იარეთ, პოეტებო, ასეთ ქარხნებში, რომ მოხდეს მწვანე მდელოზე და სოფლის იდილიაზე შეყვარებული თქვენი მუზის ინდუსტრიალიზაცია, — ამ წინადადებით მინდა მივმართო აზერბეიჯანელ და ქართველ პოეტებს.

ეს ფაბრიკა (ტაგიევისეული) დღეს სავსებით განახლებულია, დადგმულია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევის დაზგები, რომლებიც ამზადებენ არა მარტო ნარმას და სხ. ბამბის ქსოვილს, არამედ ახალ ადამიანს, ახალ ადამიანს ჩადრახდილ თურქი ქალებისაგან. ამ ქარხანაში დაზგის მუშების 90 პროც.-ს თურქი ქალები შეადგენენ.

განა შეიძლება ამ ფაბრიკაზე უკეთესი სკოლა მათი გონების გარდასაქმნელად?

ბიბი-ეიბათი. ილიჩის სახელობის ბუხტა

⁂

სამი საათი იქნებოდა, როცა ეს საწარმო დავტოვეთ და რადგან ჩვენ ლუდის ქარხნის მახლობლად ვიმყოფებოდით, გადავწყვიტეთ გვენახა ისიც, — ქარხანა, რომელიც ამზადებს საუკეთესო ხარისხის ლუდს ამიერ - კავკასიაში. სამწუხაროდ, ჩვენ იქ მუშაობა უკვე დამთავრებული დაგვიხდა და, საშუალება არ მოგვეცა გავცნობოდით ლუდის დამზადების ცალკე პროცესებს, სამაგიეროთ ჩვენ გავეცანით ამ ქარხნის პროდუქტის გემოს. ჩვენი განუყრელი ჩიჩერენე ამხ. მარგილისი გაგვიმასპინძლდა ერთი ყუთი ლუდით. უკეთეს მასპინძლობას ამ წამში ჩვენ ვერავინ გაგვიწევდა, რადგან სიცხითა და გახურებულ ქარხანა - ფაბრიკებში ხანგრძლივი სიარულით მოქანცულთ — წყურვილი გვკლავდა.

ავიღეთ ბოთლები ხელში, (სახელდახელოთ ჭიქები ვერ ვიშოვეთ), მივაჯახეთ ბოთლი - ბოთლს და ვუსურვეთ გამარჯვება ახალ ცხოვრებისათვის მებრძოლ აზერბეიჯანის პროლეტარიატს.

⁂

ჩვენი პირველი შეხვედრა მათთან, ვინც ბურღავს საბადოებს, ვინც მართავს მოტორებსა და დაზგებს, ვინც სჭედსა და აწყობს იარაღ - მანქანებს, ჩვენი პირველი შეხვედრა ბაქოს პროლეტარებთან მოხდა 13 მაისს საღამოს.

დაიწყო იგი რადიოთი.

საღამოს 7 საათზე, დელეგაციის „ლირიკული ნაწილი" (ესე იგი პოეტები) რადიოსადგურის შენობაში იყო. რადიო - სეანსი უნდა დაწყებულიყო ქართველი პოეტების გამოსვლით. მათ მოჰყვებოდენ ადგილობრივი მომღერლები და აზიური ორკესტრი.

სატრანსლიაციო დარბაზში, სადაც პოეტები შეიწვიეს, კედლებზე გაკრულია აბრეშუმის წითელი ფარჩა, იატაკზე დაგებულია ძვირფასი ნოხები იმ მიზნით, რომ დარბაზში დაცული იქნეს აბსოლუტური სიჩუმე. ჩვენც აგვიკრძალეს ხმის ამოღება.

სეანსს ხსნის დიქტორი: მოუსმინეთ ქართველ პოეტებს. საქართველოს მწერალთა დელეგაციის სახელით შესავალ სიტყვას იტყვის ამხ. ბუაჩიძე.

და ამხ. ბენიტო მიმართავს უხილავ აუდიტორიას:

— ქართველ საბჭოთა მწერლების ჩამოსვლა ბაქოში ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს. ეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯია, რომელსაც უნდა მოჰყვეს სისტემატიური საქმიანი მუშაობა. ქართველი მწერლების ჩამოსვლამ ბაქოში უნდა გააღრმავოს და განამტკიცოს საქართველოსა და აზერბეიჯანის კავშირი. ეს ჩამოსვლა არ არის დასვენების მაძიებელ პირთა საექსკურსიო მოგზაურობა და არც ორი ხალხის ლიტერატურის მუშაკთა გარეგნული საზეიმო შეხვედრა. ეს არის პრაქტიკული მუშაობა — წარმოებული იმ მიზნით, რომ გამომუშავებულ იქნას კულტურული თანამშრომლობის გეგმა. პრაქტიკულად მოგვარდეს ურთიერთ გაცნობის და დაახლოვების საქმე. ქართველი მწერლები გაეცნობიან რა ბაქოს აღმშენებლობას, მოელაპარაკებიან აზერბეიჯანელ მწერლებს — კულტურის მუშაკებს გაერთიანებული მუშაობის შესახებ. ჩვენი სურვილია, რომ ეს შეხვედრა გადაიქცეს იმ დიდ ინტერნაციონალურ საქმის ერთერთ საფუძვლათ, რომლის განხორციელება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. საქართველოს პროლეტარულ მწერლობის და საუკეთესო საბჭოთა ლიტერატორების პირველი შეხვედრა აზერბეიჯანის მწერლებთან და კულტურის მუშაკებთან სანიმუშო მაგალითად უნდა დარჩეს ორი მოძმე ერის კულტურულ დაახლოვების ისტორიაში.

შემდეგ უხილავი აუდიტორიის წინაშე ამეტყველდნენ ქართველი პოეტები: ს. ეული, პ. იაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ტ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე და ი. გრიშაშვილი. (რომელმაც წაიკითხა თურქ სახალხო პოეტ ქიარიმას ლექსი — ქართულად ნათარგმნი).

ცხადია, მსმენელთა უმრავლესობისთვის, ენის უცოდინარობის გამო, ჩვენი პოეტების (გარდა გ. ტაბიძისა) ლექსები გაუგებარი იქნებოდა. გ. ტაბიძის რუსულად წარმოთქმული ლექსი სისწორით გამოხატავდა რადიო - აპარატის წინ გამოსულ ქართველი პოეტის მიერ წარმოთქმულ ლექსების დედა აზრს:

„რევოლიუციის გრიგალებს ვუმღერთ
ჩვენ, — პოეტები საქართველოსი".

⁂

რადიო - გადაცემის დამთავრებისთანავე ჩვენ მივიჩქარით საბუნჩის რაიონის მუშა მკითხველთა კონფერენციაზე. საბუნჩის ელექტრო რკინის გზის სადგური შესანიშნავი შენობაა — აღმოსავლეთურ სტილზე აგებული. სწორეთ იმ დღეს შესრულდა სამი წლისთავი, რაც საბჭოთა კავშირში პირველად ამუშავდა ელექტრონის რკინის გზა. საბუნჩის „ელექტრიჩკა" ან „საბუნჩიკა" პიონერია. ყოველ ნახევარ საათში მიდი-მოდის ორმაგი ვაგონი ბაქოსა და საბუნჩს შორის. თვითეული მათგანი 80 კაცს იტევს. ჩვენი ვაგონი გაჭედილია საბუნჩში მიმავალი ხალხით.

საღამოს 7 საათზე დელეგაცია უკვე კლუბშია.

ამის მსგავს კლუბს ვერ ნახავთ თბილისში და მგონი ვერც ბაქოში. იგი ეხლახან დაუმთავრებიათ. კლუბი შიგნით და გარეთ აგებულია თანამედროვე არხიტექტურის მიხედვით. უზარმაზარი ვრცელი სათეატრო დარბაზი, რომელიც ათას კაცს იტევს, ბრუნავი სცენა, უხვი ელექტრო - განათება, ვრცელი მოხერხებული დერეფნები, სათეატრო დარბაზს გარდა კიდევ თერთმეტი აუდიტორია, ფოიე, რადიო ოთახი, ფიზკულტურის დარბაზი. — ასეთია საბუნჩის მუშათა კლუბი. საბუნჩის მუშათა რაიონისათვის ამ კლუბის გახსნა ა. წ. 29 აპრილს (აზერბეიჯანში საბჭ. ხელისუფლების გამოცხადების დღე) ისეთივე საზეიმო მოვლენა ყოფილა, როგორც საბუნჩის ელექტრო რკინის გზის ამუშავება.

თურქული კულტურის სახლი

ეს კლუბი პირველი მერცხალია. ასეთივე კლუბები შენდება სურახანის, შავი ქალაქის, ზარბატის, ბაილოვის რაიონებში. კლუბები შენდება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. 800—1000 კაცის დამტევი სათეატრო, კინო - თეატრის, საგანგებო — საკონფერენციო სისპორტო დარბაზებით, ბიბლიოთეკებით, სამკითხველოებით, საბავშო ბაგებით, სალიტერატურო, პოლიტიკურ - საწარმოო კაბინეტებით, საბილიარდოებით, ძლიერი რადიო - სადგურებით, ფოიებით და ბუფეტებით. კლუბებს გარშემო შენდება სავარჯიშო სათამაშო მოედნები, ბაღები შადრევნებით და ძეგლებით.

პირველი ამ მერცხლებს შორის არის საბუნჩის კლუბი, რომელშიაც ჩვენ შევდგით ფეხი.

ჩვენ დაგვაგვიანდა, დელეგაციის მოლოდინში მუშები მაინც არ დაშლილან, მიუხედავათ იმისა, რომ ხვალ დილით ადრე პირველ საყვირზე მუშები სამუშაოთ არიან წასასვლელნი.

გავდივართ სცენაზე. დარბაზი გაჭედილია მუშებით. კონფერენციის თავმჯდომარე ესალმება დელეგაციას. მქუხარე ტაში დელეგაციის მისამართით.

ამხანაგი ბენიტო ბუაჩიძე აკეთებს მოხსენებას ა. კ. ეროვნებათა კულტურულ დაკავშირების შესახებ და მოკლეთ აცნობს აუდიტორიას ქართული მწერლების დღევანდელ მდგომარეობას.

შემდეგ დელეგაციის სახელით საბუნჩის მუშებს სიტყვით მიმართავს პოეტი ს. შანშიაშვილი:

— საქართველოს საბჭოთა მწერლები ამიერ - კავკასიის პროლეტარიატთან ერთად ივლიან ერთი გზით და თავის მხატვრულ შემოქმედებით განამტკიცებენ ერთა ძმობის იმ საფუძველს, რომელიც 26 კომუნარის სისხლით არის გაჩირაღდნებული ამბობს ის.

შემდეგ ლექსების დეკლამაცია. თვითეულ პოეტს მქუხარე ტაშის ცემით აჯილდოებენ.

⁂

19 მაისი, საღამო ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში.

იგი მორთულია წითელი პლაკატებით და არშიებით, წარწერით ქართულ-სომხურ-თურქულ ენებზე:

— გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კულტურულ კავშირს"!

სხდომაა. 20 მეტრზე გაჭიმულ მაგიდას გარშემო უსხედან დელეგაციის წევრები, აზერბეიჯანის მწერლები, განსახკომის თანამშრომლები, მსახიობები, მომღერლები, ხელოვნებისა და განათლების სხვა მუშაკნი.

ვისმენთ განათლების კომისარის ამხ. მუსტაფა კულიევის მოხსენებას. საუბრობს მარტივათ, გარკვევით, მისი ოდნავი თურქული აქცენტით. ჩვენ ყურადღებათ ვართ გადაქცეული.

ჩვენ წინ იშლება აზერბეიჯანის კულტურული განვითარების ფურცლები. პირველი უდიდესი ფიგურა მეცხრამეტე საუკუნეში მირზა-ფატალი-ახუნდოვი — თანამედროვე თურქული ლიტერატურის საფუძვლის დამდები, ჰუმანისტ-განმანათლებელი, თავგამოდებული მებრძოლი ისლამის, რელიგიური ცრუმორწმუნეობის, ძველი ადათ-ჩვეულებების ბარბაროსული ტრადიციების წინააღმდეგ; მოსარჩლე და ქომაგი მშრომელი გლეხობის მწერლების შემდეგი თაობა იცავს ახუნდოვის ლიტ. ტრადიციებს. ცხრაასიანი წლები. ხდება მწერლობის დიფერენციაცია, დაყოფვა. ერთი ნაწილი აგრძელებს ახუნდოვის ლიტერატურულ გზას, მეორე ნაწილი ამჟღავნებს ნაციონალისტურ ტენდენციებს, პან-თურქისტულ განწყობილებას, ხდება ახლად წამოშობილ ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამომხატველი. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდი. მწერლობა დაიბნა, განზე გადგა. ზოგი მწერალთაგანი სრულიად მოწყდა ლიტერატურას, მაგრამ გაჩნდა მწერალთა ახალი თაობა, —მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსული —პროლეტარული მწერლობა, რომელიც ამჟამად ყველაზე ძლიერ ლიტერატურულ დაჯგუფებას წარმოადგენს და თავის იდეოლოგიურ და ფორმალურ გავლენის ქვეშ გადმოჰყავს ძველი მწერლების საუკეთესო წარმომადგენლნი.

როცა ამხ. კულიევს უსმენ, აშკარა ხდება მსგავსება მეზობელ ეროვნებათა მწერლობის განვითარებაში. განა ასე არ იყო საქართველოში, სომხეთში? ავიღოთ თუნდ უკანასკნელი საბჭოთა პერიოდი, ჩვენ ხომ გვყავდნენ მწერლები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იერემიას ცრემლებით იწყეს ტირილი და გოდება საქართველოს „დაკარგულ დიდებაზე" და რომლებიც ვერ ამჩნევდნენ ახალ საქართველოს ისე, როგორც აზერბეიჯანის ზოგიერთი მწერლები ვერ ხედავდნენ თავიანთი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აღორძინებას, ვერ ხედავდნენ იმ დიდ ნახტომებს, რომელსაც აკეთებს აზერბეიჯანი ისტორიის საფეხურებზე. ცხელ, ჭაობიან ლენკორანიდან დაღესტნის კლდოვან მიჯნამდე მთელ მხარეს კულტურულ კაცობრიობისაგან ყოფდა შავი ჩადრი, შარიატი და ყურანი, და ამ ჩადრისაგან ანთავისუფლებს მას საბჭოთა ხელისუფლება. მხოლოდ ზოგიერთ ბედნიერისათვის იყო მისაწვდომი ყურანის უცნაური არაბესკები. დღეს მთელი ახალი თაობა ეწაფება მეცნიერებისა და განათლების ანკარა წყალს, სწავლობს ახალი მარტივი ანბანით. თოთხმეტ შაურს ხარჯავდა თეთრი მეფის მთავრობა თვითეულ სულზე, მუსავატის ოპერეტული სამინისტრო კი მხოლოდ ხუთ შაურს. დღევანდელი მუშურ-გლეხური მთავრობა კი ხარჯავს 8,5 მანეთს. 1914 წელს აზერბეიჯანის სკოლებში სწავლობდა 23.298 მოწაფე (აქედან ქალი 2.000), მუსავატელების დროს 19.736 მოწაფე (ქალი—1.737). დღეს სწავლობს ასი ათასზე მეტი თურქი და მათ შორის 20.000 ქალი. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 93 ათასიდან გაიზარდა 300 ათასამდე. განა ეს ციფრები გამარჯვება არ არის? ხუთწლიანი გეგმა კი ითვალისწინებს 1933 წლისათვის ყოველ ათას მცხოვრებზე 400 წერა-კითხვის მცოდნეს. განა ეს ოცნება არ იყო აზერბეიჯანისათვის? ხვალ იგი რეალური ფაქტი იქნება. ვის ახსოვდა ნორჩი ბავშვები? ეხლა აზერბეიჯანს 157 ათასამდე სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულება აქვს, ხვალ კი მათი რიცხვი შვიდასს მიაღწევს. ცარიელ ადგილზე მოეწყო 170 სამკითხველო, ხუთი წლის დამლევს აზერბეიჯანს ექნება 600 სამკითხველო, — 1.400 რადიო-სადგური და სხვ.

იზრდება ტექნიკუმების და უმაღლეს სასწავლებლების რიცხვი. დღეს აზერბეიჯანში 7—8 სპეციალური ტექნიკუმია, ორი უმაღლესი სასწავლებელი, სახელმწიფო უნივერსიტეტი აღმოსავლეთის ფაკულტეტით და პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ხელოვნებაც არაჩვეულებრივი წარმატებით მიდის წინ. თურქული თეატრალური ცხოვრება სავსებით გარდაიქმნა, გამოიცვალა. დღეს ბაქოში ორი ძლიერი თურქული თეატრია: აკადემიური და მუშათა თეატრი, რომლებმაც თავის გარშემო შემოკრიბეს ლიტერატურული და თეატრალური ახალგაზრდობა. მუშათა თეატრი მხატვრული ძიების თეატრია, რომელიც რევოლიუციონური შინაარსის ნათარგმნ რეპერტუარს ეყრდნობა. აკადემიურ თეატრს აქვს ორიგინალური რეპერტუარი, ყავს საკუთარი დრამატურგები. ამ სეზონში დიდი წარმატებით იდგმებოდა ნიჭიერ დრამატურგ ჯაბარლის პიესები, „ცეცხლის ასული" და „სევილი", რომლებიც ეხებიან თანამედროვე აზერბეიჯანისათვის აქტუალურ და მწვავე პრობლემებს. (მაგ. პიესა „სევილი"-ს მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს ქალთა განთავისუფლების საკითხი) ორივე თეატრი დღეს უკვე უზრუნველყოფილია კვალიფიციური აქტიორული ძალებით, რომელთაც დამთავრებული აქვთ ბაქოს თურქული თეატრალური ტექნიკუმი. სცენის მოყვარეობა, დილეტანტიზმი თეატრალურ ხელოვნებაში წარსულს ჩაბარდა. მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ თურქული თეატრი, რომელიც კომუნიზმის ძლიერ აგიტატორს წარმოადგენს აზერბეიჯანის მოსახლეობაში.

მუსიკა.—ამ დარგშიაც აზერბეიჯანი ეძებს თავის გზას. თურქ. მუსიკა დღემდე სპარსულ მუსიკის გავლენის ქვეშ იმყოფება, ამბობს ამხანაგი მუსტაფა,—ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ გვაქვს საკუთარი მუსიკა, რომელიც სავსებით უცხოა და გაუგებარი ჩვენი ინტელიგენციისათვის. ჩვენ არ გვინდა სიბეჩავისა და მონური გრძნობის აღმძვრელი სპარსული მუსიკა. ჩვენმა მუსიკალურმა სასწავლებლებმა და კონსერვატორიამ უნდა გაანთავისუფლოს ჩვენი მუსიკალური შემოქმედება წარსული ნაშთებისაგან და დაუახლოვოს იგი ნამდვილ ხალხურ მუსიკას, რომლის მატარებელს დღეს სახალხო აშუღები წარმოადგენენ.

შემდეგ მომხსენებელმა დელეგაციას გააცნო აზერბეიჯანის ხელოვნების სხვა დარგები. დასასრულ შეეხო ამიერ-კავკასიის ეროვნებათა დაახლოვების საკითხებზე.

— თქვენ გაინტერესებთ რა გააკეთეს აზერბეიჯანის მწერლებმა ქართველი და აზერბეიჯანის ხალხის ურთიერთ დასაახლოებლად? თქვენ კითხულობთ, პოულობს თუ არა დღევანდელი საქართველო გამოხატულებას თურქულ ლიტერატურაში? — გიპასუხებთ: — ჩვენი პოეტები ბევრს სწერენ საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაზე, მის აღმშენებლობაზე, კერძოთ თბილისზე, ზაჰესზე და სხვ. ჩვენ გვაქვს ერთი დიდი ნაწარმოები საქართველოზე, „შეიხ-სანიმი". პოეტ ჰუსეინ ჯავადიმ დასწერა ახალი დრამატიული პოემა საქართველოს რევოლიუციონური წარსულიდან: „დელი კნიაზი" (გიჟი თავადი). ჩვენმა სახელგამმა, რომელმაც საკმაოდ გააფართოვა მხატვრული ლიტერატურის გამოცემა, წელს გამოუშვა ქართველ მწერლების: ეგ. ნინოშვილის, დ. ჰონქაძის, კ. ლორთქიფანიძის, მიშიშვილის ნაწარმოები. იბეჭდება კიდევ რამოდენიმე ქართველი მწერალი.

დაახლოვების საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ლიტერატურის თარგმნა ურთიერთ ენებზე, მუსიკალური თეატრალურ და სხვა კულტურულ მიღწევათა გაცვლა-გამოცვლა.

სოციალიზმის მშენებლობის გეგმის განხორციელება მოითხოვს არა მარტო სამეურნეო გაერთიანებას, არამედ კულტურულ და მეცნიერულ ძალების შეკავშირებას.

ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში —განსახკომების პერიოდული თათბირების მოწვევამ, ამიერ-კავკ. მწერალთა მოგზაურობამ ჩვენს რესპუბლიკებში ხელი უნდა შეუწყოს ამიერ-კავკ. მოძმე ერების კულტურულ განვითარებას.

ჩვენ უნდა შევქმნათ გრანდიოზული გეგმა ურთიერთ გაცნობისა და ურთიერთ კულტურის შესწავლისათვის; ჩვენმა სახელგამებმა უნდა შეადგინონ მეზობელ ეროვნებათა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გამოცემის გეგმა და სავსებით განახორციელონ იგი.

განსახკომებმა უნდა გამოჰყონ რამოდენიმე სკოლა, სადაც სავალდებულო საგნათ შემოღებულ უნდა იქნას ქართული, სომხური და თურქული ენების სწავლება. უნდა მოვაწყოთ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან კათედრები ამიერ-კავკ. ეროვნებათა ხელოვნების, ლიტერატურის და კულტურის ისტორიის შესასწავლად. ქართველ სომეხ და თურქ მსახიობთა საგასტროლო მოწვევა, ამავე ეროვნებათა კომპოზიტორების ნაწარმოებთა კონცერტების გამართვა, დრამატიულ ნაწარმოებთა დადგმა უნდა შევიდეს ჩვენი კულტურულ-სახელოვნო დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობის გეგმაში. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ერთმანეთის ყოფა-ცხოვრება, მივმართოთ ჩვენი გაერთიანებული ძალღონე ძველი დრომოჭმული ცხოვრების, ცრუმორწმუნეობის და სიბეჩავის წინააღმდეგ, შევქმნათ კულტურის ერთიანი ფრონტი.

დე უფრო გატაცებით მღეროდეს აშუღი ქართველი მუშის ფოლადის კუნთებზე, რომლებმაც ააგეს ზაჰესი, ხალხთა ძმობაზე, განთავისუფლებულ სომხეთზე.

დე ქართველმა პოეტმა თავის შემოქმედებით ასახოს სილამაზე, ენტუზიაზმი და ნებისყოფა თურქი ქალისა, რომელიც ეხლა ამტვრევს ბორკილებს და ჩადრ-ახდილი გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მხოლოდ ამ გზით შევქმნით ნამდვილ ინტერნაციონალურ კულტურას და მივწვდებით ერთიმეორის გულის წადილს.

⁂

ამხ. კულიევის მოხსენება ჩვენთვის აღმოჩენილი ქვეყანა იყო. ჩვენ არ გვცოდნია არა თუ მათი კულტურული აღმშენებლობა, არამედ ისიც კი, თუ რა გაუკეთებია მათ ჩვენთან დასაახლოვებლად. ჩვენთან შედარებით კი მათ ბევრი რამ აქვთ გაკეთებული.

ვ. წულუკიძე.


ახალი მუშათა უბანი არმენიკენდში

---

*) იხ. „კომუნისტი" № 129.

რკინის გზაზე

სახლები რკინისგზელებისათვის

მიმდინარე წელს ა.-კ. რკინის გზის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს რკინისგზელებისათვის თბილისში აგოს ორი სამ-სართულიანი სახლი.

საჭირო საამშენებლო მასალა უკვე დამზადებულია, კრედიტიც არის, მაგრამ სახლების აგება ყოვნდება იმის გამო, რომ თბილისის კეთილმომწყობ განყოფილებას დღემდე არა აქვს შემუშავებული ხელშეკრულება სახლებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემაზე.

მარგანეცის გაზიდვის გეგმის შესასრულებლად

მარგანეცის გადაზიდვის გეგმის შესასრულებლად, 6 ივნისიდან შორაპან - საჩხერესა და ჭიათურა - საჩხერეს შუა იხსნება სამი სახალხო მატარებელი; ამასთანავე ჭიათურის შტოზე იცვლება დანარჩენ მატარებლების მოძრაობის ცხრილი.

მიმოწერის შემცირება

ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ წინადადება მისცა ხაზზე მომუშავე ადმინისტრაციას შეამციროს მიმოწერა და შესწყვიტოს ერთი და იმავე შინაარსის ქაღალდების ასლების გზავნა სხვადასხვა მისამართებით.

დოტაცია რკ. გზ. სიმფონიურ ორკესტრს

თბილისის საუბნო კომიტეტთან არსებულ სიმფონიური ორკესტრის წრეს საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმმა ყოველთვიურად დოტაციის სახით დაუნიშნა 200 მანეთი. ორკესტრი სამსახურს გაუწევს მუშათა კლუბებს.

შემთხვევა სადგ. ზესტაფონში

გუშინ დილით, სადგურ ზესტაფონში ადგილი ჰქონდა მატარებლების დაჯახებას. ზესტაფონში მიმავალი საქონლის მატარებელი № 3005 მეისრე კვინიკაძემ შეცდომით გაუშვა მატარებელ № 3016 დაკავებულ ხაზზე.

მატარებელი № 3005 დაეჯახა № 3016-ს. დაზიანდა სამი ვაგონი. ერთი ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მატარებლების მოძრაობა შესწყდა საათ-ნახევრით

ფეხბურთი

მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

დღეს, 9 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება სამი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში.

დილის 8 საათზე თამაშობენ კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა და რკინისგზელთა პირველი გუნდები; 1 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან მედსანშრომის და ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა მეორე გუნდები, ხოლო 5 ნახ. საათზე თამაშობენ პირველი კატეგორიის გუნდები — მელითონეების და მედსანშრომის მუშაკთა პირველი გუნდები.

ა.-კ. ფეხბურთელები უზბეკისტანში

მაისის ბოლო რიცხვებში ... უზ-გაემგზავრა ამიერ - კავკასიის ... სარგეთა ნაკრები გუნდი, რომელშიაც ... გადან შევიდა 8 მოთამაშე. აქ... დმა ბაქოზე გავლით ჩაატარა იქ ერთი ამხანაგური შეჯიბრება „პროგრეს“-თან, რომელიც მოიგო 4:1

ტაშკენტში ამიერ - კავკასიის ფეხბურთელებს უკვე ჰქონდათ ერთი შეჯიბრება ტაშკენტის მეორე ნაკრებ გუნდთან. შეჯიბრება დამთავრდა ა.-კ. ფეხბურთელების ბრწყინვალე გამარჯვებით 5:0.

შემდეგი მატჩი გაიმართება ტაშკენტის პირველ ნაკრებ გუნდთან.

„დინამო“ — „პოლიტექ. ინსტიტუტი“

დღეს დინამოს სტადიონზე გაიმართება ორი შეჯიბრება ...

ფასების მდგომ[არეობა] კოოპერაცი[აში]

თბილისში კოოპერაციის ფა...
ინდექსი 1 ივნისამდე 0,1 პროც...
და. განსაკუთრებით შესამჩნევ...
სის შემცირება—5,2 პროცენტ...
აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ში, ...
პური 1,5 პროცენტით, რძის ში, ...
3,8 პროცენტით. სამაგიეროდ, ...
ზარდა თევზეულის ფასი—9 ...
და ხორცის—2,5 პროცენტით, ...
იმით, რომ ზაფხულის გამო პრო...
დება და მისი მოტანა მცირდება. ...
ბის საქონლის ფასი უცვლელია.

...დ ასე მოი-
...ზედრო და-
...ო ორგანი-
...სთვის უფ-
...აგან თან-
...ქენა მუშა-
საძიებ-
...ტერო-
...მოწყობით
...ოქ-
...განსა-
...მების შე-
...ნურ მთა-
დღესაც
გამო-
...ი“, ეს
გვრიდა
...ა იმათ
...იში შე-
...ავრობი-
იქნამ-
...ი დაფ-

...იმ გარემოებას, რომ ფეხის დაკარგვა აბრკოლებდა მის სამხედრო ნიჭის ისე რიგად გამოყენებას, როგორც წინეთ, და ამასთანავე მისი ქრონიკულ ავამყოფობას ამ ნიადაგზე, რაც ხშირად იწვევდა ხანგრძლივ აუტანელ ფიზიკურ ტკივილებს, ჩვენ ადვილად გავიგებთ იმ ნერვების აშლას, რაც ამხ. საშას დაეტყო უკანასკნელ ხანებში და აგრეთვე იმ საბედისწერო ნაბიჯს, რომელიც მან გადადგა ამ ერთი წლის წინეთ. ეს იყო მისი უდიდესი დანაშაული პარტიის წინაშე. მაგრამ პარტიამ მიიღო რა მისი რევოლიუციონური დამსახურება, მას ეს დანაშაული აპატივა.

რა თქმა უნდა, მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საშა გეგეჭკორი ჯერ კიდევ საჭირო იყო პარტიისა და ხელისუფლებისათვის, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ამიტომ მისი დაკარგვა ორნაირად საგრძნობი და სამწუხარო იყო. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენში.

ფ. მახარაძე.

(საბ. უნივ...

გუშინ დილი...
ტის სტუდენტთ...
ტესტო მიტინგი...
პროვოკაციული ...
გი, რომელსაც დ...
და პედაგოგიურ ...
გახსნა რექტორმა ...
ლმაც დამსწრეთ ა...
ტების და მათი და...
გრანტების პროვოკ...
საბჭოთა კავშირის ...

შემდეგ სიტყვები...
ნუცუბიძე, დოც. ...
ერქომაიშვილი ...
ლოგუარია.

ერთხმად მიღებულ...
თქვამია:

„პოლონეთის ფაშ...
რიგი პროვოკაციულ...
მეტყველური საბუთი ...
მთავრობა შინაური ...
გამოსავალს საგარეო ...
არის პირნათლად შეა...
რუუაზეის ფინის რო...
მიმართ. პოლონეთი გ...
შირის სამშვიდობო პ...
გვსურს ომი, მაგრამ ...
და საჭიროების დროს ...
ვცვლით“.

რადიო-გადაცემა

კვირა, 9 ივნისი

დღეს, თბილისის რადიო - ცენტრი გადასცემს შემდეგ რადიო - პროგრამას:

დილის 9 საათიდან — პიონერების გაზეთი, ქართულ ენაზე; საბავშო კონცერტი; რადიო - გაზეთი ქართულ ენაზე; პიონერთა და მოსწავლეთა სრულიად საკავშირო შეკრების ტრანსილიაცია მოსკოვიდან; საგლეხო კონცერტი; მორზეს ანბანი, ქართულ ენაზე.

საღამოს 6 საათიდან — პიონერების რადიო - გაზეთი, რუსულ ენაზე; გლეხის საათი — საუბარი ბოსტნეულის და ფუტკრის მავნებლებთან ბრძოლის შესახებ, ქართულ ენაზე; საუბარი — „ბრძოლა ტყეების განადგურებასთან“, ქართულ ენაზე; ამხ. გოგავაძის მოხსენება — „როგორ უნდა გამოიყენონ მოსწავლეებმა საზაფხულო არდადეგები“, ქართულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირელების რადიო - გაზეთი, ქართულ ენაზე; რადიომეგობართა საათის ტეხნიკური კონსულტაცია; საკვირაო კონცერტი.

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 9 ივნისს, დილის 11 საათზე ცეკას შენობაში, ოთახი № 12, მოწვეულია თათბირი, რომელსაც აუცილებლათ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ქურდაძე (მიწსახკომი), კილოსანიძე (ა.-კ. მ. და გლ. ინსპექცია), გვარამია (საქ. მუშ. და გლ. ინსპექცია), კვირიკაძე და სარუხანოვი (სგეგმო კომისია), კალატოზოვი (სას.-სამ. ბანკი), ნაფეტვარიძე (სოფლის კავშირი), ჯაში („საქართველოს ჩაი“), მირიმანოვი (ცეკა), სიხარულიძე (მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი), მესხი (ფინსახკომი), მანჯგალაძე, ჩახვაძე და ჭანიშვილი (საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველო), იარალოვი (ცეკავშირი), ტყაბლაძე (თბ. კომიტეტი), ქანთარია (კოლმეურნეობათა კავშირი), ტაგიევი (საქ. კომპარტიის ა.-კ. საკონტროლო კომისია), ბენო მესხი (სახ. უნივ. აგრ-ფაკულტეტი), არჩილ გიორგაძე („ახალი სოფელი“), კარლო ორაგველიძე (სახ. უნივერსიტეტი), კორსაველი (ცეკა).

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა იუწყება, რომ ძველი ბოლშევიკის

ამხ. საშა გეგეჭკორის

გარდაცვალების წლის თავზე 9 ივნისს, შუადღის 12 საათზე საფლავზე (კომუნარების ბაღი. რუსთაველის პროსპექტი) შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა. წ. ივნისის 9-ს დილის 12 საათზე საფლავზე (კომუნარების ბაღში, რუსთაველის პროსპექტი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვლილ ძველ რევოლიუციონერის

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო ნ. 2818

...ს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო იუწყება, რომ ...ევოლიუციონერის, მუშათა კლასისათვის თავდადებული მებრძოლის და თბილისის საბჭოს წევრის

...ქსანდრე (საშა) გეგეჭკორის

...ანიშნავად დღეს, 9 ივნისს, შუადღის 12 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე (26 კომუნარის სახელობის ბაღში, რუსთაველის პროსპექტი). ნ. 2826

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აუწყებს ამხანაგებს, რომ შუადღის 12 საათზე საფლავზე (კომუნარებას ბაღი, რუსთაველის პროს...ტი) ...ილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვლილ ძველ რევოლიუციონერის

...ქსანდრე (საშა) გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2140

საქართველოს მიწსახკომთან არსებული კომუჯრედი და ა.ლ.კ.კ. აუწყებს ამხანაგებს, რომ დღეს, კვირას, შუადღის 12 საათზე საფლავზე (კომუნარების ბაღი, რუსთაველის პროსპექტი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვლილ ძველ რევოლიუციონერის

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2141

საქართველოს მიწსახკომის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი აუწყებს ამხანაგებს, რომ დღეს, კვირას, შუადღის 12 საათზე საფლავზე (კომუნარების ბაღი, რუსთაველის პროსპექტი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვლილ ძველ რევოლიუციონერის

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2139

საქ. სახ. ვაჭრობის სააქციო საზოგადოების („სახვაჭრობა“-ს) გამგეობა აცხადებს, რომ დღეს, 12 საათზე კომუნარების ბაღში, საფლავზე) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულ, სახვაჭრობის საბჭოს ყოფ. თავმჯდომარის ძველ რევოლიუციონერის

ამხ. საშა გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2135

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა აცხადებს, რომ დღეს, დღის 12 საათზე საფლავზე (კომუნარების ბაღში, რუსთაველის პროს.) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულ სააქციო საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებლის და ძველ რევოლიუციონერის

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 2827

დღეს, კვირას, დღის 12 საათზე

საშა გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად მის საფლავზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ვერა და შვილები—ლიონია და თინა და შვილიშვილი საშუნია გეგეჭკორები.

3—3 ნ. 2817

სამუდამოდ გულმოკლულნი დედა, შვილი, დები, ძმები, რძლები და სიძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 9 ივნისს, 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე

ივანე (ვანიჩკა) იოხნელის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2136

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანა, სიძე აკაკი, შვილები: ნინა, დათიკო და ვალოდია აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ილია მიხეილის ძე ნანობაშვილი

გამოსვენება 11 ივნისს ბინიდან, გომბორის ქ. № 22. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (შ)

ტიმოთე ივანეს ძე მაღლაფერიძე უდროოთ დაობლებული პატარა ბავშვებით—ლილი, გელა და ელგუჯათი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ ა. წ. 8 ივნისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი მეუღლე

თამარ დიდიძის ასული მაღლაფერიძისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათზე. კალინინის ქუჩა, № 33. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება სამშაბათს 11 ივნისს 4 ნახ. საათზე (ე)

დამწუხრებული მშობლები ნინო და ზაქარია, ძმები მიშა და ვანო, დები მარო და შურა მუმლაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ 7 ივნისს, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ვერა ზაქარიას ასული მუმლაძე

დასაფლავება მოხდება ქალ. თელავში, კვირას 9 ივნისს, საღამოს 4 საათზე. ნ. 2825

დამწუხრებული მშობლები პავლე და ეფროსინე, დები: ნინა, ფატულა, ლიუდმილა, თამარი, ძმა დათიკო აუწყებენ საზოგადოებას, რომ 11 ივნისს, 2 საათზე სამტრედიაში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ მასწავლებლის

ჟორჟ პა კვერნაძის

ხ ოვნის აღსანიშნავად. ნ. 2824

დღეს, 9 ივნისს, ნაშუადღევის 1 ლ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სოფო ქარციძის

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობართ: ძმა ნიკოლოზ და რძალი თამარ ქარცივაძეები, ძმის შვილები: გოგი და ბიბი, და მარიამ აბხაზისა და დისშვილი მარინე მიქელაძ ს ქმრითურთ. 2150

დამწუხრებული ვარია და ბაბუცა ფარსაძის ასული თევზაიები მშობლებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი ბიძის

ზოსიმე ნიტუს-ძე თევზაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2143

ოზურგეთის საავადმყოფოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა საავადმყოფოს ერთგული თანამშრომელი

ნიკოლა (ნიკოლოზ) კონსტანტინეს-ძე ზერიძე

ნ. 2824

შაბათს, 8 ივნისს, დ. ფასანაურში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უსაყვარლესი

ილია ნიკოლოზის-ძე კაიშაურის

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს გულმოკლული მეუღლე ელისაბედი, დედა ნინო, სიდედრი მარიამი, და ელისაბედ ინაშვილისა, ძმები: ია, გიორგი და ალექსანდრე კაიშაურ ბი 2147

მწუხარებაში მყოფი ეკატერინე დიმიტრის ასული ლაშხაური თამრიკოთი და ბიჭიკოთი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ

ვლადიმერ ივანეს-ძის ლაშხაურის

ხსოვნის აღსანიშნავად ვერის ახალ სასაფლაოზე, ორშაბათს, 10 ივნისს, საღამოს 5 ნახ. საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. (ე)

სახელ...

...ელი მებრძოლი

მიიღ... ხელისმოწერა

...ბა ხელისმოწერა

...ემდეგ, გვ.ს. ქ... ...ელ

კარლ მარქსის კაპიტალის I-ლ ტომზე

„კაპიტალის“ I ტომი ქართულ ენაზე

წიგნი გადათარგმნილია უკანასკნელი გერმანული გამოცემიდან **დ. ონიაშვილის** მიერ.

მთავარი რედაქტორი ამხ. **მალაქია ტოროშელიძე.**

წიგნი გამოვა ა. წ. დეკემბრის დამლევს და ხელისმომწერთათვის ღირება 5 მანეთი, ხელის მოწერის დროს გადახდილი უნდა იქნეს 2 მან. და წიგნის ჩაბარებისას 3 მან.

არა ხელისმომწერთათვის წიგნი ღირება გაცილებით მეტი.

ნ. 2781

„კაპიტალის“ I ტომი ქართულ ენაზე

პირველი ოლიმპიადა

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ მმართველობა ა. წ. 28, 29 და 30 ივნისს ქ. თბილისში ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (ყოფილი ბალი მუშტაიდი) მართავს სრულიად საქართველოს

მომღერალთა გუნდების პირველ ოლიმპიადას

ოლიმპიადაში ხელოვნების საქმეთა მთავარ მმართველობის დადგენილებით მონაწილეობენ ყველა გუნდები, რომლებიც უნდა გამოცხადდნენ ქ. თბ. სახ. კონსერვატორიაში (გრიბოედოვის ქუჩაზე) ხუთშაბათს, 27 ივნისს, დილის 10 საათზე **ოლიმპიადის** განწესრიგების და პროგრამის მისაღებად. ყველა ჩამოსულ გუნდელებს მიეცემა გზის ფული (იქით-აქეთ), მაგრამ ვაგონის მგზავრობის საფასურით, ექნებათ კვება და ბინა. 28 და 29-ს გუნდები გამოდიან თავიანთი სიმღერებით იმ რიგითა და პროგრამით, რომელსაც სპეციალური კომისია დაადგენს, 30-ს კი გარდა საკუთარი ნომრებისა ყველა ნოტის მცოდნე გუნდები სიმფონიურ და ჩასაბერ ორკესტრების თანხლებით შეასრულებენ 1) ინტერნაციონალს და 2) ოქტომბრის კანტატას--(მუსიკა ზ. ფალიაშვილისა) და ერთ ხალხურ სიმღერას. გუნდების გაერთიანებულ გამოსვლას ლოტბარობს სახალხო არტისტი **ზ. ფალიაშვილი.** ცალკე გამოსვლებს თვით გუნდის ლოტბარი.

ოლიმპიადის მონაწილე გუნდებისათვის დანიშნულია შემდეგი პრემიები: ერთი 500 მანეთი, ერთი 300 მანეთი, ორი თითო 200 მანეთი, და სამი თითო 150 მანეთი. სულ 7 პრემია 1650 მანეთის.

მთელი შემოსავალი (ხარჯებს გარდა) გადაეცემა ოლიმპიადის მონაწილე გუნდებს თავიანთ შორის გასანაწილებლად.

ოლიმპიადის (შეჯიბრება) მსაჯებად შედგენილი იქნება სპეციალური კომისია: სპეციალისტებისა, პროფორგანიზაციების, პრესისა, სახელოვნო დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან. **განათლების სახალხო კომისარის დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.**

ყველა გუნდებმა დაუყოვნებლივ უნდა განიოწერონ მთავარხელოვნებისაგან სათანადო ნებართვები შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად და ამას გარდა ჩამომსვლელებმა რკინის გზებზე შეღავათის მისაღები საბუთები, რისთვისაც საჭიროა ამ თავითვე ეცნობოს მთავარხელოვნებას ჩამომსვლელ მომღერალთა სწორი რაოდენობა.

ოლიმპიადაზე დაიშვებიან მხოლოდ დღემდე არსებული გუნდები.

ნ. 2820 **განათლების სახალხო კომისარიატის მთავარხელოვნება.**

საქ. სატყეო ტრესტის სამმართველო

აცხადებს, რომ 1929 წლის ივნისის 15-ს დღის 12 საათ.

საჯარო ვაჭრობით გაიცემა

მარელისის გლეხილი ავეჯეულობის შენობაზე მეორე სართულის დადგმის და იქვე აბანოს აგების სამუშაოები.

განცხადებები საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ ორი დღით ადრე. კერძო პირები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ 10 პროც. ზემოდ-დასახელებული მთელი სამუშაოების ღირებულების ფულად, გარანტია ქმნილი ვალდებულებით, ან ქვითარი აღნიშნული თანხის შეტანის შესახებ ტრესტის სახელზე საკრედიტო დაწესებულებაში.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სატყეო ტრესტის ცენტრალურ სამმართველოში—ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. № 1 დილის 9—12 საათამდე ყოველდღე—საწარმოო განყოფილებაში.

მმართველი **ნ. ბრეგვაძე**

მთავარი ინჟინერი **ტყეშელაშვილი**

მათემატიკის მასწავლებელი

ივ. მაჩაიძე

ამზადებს მათემატიკაში

(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და რკინისგზ.) მე-9 და მე-10 ჯგ. შესასვლელ საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის ქ. № 25 ან ჩერნიშევის ქუჩ. № 5. 9—12 საათ 4—6 საათ.

2019—4—3

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა

იქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 5—7 საათ [illegible] ტელ. №2—73 25—6 124-5

ორშაბათიდან 10 ივნისიდან კინო-თეატრებში

აპოლო (საზამთრო) — **ტანია მიკიტანი**

მელო-დრამა მინაევის მოთხრობა „მამის წინააღმდეგ“-ის მიხედვით რეჟ. სვეტოზაროვი

პალასი — **პატი და პატაშონი** ყველაზე მხიარულ კომედიაში **ქალა და სილამაზე**

მინიონი — **სეზონის საუკეთესო ფილმი კოშკი** სიუზი კეროლის და ვ. ბოიდას მონაწილეობით

მალე ამბოხება და დიდი ქალაქის სიმფონია. ნ. 2828

სახკინმრეწვის კინო თეატრები

საზაფხულო ეთერი

სოლეი — ცნობილი ამერიკული ფილმი **ჩიკაგო**

საზაფხულო აპოლო — უცხოეთის ახალი სურათი **მწვანე შესახვევი** დადგმა რიხარდ ოსვალდის

პალასი — **მიდა ნისენის** მონაწილეობით. **გრიგალი**

მინიონი — 10ივნისიდან პალასში ქალა და სილამაზე მინიონში კოშკი

აპოლო — უკანასკნელი დღე **კოშკი** 10 ივნისიდან ტანია მიკიტანი

სოლეიში დღის სეანსი ბავშვებისათვის დასაწყისი 11 ს. 30 წუთზე.

სახელმწ. ოპერა

მოსკოვის რევოლიუციის თეატრი

დღეს 9 ივნისს იწყება გასტროლები

აბონემენტის გარეშე

კაცი პორტფელით

ბილეთები სალაროში

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ნ. 2823

დღეს, 9 ივნისს

დოლი

ამიერ-კავკასიის დიდი ჯილდო

1.000 მანეთი (ამ.-კავკასიის დერბი)

დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზ.

16 ივნისს დოღის უკანასკნელი დღე

ნ. 2829

„კომუნისტი“-ს წლიური („კაპიტალი“-ს დამატებით) ხელისმომწერლების საყურადღებოდ

გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა აცხადებს, რომ ვისაც არ აქვს გადახდილი მორიგი (ივნისის თვის) შემოსატანი თანხა, მათ ამა ივნისის 15-დან შეუწყდება გაზეთების გზავნა. 3—1

შორაპნის ჯანგანყოფილება

იწვევს ექიმს

თავისუფალ ადგილებზე, როგორც ჭიათურის სამრეწველო რაიონში, ისე მაზრის სხვა ფარგლებში. ხელფასი 150—200 მანეთამდე. პირობების გაგება შეიძლება ქალ. ზესტაფონი, ჯანმრთელობის განყოფილება.

2145 3—1

ფოსტის ავტომანქანებით

თბილისის მთავარი **ფოსტის კანტორა** აწარმოებს მგზავრების გადაყვანას **კავკავის და მანგლისის** მიმართულებით

ბილეთები იყიდება მთავარ ფოსტაში, პლეხანოვის პრ. № 44 აღნიშნულ ტრაქტებზე მდებარერე ყველა ფოსტის პუნქტებში და მანქანის გამყოფ შოფერებთან.

ავტომანქანები მგზავრებს მიიღებენ თავისუფლების მოედანზე [illegible]

[illegible] 2132

ძველ ველოსიპედის ვინტილებს

ყიდულობს

„რეზინოტრესტი“-ს თბილისის განყოფილება.

ცნობებისთვის მიმართეთ აღმასკომის ქ., 4, ტელ. 4—86

2085 3—2

თბილისის ქალაქის ლომბარდი

10 ივნისიდან საოჯახო ნივთების მიღებას აწარმოებს ახლათ გახსნილ განყოფილებაში პლეხანოვის პროსპ. № 50

ნ. 2819 **ლომბარდის ადმინისტრაცია**

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის გამგეობა

აცხადებს, რომ ა/წ. 15 ივნისს საღამოს 6 საათზე კლუბში (პლეხანოვის პრ. № 66)

შესდგება

„საქსარეწკოპკავშირი“-ს რწმუნებულთა მეორე კრება

დღის წესრიგი:

1. კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება 26/27, 27/28 წლ. და 28/29 წლ. პირველ ნახევრისათვის.
2. საბჭო და სარევიზიო კომისიის მოხსენებები.
3. გეგმა და ხარჯთაღრიცხვა 28/29 წლისათვის.
4. საინფორმაციო მოხსენება ურთიერთდახმარების სალაროების შესახებ.
5 საკ. კოოპ. ბანკის საქართველოს განყოფილების საინფორმაციო მოხსენება.
6. მოგებისა და გრძელვადიანი სესხის განაწილება.
7. კავშირის ახალი წესდების განხილვა და დამტკიცება.
8. კავშირის საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9. მიმდინარე საქმეები.

გამგეობა.

ცნობება

საქ. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ

ყველა

სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სავაჭრო-სამრეწველო და საშინამრეწველო საწარმოთა საყურადღებოდ, რომ საქ. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილებაში (№ 01612 ა. წ. 25/V) აღნიშნული ვაჭრობისა და მეცადინეობის საათების მაჩვენებელ-ცხრილების დამზადებისა და საწარმოთათვის მიწოდების უფლება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მისცა მხოლოდ საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს.

სტანდარტული ერთფეროვანი შტამპიანი ლითონის ცხრილის ნიმუში დამტკიცებულია საქ. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ ა. წ. 7 ივნისს.

ცხრილი ღირს მანეთი.

მაჩვენებელი—ცხრილის მეორე მხარეზე აუცილებლად არის ნიშანი საზოგადოება „წერა კითხვა“-ს ბეჭედით.

საქ. ს. ს. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე საწარმოებს ცხრილებს აწვდიან საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს სპეციალური რწმუნებულები საზოგადოების ბეჭედ დასმული ქვითარებით.

საწარმოებისათვის მაჩვენებლების მიწოდება დაიწყება: ქალაქ თბილისში 8 ივნისიდან, მაზრებში 15 ივნისიდან, აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში ა. წ. 12 ივნისიდან.

საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობა.

ყოფილ გერმანელთა საავადმყოფოში

რომელიც შეიძინა

სრ. საქ. წითელი ჯვრის საზ-ბამ

გაიხსნა:

ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია და რენტგენის კაბინეთი

სწარმოებს: რენტგენოსკოპსა, რენტგენოგრაფია და რენტგენოთერაპია ყველა სპეციალობის **და დიატერმია**

ფასები შეღავათიანია

ყოველგვარ ანალიზების მიღება—ლაბორატორიაში 9—3 საათამდე რენტგენის კაბინეთში 12—4 საათამდე.

გარდა კვირა უქმე დღეებისა

მისამართი: თბილისი, სანაპირო ქ. № 15 ტელ. 9—17

3—1 ნ. 2814

მუშკოოპის რწმუნებულთა მე-17 ყრილობა

გრძელდება

და **მეორე სხდომა** გაიხსნება 9 ივნისს, დილის 9 საათზე საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში. დასვაწრება სავალდებულოა.

გამგეობა.

ჭრა-კერვის

გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენაზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქუჩა, № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4—7 სათამდე

24—11 64

იყიდება

საყინულე, ორი დიდი სარკე მაგიდით, ბუფეტი, ერთი საწოლი და დიდი ემალის ვანა. ნეკრასოვის ქუჩა. № 9.

2—1 2105

სახლი

საჩქაროთ **იყიდება**

შესდგება ექვსი ოთახისაგან პეტროვის ქ. 46. ცნობების მიღება მილიუტინის ქ. № 1 (საპარიკმახეროში)

2127

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვისპროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე.

13—1

ექიმი ოდონტოლოგი

აპოლონ პავლეს ძე ურუშაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან [illegible]

[illegible] 2014—13—1

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5 25—18

ექიმი

ს. ი. ანდრეევისა

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად **ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის** მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29

ელსმენი—11—78.

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს **(ქალებს და ბავშვებს)**

საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი **და კანის სნეულებანი.**

მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები

მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუ-[illegible]

[illegible] 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი

ა. დ. პეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ქ. ქუთაისში

ექიმი

დ. ა. ჩეჩელაშვილი

იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს

დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

ექიმი

მ. გ. შახნაზაროვი

სპეციალურად

სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასილის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 610112 ივანე ფრაიცის ძე ხითაროვის სახელზე, ჩ. გ. 2142

დაკარგვა ლომბარდის ქვითრების № 047761 და № 103375, ჩ. გ. 2144

დაკარგვა პურის წიგნაკი № 120 ებრაელთა ლარიბ მიდან გაცემული სონია ჩანჩალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2137

დაკარგვა შრომის ქ. № 49-ზე მდებარე სახლის საბინაო დავთარი ნინო შავგულიძის სახელზე, ჩ. გ 2131

დაკარგვა უვადო პასპორტი ლეო ნიკოლოზის ძე შიუკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2138

დაკარგვა კომკავშირის მანდატი № 69947 დიმიტრი ეტიფანეს-ძე რუსიეშვილის სახელზე, ჩ. გ 2148

დაკარგვა რკინის გზელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 16329 დ. ვ. ბაბუციძეს სახელზე, ჩ. გ. 2149

დაკარგვა სამხედრო [illegible] 2148